საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრილი

ფასი 2 ლარი

1134
2014

ვა ფეზუაშვილი
ერი მოთხრობა

ია სტურუა
ბივი აღზაფიშვილი
ოშვარ ჩხეტიანი
ნეა გიორგაძე
ბარიამ ფიკლაური

ომაჩოსი
ლიადა

ბილივ როთი
ალამუდის
ურათები

ნა ქორქაია-
ბაგაღაშვილი
ბიუგოს ჩრდილში



2014/ოქტომბერი
8 (228)

ზურაბ ქარუმიძე

ჯაზის ყვავილობა

სარჩევი

ინტერვიუ	1	ნანა კობაიძე | ორად გაყოფილი "საბა"
პროზა	7	ზურაბ ქარუმიძე | ჯაზის ყვავილობა
	15	ივა ფეზუაშვილი | კაია
	24	ივა ფეზუაშვილი | მამაჩემი
პოეზია	28	ლია სტურუა
	31	გივი ალხაზიშვილი
	37	თემურ ჩხეტიანი
	40	ნენე გიორგაძე
	42	მარიამ წიკლაური
თარგმანი	44	ჰომეროსი | ილიადა *ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა*
ესე	56	ფილიპ როთი | მალამუდის სურათები *ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*
	61	ანა კორძაია-სამადაშვილი | ჰიუგოს ჩრდილში
რეცენზია	64	იოსებ ჭუმბურიძე | "კომიკოსი" რეჟისორის დიპლომით

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კიკნაძე, თამარ ლებანიძე, ვასილ მაღლაფერიძე, ზვიად რატიანი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის მარილი
ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოდის 1993 წლიდან

© ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ნანა კობაიძე

ორად გაყოფილი "საბა"



ახალგაზრდა ავტორებმა - ლია ლიქოკელმა და ტორესა მოსიმ ერთი თხილის გული, ერთი ნომინაცია გაიყვეს. ლიტერატურული პრემია "საბას" ჟიურიმ კიდევ ერთხელ "დაარღვია" წესები და "წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტის" ნომინაციაში ორი გამარჯვებული გამოავლინა. მსგავსი ფაქტი პირველად რამდენიმე წლის წინ მოხდა, როდესაც ლიტერატურულ საზოგადოების წინაშე ორი დებიუტანტი - გიორგი კეკელიძე და დიანა ანფიმიადი წარდგა. ამას მოჰყვა ეკატერინე ტოგონიძისა და სალომე ბენიძის შუაზე გაყოფილი "საბა". 2014 წელს დებიუტანტმა ავტორებმა გამარჯვების სიხარული მესამედ გაინაწილეს. ამ ნომინაციის ლაურეატებს საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით აკვირდება. სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ, "არილის" ფურცლები "მომავლის" წლევანდელი ავტორებისთვის დაგვეთმო.

ლია ლიქოკელი: როცა არ იცი, როგორ გადარჩე

წერა სამი წლის წინ დაიწყო. მაშინ ვერაფრით იფიქრებდა, რომ ლიტერატურული წრეებისთვის სრულიად უცნობ გოგონას ყოველგვარი კავშირების გარეშე მკითხველი ასე შეიყვარებდა, თუმცა მისმა ლექსებმა ეს შეძლო. წარმოუდგენელია, ერთხელ მაინც წაიკითხო და ვინმეში შეგეშალოს. კითხვა დაიწყო და ბოლომდე არ ჩაყვე. ეს ის შემთხვევაა, როდესაც თავად პოეზია ლაპარაკობს. გამორჩეულია, ხალასი და თვითმყოფადი, როგორც მისი მშობლიური ხევსურეთი, სადაც დაიბადა და გაიზარდა. "დევის ცოლის სიცილი" - ასე ჰქვია წიგნს, რომლითაც ლია ლიქოკელი საზოგადოების წინაშე წარდგა.

- შემოქმედის შიდა სამზარეულო ყოველთვის საინტერესოა. შეგიძლია იმის ახსნა, როგორ მუშაობ, წერის პროცესზე მოგვითხრო?

- ლექსის წერისას თავისებური სამყარო იქმნება, რომელიც შენს იმნუთიერ სათქმელს გამოხატავს. მოგვიანებით ეს სათქმელი ქაღალდზე გადადის. პირდაპირ არასოდეს გადამაქვს ფურცელზე ნააზრევი. თავდაპირველად ჩნდება იდეები, რომელთაც ვახარისხებ, ვინერ, ვამუშავებ. ეს ერთგვარი საშენი მასალაა, საიდანაც ლექსი იბადება. მერე უკვე იწყება გარანდვის პროცესი.

© ფოტო: ანდრეა ლომსაძე, "ტიბინა"

- არადა, შენი ტექსტები ისეთი გაბმულია და წყალივით მიედინება, გგონია, ერთი ამოსუნთქვით, შეუჩერებლად ინერება.

- ასე ნამდვილად არ არის. საკმაოდ ბევრი შრომაა საჭირო. ძირითადად სიუჟეტური ლექსები მაქვს, სადაც ამბავს ვყვები. მთავარია, ამბავმა თავისი ენა და რიტმი იპოვოს, ან საკვანძო ფრაზა გაჩნდეს, დანარჩენი უკვე ამაზე შენდება. ძალიან მნიშვნელოვანია ფინალი. თუ ფინალი მომაფიქრდა, ვიცი, როგორ მივიდე იქამდე.

- პროფესიით კინორეჟისორი ხარ და ეს ლექსებშიც იგრძნობა - გამოკვეთილად ჩანს ვიზუალური სახეები და სურათები.

- რეჟისორული ხედვა ლექსის წერისას მართლაც მეხმარება. პოეზიის მსგავსად, კინოც "შიგნიდან" კეთდება და არა გარედან - ცივი გონებით, თუმცა ეს უკანასკნელი სულ ჩართულია.

- შეგიძლია საკუთარი ლექსების უცხო თვალით აღქმა, მათგან დისტანცირება?

- კი, ოღონდ ყოველთვის არა. ეს უფრო მკითხველისთვისაა საჭირო, რათა ზუსტად გაიგოს, რას ეუბნები. ჩემი ამბავი ხომ ძალიან ჩემია? თუ ისე მოვყვები, როგორც მხოლოდ მე ვგრძნობ, საკუთარ თავს მასში ვერავინ იპოვის. სწორედ ამიტომაა საჭირო "მესამე თვალი" - რომ დაინახო, რამდენად სახიერია ეს ყველაფერი. კინოშიც ხომ ასეა: ჩართავ ფირს, ამონტაჟებ და აკვირდები - აქვს თუ არა კონკრეტულ კადრს ეფექტი. თუმცა ამის კეთება ყოველთვის არ შემიძლია. სანამ ახალია, ლექსს ბევრჯერ კკითხულობ. თუ რამეს ვასწორებ და ვცვლი, მხოლოდ ამ ეტაპზე, რადგან ჯერ კიდევ იმ ენობრივ ქსოვილში ვარ. მერე თავის გზაზე ვუშვებ. პოეტები ხშირად ამბობენ, რომ ლექსი უნდა დაადველო. მე კი ერთხელ დაწერილის წაკითხვა არ მიყვარს, ვეღარც ვუბრუნდები და ვერც ვერაფერს ვცვლი.

- არც საყვარელი ლექსები გაქვს?

- როგორ არა, არის ასეთი ლექსები. მაგალითად, "როგორ შემიყვარდა ყვავი", რომელიც ძალიან გამიკვირდა რომ დავწერე, თითქოს თავისით დაიბადა; "მინდა დედაჩემი გათხოვდეს", "ნეტა საფართხელებს არ ვაცხობდე..." სხვათა შორის, ეს იყო პირველი ლექსი, რომელზეც ვთქვი, გამომივიდა-მეთქი - ამ ლექსით იწყება ჩემი წიგნიც.

- სულ პირველი ლექსი როდის დაწერე?

- ძალიან დიდი ხნის წინათ, სკოლის პერიოდში, თუმცა ამას წერას არ ვეძახი. მერე მქონდა დიდი პაუზა და ზუსტად სამი წლის წინ ისევ მოვკიდე ხელი. ვგრძნობდი, რომ სათქმელი მიგროვდებოდა და უნდა ამომეთქვა.

- რამემ გიბიძგა თუ უბრალოდ პოეტური საკარჯიშოები იყო?

- ძალიან ცუდად ვიყავი. დეპრესიული პერიოდი მქონდა და რაღაცნაირად უნდა დავხარჯულიყავი. არ ვიცი სხვას როგორ, მაგრამ პირადად მე ყველაზე კარგი ლექსები მაშინ გამომდის, როცა ძალიან ცუდად ვარ; როცა არ იცი, როგორ გადარჩე. ეს არის გადარჩენის გზა. ლექსები, რომლებიც ზემოთ ვახსენე, სწორედ მსგავს პერიოდში დაინერა. დღემდე ასე გრძელდება.

- ბევრს წერ?

- ადრე უფრო მეტს ვწერდი, ახლა - ნაკლებს, თუმცა არის პერიოდი, როდესაც გადაბმულად ვმუშაობ. მერე შეიძლება კარგა ხანს დავისვენო. სხვათა შორის, იმ კონკრეტულ ლექსებს, რომელთაც მაშინ ხშირად ვწერდი, დღეს არ დავწერდი. აღარ მომწონს, მგონია, რომ არ ვარგა.

- გემოვნება და შეხედულებები ხშირად გეცვლება?

- საერთოდ, ერთფეროვნება არ მიყვარს. კითხვითაც კი სხვადასხვაგვარ ტექსტებს ვკითხულობ. შეიძლება ერთდროულად მომწონდეს ბესიკ

ხარანაული და ზაზა კოშკაძე - სტილის, ფორმის, ენობრივი განსხვავებების გათვალისწინებით. მეც მაქვს ასეთი განსხვავებული მიმართულებები: ვწერდი არქაული სახეებითა და მითოსით გაჟღენთილ პოეზიას, ცოტათი არსებრიოზულ ლექსებს კაქტუსებსა და კატებზე და კიდევ - ძალიან მშრალ და დაწურულ ოპუსებს, რომლებიც უფრო გვიან გაჩნდა. სრულიად სხვადასხვაგვარი ტექსტებია, რომლებიც დროდადრო ენაცვლება ერთმანთს. რაღაც ეტაპზე სავსე და ბობოქარი ლექსით ვიღლები და "მშრალი" პოეზია მინდება.

- სად უფრო კარგად გამოხატავ საკუთარ თავს, რომელი უფრო შენია?

- ორივე. ჯერ ერთი, ყველაფერი ძალიან მალე მბეზრდება. ახლაც ასეთი პერიოდი მაქვს - სიახლის მოთხოვნილებას ვგრძნობ. ბოლო დროს წერის სტილი ცოტა შევიცვალე, თუმცა ამას მიზანმიმართულად არ ვაკეთებ, თავისთავად ხდება. წლების განმავლობაში არ ვწერდი, რადგან ჩემი ამბები საკუთარ ენასა და ფორმას ვერ პოულობდა. როგორც კი ამ გარსს მივაგენი და პირველი ლექსი შედგა, მივხვდი, როგორ უნდა მეწერა, რა ფორმით მომექცია იდეა სიტყვაში. ეს ყველაფერი სხვისთვის რთული ასახსნელია, ინტუიციის დონეზე ხდება.

- საიდან იღებს სათავეს მითოსი და ზღაპრული სამყარო, რომელიც შენს ლექსებში უხვადაა?

- ალბათ იმ გარემოდან, სადაც დავიბადე და გავიზარდე - ხევსურეთიდან. იქ ახლა ადამიანები ჩვეულებრივად ცხოვრობენ, ყოველგვარი ეგზოტიკის გარეშე. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება - არც დევი გეჩვენება და არც ალქაჯი, მაგრამ ეს ყველაფერი შენ გარეშემო მაინც არის. ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჰაერი მითიური არსებებით არის სავსე, რომლებიც დროდადრო არღვევენ უხილავ გარსს და გამოსაკდებიან ხოლმე. სინამდვილეში ეს ყველაფერი ჩვენშია, არსად წასულა, უბრალოდ, ვიღაც ხედავს, ვიღაც - ვერა.

- რასაც ახლა ამბობ, განსაკუთრებული სიმძაფრით იგრძნობა "დევის ცოლის სიცილში". ცარიელი მითია, ზმანება, ჯადოსნური სამყარო.

- ამ ლექსს თავისი ისტორია აქვს. ჩემი სოფლის პირდაპირ ფიჭვების კუნძულია, იმ ადგილებში ადრე ჩემი წინაპრების ნასოფლარი იყო, თუმცა არასოდეს ვყოფილვარ, უკაცრიელი მისასვლელია. მთელი ბავშვობა ამ ფიჭვებს ვუყურებდი. სულ მეგონა, რომ იქ რაღაც ხდება, სხვა სამყაროშია გასასვლელი. ეტყობა ეს განცდა ქვეცნობიერში ჩამრჩა.

იმ საღამოს თოვდა, ღუმელში ცეცხლი ენთო და ნაკვერჩხლის ალი ანათებდა. დაძინებას ვაპირებდი. უცებ მომეჩვენა, რომ იქიდან ვიღაც მიყურებდა. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ფიჭვებს შორის, კენწეროებთან დავდიოდი, ვირწეოდი და ეს დათოვლილი ხეებიც ირწეოდნენ. ისე მაღლა ვიყავი, მეგონა, დევის მხარზე ვიჯექი. გაჰყვა ამას ფიქრი, გაჰყვა - რისთვის დავდივარ, სად ვარ, რატომ ვირწევი? და უცებ მივხვდი ვინც ვიყავი - დევის ცოლი. მეორე დილას ბარისახოს ავტობუსში მთელი ტექსტი დალაგდა. სახლში რომ მივედი, ჩავიწერე.

- ახლა რაზე მუშაობ, რითი ხარ დაკავებული?

- ახალ ლექსებს ვწერ და ვაგროვებ. ერთი-ორი მითოსური ამბავიც მაქვს დასაწერი, რომელიც დიდი ხანია თავს არ მანებებს. ეს სახეები სხვანაირად გაწუხებს და ჩვეულებრივ ლექსებთან შედარებითაც სხვაგვარი მიდგომა სჭირდება.

- ჩვეულებრივ ლექსს რას ეძახი?

- ჩვეულებრივია მაგალითად, "როგორ მიყიდა მამაჩემმა ფეხსაცმელი." "დევის ცოლის სიცილი" და "აშექალის ქორნილი" ჩვეულებრივი ლექსები არ არის. მათზე მუშაობა განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს - უნდა გარდასახო, მთლიანად ამ სამყაროში შეხვიდე და მითიურ პერსონაჟად იქცე. რაღაცით შეპყრობილობის მდგომარეობას ჰგავს. სხვა სამყაროდან უნდა წერო და არა აქაური რეალობის გათვალისწინებით.

- მკითხველის შეფასებები რამდენად მნიშვნელოვანია შენთვის?

- ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ეს საქმე არ გამეგრძელებინა, რომ არა გამოხმაურება, რაც ჩემს პირველ ნაწერებს მოჰყვა. წერა რომ დავიწყე,ლიტერატურულ წრეებში ნაცნობი არ მყოლია. რამდენიმე ლექსი ფეისბუქზე გამოვაქვეყნე და ჩემთვის მოულოდნელად გულითადი შეფასებები მოჰყვა. არადა, მეგონა, ასე წერა მხოლოდ მე მომწონდა. ეს ძალიან დიდი სტიმული იყო. საოცარი შეგრძნებაა როცა იცი, რომ შენს ლექსს ვიღაც ელოდება. სხვა შემთხვევაში შეიძლება არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამეწერა და უბრალოდ წარმოსახვაში დავხარ-ჯულიყავი, როგორც არაერთხელ მომხდარა.

- საეტაპო ლექსები თუ გაქვს, შენთვის ძა-ლიან მნიშვნელოვანი?

- არ ვიცი, ალბათ მაქვს. პრინციპში, ამ წიგნ-ით რაღაც ეტაპი დამთავრდა.

- "დევის ცოლის სიცილი" არ არის ასეთი ლექსი? წიგნსაც ხომ ასე ჰქვია?

- მნიშვნელოვანი ლექსია, მაგრამ ჩემი საყვა-რელი ტექსტი სულაც არ არის. უბრალოდ, ყველა-ზე კარგად გამოხატავს ის სამყაროდან მოყოლილ ამბებს, რომლებიც წიგნში შევიდა. სხვანაირად რომ ვთქვა, ეს ის ამბებია, რომლებიც "დევის ცო-ლის სიცილში" ეტევა.

- მერე დაიწყე წერა გოგოებზე.

- ეს ახალი ეტაპია, რომელიც კრებულის გა-მოსვლის შემდეგ დაიწყო. მარშან ზაფხულში დავ-წერე "გოგოობის კანონი." ამას მოჰყვა "კარგად უნდა ვიყოთ, გოგო", რომელიც მოარულ ფრაზად იქცა. როგორც ჩანს, ჩემს ცხოვრებაში გოგოობის პერიოდი დადგა, გოგოური ამბების, რაც ლექსებ-შიც ბუნებრივად აისახა. მომდევნო წიგნს ალბათ ეს ხაზი შეკრავს. სხვათა შორის, ამ თემაზე წერა ერთგვარი პროტესტია. პროტესტი პოეზიისა და საერთოდ, ლიტერატურის დაყოფის წინააღმდეგ. ხომ ყოფენ ტექსტებს ქალურად და კაცურად? ქა-ლის ნააზრევს რაღაცნაირად აკნინებენ, თითქოს ნაკლებად მნიშვნელოვანია, მეორე სქესის მონა-თხრობს კი ზოგადსაკაცობრიოდ მიიჩნევენ. არა-და, ასე არ არის: მამაკაცი ცალმხრივად ხედავს მოვლენებს, ის გრძნობიერი, ემოციური მხარე აკ-ლია, რაც ჩვენ, ქალებმა უნდა მოვაყვეთ. რა არის ცუდი ემოციებში? მეც ხომ ისევე აღვიქვამ სამყა-როს, როგორც შენ, ოღონდ ცოტა განსხვავებულ-ად. როგორც ქალისა და კაცის საქმეა გაყოფილი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, ლიტერატურაშ-იც ასეა - ქალური ამბავი ნაკლებად მნიშვნელო-ვანია. სწორედ ამის გამო გამიჩნდა პროტესტის გრძნობა და მივხვდი, რომ ამაზე უნდა მოვყვე, მოვყვე ხაზგასმით, რადგან ეს ბევრ გოგოს, ბევრ ქალს სჭირდება. ერთი სიტყვით, ახლა ასეთი ეტა-პი მაქვს. ცოტა ხანში ალბათ ესეც გაივლის და სხვა პერიოდი დაიწყება. ამაზე უკვე შემდეგ.

ტორესა მოსი: რომანი სამყაროს შექმნას ჰგავს

ტორესა მოსის (ვახო მოსიაშვილი) ლიტერა-ტურული დებიუტი გასულ წელს შედგა. ახალ-გაზრდა მწერლის რომანმა - "სიბრძნე სიცრუ-სა" მკითხველი ცოტა დააბნია. კარგად ნაცნო-ბი სათაურის გამო ზოგმა პლაგიატში დაადანა-შაულა, ზოგმა - ამბიციურობაში, თუმცა ეს ყვე-ლაფერი რეალობისგან ძალიან შორსაა. სინამ-დვილეში წიგნი ერთ ყმაწვილზეა, რომელიც პა-ტარა პროვინციულ ქალაქში (ამ შემთხვევაში - თელავში) ცხოვრობს. ქალაქში, სადაც არაფე-რი ხდება და ძნელია რამე გადაგხდეს, თუმცა ცნობისმოყვარე ბუნებიდან გამომდინარე, თა-ვგადასავლებში გახვევას მაინც ახერხებს. ამა-სობაში იზრდება და პიროვნებად ყალიბდება. შვიდი ამბავი, რომელთა პერსონაჟებსაც პირო-ბითად მუსიკალური ბგერების სახელები ჰქვი-ათ და მთავარი გმირი სახელად - ნოტი, რომლ-ის გარშემო ეს ყველაფერი ვითარდება - ასეთია მოკლედ თანამედროვე "სიბრძნე სიცრუისას" სიუჟეტური ქარგა.

- ფაქტია, რომ დღესდღეობით "საბა" საქარ-თველოში ყველაზე მნიშვნელოვანი პრემიაა. "საუკეთესო დებიუტის" ნომინაციაში გამარჯ-ვება ახალბედა ავტორისთვის წარმატებული სტარტია. როგორ შეიძლება ამან შენს ლიტერა-ტურულ მომავალზე იმოქმედოს?

- რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა შრომა გიფასდება. ჩემთვის მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ის მომენტიც, რომ ტექსტის მიმართ, რომელმაც გა-მოცემის შემდეგ ცოტათი "მიიძინა," ისევ გაჩნდა ინტერესი. გამომცემლებმაც უფრო მყარად იგრ-ძნეს თავი თანაშრომლობის თვალსაზრისით. აუც-ილებლად მინდა ვთქვა: ჩემთვის ეს ჯილდო არ ნიშნავს, რომ ყველაზე კარგი ტექსტი დავწერე. ყველა პრემიას თავისი ლოგიკა აქვს და გარკვეუ-ლი თვალსაზრისით შესაძლოა შენი ნაწერი იმ მო-მენტში ამ ლოგიკასთან ყველაზე ახლოს აღმოჩნ-დეს. ეს არის და ეს. რაც შეეხება მომავალს, არა მგონია რაიმე განსაკუთრებული გაკლენა მოახ-დინოს და იმაზე უკეთ დავიწყო წერა, ვიდრე ვნერ. არც იმისთვის დავწერ, რომ მომავალ წელსაც პრე-მია დავიმსახურო. ჩემს ცნობადობას კი ნამდვილ-ად გაზრდის და უფრო მეტ მკითხველს ნააკითხ-



ებს ამ წიგნს, რაც ნებისმიერი ავტორისთვის მნიშვნელოვანია.

- "მიძინებული ყურადღება" ახსენე. როგორ შეხვდა ლიტერატურული საზოგადოება ამ რომანს?

- წიგნი შარშან ნოემბერში გამოვიდა და მკითხველის ყურადღება ნამდვილად მიიპყრო, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ლიტერატურული ნრეები ან კრიტიკოსები დაინტერესდნენ. "საბას" მიღების შემდეგ ინტერესმა ისევ იმატა, განსაკუთრებით საზოგადოების იმ ნაწილში, ვისთვისაც ეს პრემია მნიშვნელოვანია. ვიღაცამ ჩათვალა, რადგან გამოარჩიეს, ე.ი. წაკითხვა ღირს. ერთიც არის: დღეს, როცა ბევრი წიგნი გამოდის, კარგი ავტორის პოვნა გარკვეულ რისკს უკავშირდება. პრობლემაა ისიც, რომ ახალ ტექსტებზე ცოტას წერენ და შენთვის კომპეტენტურმა პიროვნებამ თუ არ გირჩია, უცნობ მწერალს ხელს არ მოკიდებ. ჩემს შემთხვევაში "საბა" სნორედ ამ როლს შეასრულებს.

- დებიუტის ნომინაციაში გამარჯვებულს საზოგადოება ყოველთვის ინტერესით უყურებს. როგორ წარუდგენ თავს მკითხველს, რომელმაც ახლა უნდა გაგიცნოს?

- ვეტყვი, რომ საინტერესო ავტორი ვარ ფორმის ძიების თვალსაზრისით. ვცდილობ, ტექსტი რაც შეიძლება დინამიკური იყოს და კარგად იკითხებოდეს. ამაზე ბევრს ვმუშაობ. ძალიან მინდა შევძლო ისიც, რომ ყველა ახალი ნამუშევარი მკითხველისთვის სიურპრიზი იყოს - როგორც ფორმის, ასევე მხატვრული თვალსაზრისით.

- ეს შენი პირველი წიგნია, მაგრამ არა პირველი რომანი. მანამდე რას წერდი და რა თემაზე?

- მანამდე ორი რომანი და მოთხრობები დავწერე. ვერ ვიტყვი, რომ ერთ კონკრეტულ თემაზე ვწერ. როგორც წესი, ჩემს ტექსტებში რამდენიმე პლასტი ფიგურირებს. პირველი რომანი პიროვნების მიერ საკუთარი თავის გაარზრებას ეძღვნებოდა. კიდევ იმას, როგორ აღიქვამენ ადამიანები ერთსა და იმავე მოვლენას: ის, რაც ერთისთვის სასაცილოა, მეორისთვის შეიძლება დამლუპველი აღმოჩნდეს, თუმცა ამაში არავინაა დამნაშავე. ამჯერად ახალ რომანზე ვმუშაობ, რომელიც ასევე მრავალპლასტიანი იქნება. თემები სხვადასხვაა, მათ შორის სიძულვილი, შურისძიება და სიყვარული, თუმცა, რასაკვირველია, ეს ყველაფერი ზედაპირზე არ დევს. ხდება ამბები, საიდანაც მკითხველმა დასკვნები უნდა გამოიტანოს. საერთოდ, საკუთარი ტექსტების კომენტირება არ მიყვარს. ვცდილობ, მაქსიმალურად ღია სივრცე დავტოვო, რათა მკითხველს ინტერპრეტაციის შესაძლებლობა ჰქონდეს. როდესაც განმარტებას ინყებ, მკითხველს აზროვნების საშუალებას უსპობ, მწერლის მისია კი სააზროვნო სივრცის შექმნაა და არა ფორმულების.

- "სიბრძნე სიცრუისა" მკითხველის ნაწილისთვის მხატვრულ მხარესთან ერთად ფორმის თვალსაზრისითაც საინტერესო აღმოჩნდა. რამდენად რთულია ახალი ფორმის ძიება დღეს, როცა თითქოს უკვე ყველაფერი ნათქვამია?

- ეს არ არის ახალი ფორმა, შეიძლება ითქვას, ახლებურად გააზრებული ძველია. მაგალითად სულხან-საბას იგავ-არაკები გამოდგება, რომლებიც ერთ სიუჟეტურ ქარგაზეა აწყობილი. ჩემს რომა-



ნშიც ერთი გამჭოლი პერსონაჟი ფიგურირებს, რომელიც თავიდან ბოლომდე მიჰყვება ტექსტს. ყველა თავში დრამატურგიული ხაზი დასრულებულია. თითოეული სრულფასოვანი მოთხრობაა. სხვათა შორის, ნერას რომ ვინყებდი, სხვა ჩანაფიქრი მქონდა, სულ სხვა ამბავს ვყვებოდი, თუმცა მუშაობის პროცესში მივხვდი, რომ ის, რაც ინერებოდა, გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, ამიტომ საწყისი სიუჟეტი ამოვჭერი, პერსონაჟები კი დარჩა. საბოლოო ჯამში ფორმა ტექსტმა მიკარნახა. სნორედ ეს არის ძიების პროცესი, რომელიც მუშაობის დროს მოდის. ბევრს ვფიქრობ დასაწყისზეც. პირველი წინადადება ძალიან მნიშვნელოვანია და დიდხანს ვეძებ. შეიძლება ოცი გვერდი დავწერო და მხოლოდ ამის შემდეგ "გამოიტანოს" ტექსტმა ის, რაც მინდა. იმ ოც გვერდს დაუნანებლად ვანადგურებ. ეს არ არის წყალში გადაყრილი შრომა - მან თავისი ნაყოფი გამოიღო.

- სტილ ზე ბევრს მუშაობ?

- თანამედროვე ლიტერატურაში ცოტა რთულია ხისტად ჩააფრინდე რაღაც სტილს. გაცილებით საინტერესოა ენაზე მუშაობა. ენას აქვს თავისი ჩამოყალიბებული სტრუქტურა, რომლის შეცვლა შეუძლებელია, ამიტომ არ უნდა ეჭიდაო. ვიღაცეები ცდილობენ, მაგრამ ეს რომ გამოგვივიდეს, შოთა რუსთაველი უნდა იყო. ენას რაც შეეხება, უფრო მეტი შესაძლებლობაა, მეტი სივრცე ექსპერიმენტებისთვის, თუმცა ერთ რომანში ამის გაკეთება წარმოუდგენელია. რამოდენიმე უნდა დანერო, რომ შენს ენას მიაგნო. "სიბრძნე სიცრუისას" შემთხვევაში ამის მცდელობა მქონდა, თუმცა ახალ რომანში აღარ გავმეორდები. სიახლე მინდა.

- შენი რომანის სახელწოდებამ არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ზოგმა პროვოკაციად მონათლა, ზოგმა - ამბიციად. სინამდვილეში რა იყო?

- საერთოდ, სულხან-საბამ ძალიან დიდი მუხტი მომცა ცხოვრებაში. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში ინტუიციით ვხდებოდი, რომ ის არ წერდა მხოლოდ დიდაქტიკურ იგავ-არაკებს, როგორც მაშინ გვასწავლიდნენ. დავარქვი იმიტომ, რომ ყველაზე კარგად გამოხატავდა ჩემს სათქმელს. ეს არის სათაური, რომელიც ინტერპრეტაციის მშვენიერ შესაძლებლობას იძლევა: შეიძლება გაიგო, როგორც გამოგონილ ამბავში შეფუთული სიბრძნე, ასევე, ცხოვრება ორ უკიდურესობას - სიბრძნესა და სიცრუეს შორის. ჩემს რომანში ორივე კონცეპტი ფიგურირებს. სხვა ვერსიებიც მქონდა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს სათაური ყველაზე კარგად გამოხატავდა სათქმელს. ვიღაცამ ამბიციად მონათლა, ვიღაცამ - ხმამაღალ განაცხადად, რეალურად კი ეს იყო პატივისცემა სულხან-საბას მიმართ - იმის გამოხატულება, რომ ამაზე უკეთეს ფორმულირებას ვერ მოვიფიქრებდი. ეს არც ეპატაჟია და არც ამბიცია.

- ზოგადად ეპატაჟი რამდენად მისაღებია შენთვის, ლიტერატურულს ვგულისხმობ?

- ეპატაჟი ნაკლებად მიზიდავს. სხვისი შეიძლება მომწონდეს, მაგრამ ჩემს შემთხვევაში მირჩევნია ყურადღება ტექსტმა მიიპყროს და არა პიროვნებამ. ლიტერატურულ ეპატაჟს რაც შეეხება, ჩვენს სივრცეში, სადაც ადამიანები წიგნებს არ კითხულობენ, ხშირად ეს ერთადერთი გზაა, რათა საზოგადოებამ აღიქვას, რა გააკეთე, ანუ მკითხველი წიგნთან მიიყვანო. ეს ავტორის ბრალი არ არის, უფრო არსებული ვითარების შედეგი მგონია. ქვეყანაში, სადაც პატარა ბაზარია, პრესტიჟულ პრემიას ყველა ვერ მიიღებს. რამით თუ არ მიიპყარი ყურადღება, წიგნი თაროზე, მკითხველის გარეშე დარჩება, რაც არცერთ ავტორს არ უნდა. აქედან მოდის ეპატაჟიც.

- ახლა რაზე მუშაობ?

- ვნერ ახალ რომანს, ვმუშაობ ფილმის სცენარზე და მზად მაქვს მოთხრობების კრებული, რომელიც მალე გამოვა. როდესაც რომანზე ვმუშაობ, სხვა რაღაცეებისთვის ნაკლებად ვიცლი, რადგან მთელი დრო და ენერგია ამას მიაქვს.

- რატომ მაინცდამაინც რომანი?

- რომანები ბავშვობიდან მიყვარს. რაც უფრო სქელი იყო წიგნი, მეტი ინტერესით ვკითხულობდი. ლექსს ვერ დავწერ. ჩემთვის პოეზია ძალიან ზუსტია, ასეთი სიზუსტით მუშაობა არ შემიძლია. რომანსაც სჭირდება სიზუსტე, თუმცა სხვაგვარი.

რომანი იმითაც არის საინტერესო, რომ სამყაროს შექმნას ჰგავს - გარეშო შემოგყავს, სივრცე, სუნი, ფერი, ხმა.....მოთხრობაში სიუჟეტს ყვები და დეტალებზე არ მუშაობ, თუმცა ამასაც თავისი სირთულე ახლავს - იმის გამო, რომ დეტალები არ გაქვს, საკმელი ერთი სიტყვით უნდა გამოხატო. რომანი დრამატურგიულად გაცილებით შრომატევადია - უამრავი ხაზი შემოდის, უამრავი ძაფი, რომელიც არ უნდა გაწყდეს, არ დაგეკარგოს. თუმცა ჩემი ტვინი ამ შემთხვევაში უფრო კარგად მუშაობს.

ზურაბ ქარუმიძე

ჯაზის ყვავილობა

ფრაგმენტები რომანიდან

თავი მეორე: კაპიტანი ვენორი

საკავშირო სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა საგანგებო აგენტურული ინფორმაცია მიიღო: ამერიკელებმა დაასრულეს ფსიქოტრონული იარაღის შემუშავება, კოდიფიცირებული სახელწოდებით „ჟასმინი" და მალე აპირებდნენ მის გამოყენებას. „ჟასმინი" რადიოტექნიკური ხასიათისა იყო და შეეძლო ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედება, მისი მართვა და რეგულირება შორი მანძილიდან, მოსახლეობის დიდი მასების დაფარვით. ეს მოასწავებდა გარღვევას „ცივი ომის" სტრატეგიაში - იქმნებოდა მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის უშუალო მენტალური კონტროლის უნიკალური პირობები.

მანამდე ფსიქოტრონულ კვლევებს ბოლშევიკებიც აწარმოებდნენ და ნაცისტებიც - მათში მონაწილეობდნენ აღიარებული მეცნიერებიცა და საიჭვო შარლატან-ოკულტისტებიც. მაგრამ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე, ამერიკელებს ხელში ჩაუვარდათ არქივები, სადაც თავმოყრილი იყო ინფორმაცია იმ საიდუმლო ექსპერიმენტების შესახებ, რომლებსაც ცალკე „ენკავედე" და ცალკე „გესტაპო" აწარმოებდა პატიმრებზე ულტრაბგერითი ზემოქმედებით, ასევე - სამედიცინო ჩანაწერები და ტექნიკური დოკუმენტაცია. როგორც ჩანს, ამერიკელები უფრო ინოვაციურად და მეტი ორგანიზებულობით მიუდგნენ ამ მასალებს და რეზულტატიც შედგა. ამერიკულ პროექტს ხელმძღვანელობდა ფსიქიატრის პროფესორი ერვინ კემერონი, რომლის საქმიანობაც მთლიანად წარიმართებოდა ალენ დალესის მფარველობით. ერვინ კემერონმა ვრცელი პროექტი შესთავაზა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორს, სახელწოდებით „წმინდა ტვინი" (Clear Brain) და სწორედ ამ პროექტის ფარგლებში მომუშავე ერთ-ერთმა ქვედანაყოფმა შექმნა „ჟასმინი".

•

დალესის ინიციატივით, ეს საიდუმლო იარაღი ფარულად უნდა ამოქმედებულიყო პრეზიდენტ დუაიტ აიზენჰაუერის პირადი ინიციატივითა და მისივე საგანგებო ფონდის დაფინანსებით წამონყებული

პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელებაც დაევალა სახელმწიფო დეპარტამენტს. პროექტის სახელწოდება იყო „ჯაზის ელჩები" (Jazz Ambassadors). იმ წლებში კულტურისა და სახელოვნებო ფორმები „ცივი ომის" წარმოების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებად იქცა. საბჭოთა კავშირი კლასიკური ბალეტისა და კლასიკური მუსიკის შემსრულებლებით „იბრძოდა", ხოლო ამერიკამ აქცენტი თანამედროვე - მოდერნისტულ ფორმებზე გააკეთა: ერთი იყო აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი ფერწერაში - ჯექსონ პოლოკის, მარკ როთკოს და მისთანა ვიზუალისტების გატანა და რეკლამირება საზღვარგარეთ; ხოლო მეორე: პირნმინდად ამერიკული სამუსიკო ჟანრი - ჯაზი. თანამედროვე ამერიკულ ხელოვნებაში გაცხადებული თავისუფლება - აი, რისი პროპაგანდა უნდოდა პრეზიდენტ აიზენჰაუერს თავისი ძირითადი მოწინააღმდეგის, საბჭოთა კავშირისა და მისი კომუნისტური სატელიტების წიაღში. რაღა თქმა უნდა, ყველა სახელოვნებო პროექტის ფარული კოორდინატორი ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იყო და, რაღა თქმა უნდა, პროექტში მონაწილე არც მხატვრებმა, არც მუსიკოსებმა ეს არ იცოდნენ.

„ჯაზის ელჩების" პროექტი არ იფარგლებოდა მხოლოდ ამ მუსიკის ცნობილი შემსრულებლების გასტროლებით ამერიკის გარეთ. ამ პროექტის საკვანძო ელემენტი იყო რადიოგადაცემა Music USA, რომელიც 1955 წელს დაიწყო „ამერიკის ხმის" ეთერში და რომელსაც უძღვებდა ყოფილი დისკ-ჟოკეი და სამეცნიერო-ფანტასტიკური მოთხრობების არშემდგარი ავტორი - ვინმე უილის კონოვერი. ეს გადაცემა, რომელიც მხოლოდ ჯაზურ მუსიკას ეძღვნებოდა, ეთერში გადიოდა ყოველდღე, ყველაზე უფრო სმენად დროს და მიუხხენში, ტანფერსა და ანკარაში დამონტაჟებული რეტრანსლიატორებთ ვრცელდებოდა მთელს ახლო აღმოსავლეთსა და საბჭოთა კავშირის ევროპულ ნანილში. გადაწყდა მისი გავრცელების არეალის გაზრდა - იაპონიაში დაიდგა კიდევ ერთი რეტრანსლიატორი, რომელიც ფარავდა რუსეთის შორეულ აღმოსავლეთს. სნორედ ეს რადიოგადაცემა უნდა გამხდარიყო „ჟასმინის" ფსიქოტრონული მოქმედების ძირითადი გამავრცელებელი.

საკავშირო სუკის მიერ მიღებული აგენტურული ინფორმაციის შემცველ ძირითად დოკუმენტს ახლდა დანართი, რომელიც შეიცავდა შემდეგ ინფორმაციას: „ჟასმინი" წარმოადგენდა ულტრამაღალი და ულტრადაბალი სიხშირეების ორსულ კომპლექსს, რომელსაც ადამიანის სმენა ვერ აღიქვამს და ტვინის იმ ზონებზე ახდენს ზემოქმედებას, რომლებიც განაგებს ემოციურ რეაქციებს. ამგვარი კომპლექსური სიხშირეების ტვინზე ზემოქმედების ინტენსიფიკაციას, შესაბამისი ემოციური რეაგირების გამძაფრებით, ახდენდნენ ე.წ. „ლურჯი ნოტები" (Blue Notes). ეს „ლურჯი ნოტები" წარმოადგენდნენ არამდგრადი სიხშირის პარამუსიკალურ ბგერებს, რომლებიც მინორულ და მაჟორულ ხმოვანებათა ურთიერკავეთის ადგილებში წარმოიქმნებიან და ძირითადად ჯაზის შესრულებისას ვლინდებიან.

ამ ინფორმაციის შესნავლის შემდეგ საკავშირო უშიშროების კომიტეტის ანალიტიკურ განყოფილებაში გაჩნდა რამდენიმე მოსაზრება, მათ შორის ისეთიც, რომელიც მიიჩნევდა, რომ ეს ყველაფერი ბლეფია და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მიერ გაკეთებულ მორიგ ფაბრიკაციას წარმოადგენს.

„ცივი ომი" ფაბრიკაციების ომიც იყო. მაგალითად, დაახლოებით იმავე პერიოდში, როცა გავრცელდა ინფორმაცია „ჟასმინის" შესახებ, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესისა და ადმინისტრაციის რამდენიმე მნიშვნელოვან წარმომადგენელს, ასევე წამყვანი ბეჭდვითი ორგანოების ჟურნალისტებს მიუვიდათ წერილი უცნობი გალაქტიკის პლანეტა UMMO-ს ბინადართაგან. წერილში ნათქვამი იყო, რომ ამ პლანეტაზე გაშენდა სოციალისტური წყობა და რომ ეს იყო საუკეთესო პოლიტიკური წყობა ყოველ შესაძლებელ წყობათა შორის და რომ დედამიწელებსაც სწორედ სოციალიზმის პირობებში ცხოვრება მოუტანდა ბედნიერებას (sic!).

ასეა თუ ისე, ორივე „ფაბრიკაცია" - ამერიკულიცა და საბჭოთაც — ითვალისწინებდა საზოგადოებრივ ინტერესს, რომელიც ამ ქვეყნების მოსახლეობაში თანდათან იჩენდა თავს იმ წლებში: საბჭოთა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებში შეინიმნებოდა ჯაზური მუსიკისადმი ინტერესის ზრდა, ხოლო ამერიკაში სულ უფრო და უფრო მატულობდა დაინტერესება უცნოპლანეტელებითა და მათი ამოუცნობი მფრინავი ობიექტებით.

* * *

კაპიტანი ვენორი ქვარცხავა წალენჯიხაში დაბადა, პედაგოგის ოჯახში, დედა დისასხლისი ჰყავდა. საშუალო სკოლაც წალენჯიხაში დაამთავრა, წარჩინებით, და სნავლა თბილისში განაგრძო - სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს მოუვიდა თვალში და სამუშაოდ აიყვანეს; ახალგაზრდა კაცი თვით ალეკსი ინაურმა დაიყენნ გვერდით... ლავრენტი ბერიას ხალხის მიერ კონტროლირებად ორგანოში მეგრელმა ყმაწვილმა კარგად წარმოაჩინა თავი და ოცდათორმეტი წლისა უკვე კაპიტნის წოდებას ატარებდა. ერთხელ თვით კაპიტონ ნაჭყებიასაც კი ნარუდგინეს, ლიძავაში რომ იყო ჩამოსული, სტალინის დაცვის თანამშრომელი რომ იყო და 1943 წელს თეირანში რომ ახლდა ბელადს.

„ვენაცვალე ოქტომბრის რევოლუციას!" - ამ სიტყვებისგან შედგებოდა ვენორი ქვარცხავას სახელი: *ვენ-ო-რ-ი*. მამამ დაარქვა ასე - მარქსისტულ-ლენინური იდეებით აშენებული ცხოვრებისთვის რომ განემზადებინა ახლად შობილი ვაჟი. ხოლო დედის მხრიდან ვენორი ქვარცხავა ტაია შელიას ბადიში იყო: *დიდი ტაია შელია - გველის მგეშავი! გველს რომ შეულოცავდა, გათვალავდა და ჯგიბეში ჩაისვამდა...* ისე, მამის მხრიდანაც ეგეთი წინაპრები ჰყავდა - მის ბაბუასა და დიდ პაპას, როგორც მეგრელ მოხუცებულ მამაკაცებში ბევრს, მამლის ენა ესმოდათ და წინასწარმეტყველებდნენ ხოლმე. ბავშვობაში, თვითონ პატარა ვენორის ორჯერ შეეყარა „თუთაში" - *მთვარის დაკვრა:* ღამღამობით აბოდებ-

და, პირიდან დორბლი სდიოდა, გრძნობას კარგავდა, გული ერეოდა, სიცხეს ძლევდა. ამის მერე კიდევ - ადამიანების ირგვლივ ფერად ნათებას ხედავდა... ასე რომ, ჯიშით და ჯილაგით ვეხორო ქვარცხავას, მამისეულ მარქსიზმ-ლენინიზმთან ერთად, სხვა რამეც გაუჯდა სისხლხორცეულად: მეგრული ნარმართული მაგიისადმი მიდრეკილება, ანუ „კოლხური ოკულტიზმი", როგორც შემდგომში თავადვე იტყოდა, თავისთვის...

მართალია, ლავრენტი ბერიამ, სტალინის ხელდასმით, ბოლშევიკი ოკულტისტებისა და „მრაკობესების" ბუნდღა აღარ დატოვა, მაგრამ 50-იანი წლებისთვის საბჭოთაა უშიშროების კომიტეტში ტელეპათიისა და ფსიქოტრონიკის დარგში მუშაობა კვლავ განახლდა. ამას არა მხოლოდ ამერიკელებთან პაექრობის აუცილებლობა განაპირობებდა, არამედ თავად ამ ტიპის იარაღის შექმნის შესაძლებლობის თავისებური ხიბლი: წარმოიდგინეთ - პატარა „ჩემოდანივით" დანადგარი, რომელიც ადამიანების მსაგბზე დისტანციური და უხილავი ზემოქმედებისა და მათი მართვის საშუალებას იძლეოდა... კაპიტანმა ვეხორი ქვარცხავამ თვით აღექში ინაურისგან მიიღო ამ საკითხის შესწავლის „კურთხევა" და მოსკოვში, სუკ-ის ცენტრალურ უწყებაში იქნა მივლენილი - ფსიქიტრონულ კვლევებთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაციის გასაცნობად, ასევე, უახლესი მასალების ჩამოსატანად - საქართველოს სუკ-ს ევალებოდა ამიერკავკასიის მიმართულების მომზადება შესაძლო ფსიქოტრონული შეტევის განსეიტრალებლად. ვეხორი ქვარცხავამ ამ მივლენებით ისარგებლა და რუსული საბჭოთა საიდუმლო „ფსიქოზემოქმედებითი (ფსი) პროექტების" შემცველ საარქივო მასალებსაც გაეცნო.

კვლევები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბუტლეროვს დაუწყია - ქიმიკოსი რომ იყო, ან, სკოლაშიც რომ გვასწავლიდნენ. ეს ბუტლეროვი ტელეპათიის ფენომენს იკვლევდა. ელექტროინდუქციური ჰიპოთეზა ჰქონდა, რომელიც ეხებოდა ორგანიზმებს შორის ურთიერთქმედებათა მესმერიზმს; ბუტლეროვი ფიქრობდა, რომ ორგანიზმებიდან ნერვული დენის ნაკადი მოემართებოდა, როგორც ეს ელექტროგამტარებში ხდება. მაგრამ ეს თეორია მხოლოდ გვერდიგვერდ მდებარე ორგანიზმებს შორის არსებულ ელექტრონინდუქციას ხსნიდა. საჭირო იყო დიდ დისტანციაზე არსებული ურთიერთქმედებების წარმოჩენა. საამისოდ შეიქმნა ტელეპათიის ელექტრომაგნიტური ჰიპოთეზა, რომელიც სამეცნიერო ჟურნალებში წარადგინეს ფაუსტრონმა, შმიდკუნცემ და კრუქმა. ეს უკანასკნელი - კრუქი -ინგალისელი ფიზიკოსი იყო და პირველად ისტორიაში დაასაბუთა და განსაზღვრა ტვინიდან მომავალი შესაძლო გამოსხივების რხევათა სიხშირეები - საშუალოდ 1018 რხევა წამში. კრუქი მიიჩნევდა, რომ ასეთი სიხშირის რხევების შემცველი გამოსხივება ყველა სისქის გარემოში აღწევს და ინტენსივობას ინარჩუნებს.

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ტელეპათიის ფენომენის ინტენსიურ შესწავლას უძღვებოდა ტვინისა და ფსიქიკური პროცესების ინსტიტუტის დირექტორი - დიდი ნეიროფიზიოლოგი ბეხტერევი. ასევე - ინჟინერი კაჟინსკი, რომელმაც მიზნად დაისახა „აზრების რეგისტრატორის" შექმნა, იგივე ტელეპათიის ელექტრომაგნიტური თეორიის დაყრდნობით. ამ ხელსაწყოს უნდა მოეხდინა იმ ელექტროსიხშირეების გენერირება, რომლებიც აზროვნებისას გამოიყოფა. 20-იან წლებში იმავე ცდებს ატარებდა იტალიაში იქაური პროფესორი კაცამალი - იგი ცდილობდა, ადამიანის თავის ირგვლივ ელექტრომაგნიტური ტალღების დაფიქსირებას და საამისოდ სპეციალური კამერაც შექმნა, რომელშიც ათავსებდა ცდის ობიექტს...

მაგრამ შემდგომში დადასტურდა, რომ ტელეპათია, აზრის დისტანციაზე გადაცემა, არ არის დამოკიდებული ელექტრობაზე.

ფსიქოტრონული კვლევების ახალ ეტაპზე აიყვანა პროფესორმა მიხაილოვსკიმ, რომელიც საკითხს რადიოტექნიკის კუთხით მიუდგა. ამ კაცმა დაადგინა, რომ გარკვეული სიგრძის ელექტრომაგნიტური იმპულსების სხვადასხვა კომბინირებისას, როცა ეს იმპულსები მეორდება 20-იდან 0,4 ჰერცამდე სიხშირით და მოდელირდება საშუალო და მოკლე ტალღების დიაპაზონში რადიოსიხშირეზე, ხდება ტვინის ცალკეულ ზონებზე ზემოქმედება - როგორც ემოციურ, ისე სხვადასხვა ორგანოთა მოქმედების მარეგულირებელ ზონებზე. ეს აღმოჩენა პირველი სერიოზული მიგნება იყო, რომელიც სასწრაფოდ აიტაცა შინსახკომმა და, ნარკოსაშუალებებთან კომბინაციაში, პატიმრებზე რამდენიმე ცდა ჩაატარა - შემდგომში ამას „რადიობგერის ეფექტი" ეწოდა...

ჯერ ჩეკა, მერე ენკავედრა, მერე კაგებე მოუთმენლად ელოდნენ ფსიქოტრონული ხელსაწყოს შემუშავებას, მტეიც - ეს ყველაფერი ხომ ჯერ კიდევ ძერჟინსკის ინიციატივით დადგა სახელმწიფო დონეზე, რასაც მისი ქალიშვილი, მარგარიტა ტელეცე ხელმძღვანელობდა. ვარაუდობენ, რომ 30-იანი წლების ე.წ. „საჩვენებელ პროცესებში" აღიარებითი ჩვენებების მიცემისას მსჯავრდებულები სწორედ ამგვარი ფსი-ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ.

ცხადია, ამ კვლევებში შარლატანებიც გაერეოდნენ. ასეთი იყო ერთი მოსკოველი ექიმი, გვარად სმირნოვი, რომელიც საქვეყნოდ გახდა ცნობილი ფსევდონიმით „ორნალდო" - თავისი დროის ყველაზე აღიარებული „ჰიპნოზისტი", რომელიც ქვეყნის მთავარ საცირკო არენებზე გამოდიოდა. იგი „ენკავედემაც" აიყვანა გასაიდუმლოებული კვლევების ჩასატარებლად. ამ ორგანიზაციასთან ორნალდოს კავშირი კიდევ იმითაა საინტერესო, რომ მისი ქალიშვილი ცოლად გაჰყვა აბაკუმოვს - საბჭოთა კონტრდაზვერვის მთავარი სამმართველოს უფროსი რომ იყო წლების განმავლობაში. თვით დიდ სტალინისაც ჰქონია იმ წლებში შეხვედრა ვოლფ მესინგთან - თავისი დროის უდიდეს ოკულტისტთან!

1932 წლიდან ფსიქოტრონულ კვლევებს ხელმძღვანელობდა ლენინდ ვასილიევი, რომელიც ბეხტერევის გარდაცვალების შემდეგ სათავეში ჩაუდგა ლენინგრადის ტვინის შემსწავლელ ინსტიტუტში ამ საკითხებზე მომუშავე ჯგუფს. ამჯერად იგი თავდაცვის სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში მუშაობდა. ვასილიევის ჯგუფში შედიოდნენ ფიზიოლოგები, ექიმი-ჰიპნოტოლოგები, ინჟინერ-ფიზიკოსები. სამუშაო ჰიპოთეზად აღებულ იქნა მიხაილოვ-

სკის „ტვინის რადიოს ელექტრომაგნიტური თეორია". დამზადდა ლითონის კამერები, იმ იტალიელი პროფესორის კვალობაზე, ოლონდ უფრო დახვენილი. სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობდა, რამდენიმე წარმატებული ცდაც ჩატარდა - დიდ დისტანციაზე (1 700 კმ.-ზე) ზემოქმედების ექსპერიმენტი... მაგრამ 1938 წელს ეს ყველაფერი „მრკოობესების" საქმედ შეიწირა - სტალინის ბრძანებით, როგორც ზემოთ ითქვა, ტელეპათიასთან და ამგვარ „მოოკულტიზმო" თემებთან დაკავშირებული პროექტები, მათ შორის ფსიქოტრონული იარაღის თემაც, დაიხურა. მხოლოდ სტალინის სიკვდილის შემდეგ მიეცა საშუალება ვასილიევს, კვლევები გაეგრძელებინა. „ცივმა ომმა" (ატომური ბომბის ორმხრივი ფლობის პირობებში) ფსიქოტრონული იარაღის შემუშავების აუცილებლობა ხელახალი სიმძაფრით წამოჭრა.

ინფორმაციამ „უასმინის" შესახებ სწრაფად გაიარა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შესაბამისი ორგანოების სტრუქტურებში, მოსკოვიდან თბილისამდე, და ვენორი ქვარცხავასაც „მიადგა" - როგორც იელოვასგან წარმოგზავნილი ვინმე მაცნე მიადგებოდა ხოლმე რომელიღაც ბიბლიურ პერსონაჟს. კაპიტან ქვარცხავას ამ ინფორმაციის მართებულობაში ეჭვი არ შეუტანია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ იცოდა - ფსიქოტრონულ კვლევებს მაღალი კვალიფიკაციის საბჭოთა მეცნიერების გარდა გერმანელი მეცნიერებიც ატარებდნენ, ხოლო მათგან ბევრი ახლა ამერიკელების სამსახურში იყო; ასევე - თავად ამერიკელები იყვნენ მეცნიერულ-ტექნიკური კვლევების შესანიშნავი ორგანიზატორები, ფინანსური რესურსიც საჭიროზე მეტი ჰქონდათ და ეს ყოველივე, ერთად აღებული, რაღაცა შედეგს აუცილებლად გამოიღებდა - *რა იცი, რა ხდება? აგერ, თვით აბაკუმოვი ყოფილა ჰიპნოტისტ-მესმერისტ „ორნალდოს" სიძე...*

და კიდევ: *ისლის სახლი, ნისლის სახლი! ისლის სახლი, ნისლის სახლი...* ტაია შელიას შთამომავალი, კაპიტანი ვენორი ქვარცხავა ფსიქოტრონიკის, მესმერიზმისა და ჰიპნოტიზმის ოკეანეში თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზად ქცეული ლიფსიტა, ოდესღაც ისტორიის ხელმა რომ მოისროლა მოუსავლეთში. მის სისხლშიც ხომ ფეთქავდა სამეგრელოს ჭაობთა მიაზმები, ტვინს რომ უმღვრევდა და იქ აჩხიბ იდეებს წარმოქმნიდა. მისი სამყაროს სურათი წინააღმდეგობრივთა დიალექტიკურ ერთობას შეიცავდა: ერთი მხრივ, მარქსისტულ-ლენინისტურ-სტალინისტური ხედვა სინამდვილისა, ხოლო მეორე

მხრივ - მეგრული არქაული წარმართობის, კოლხური მაგიის მოძალება და ყინი, რომელმაც კვლავ იფეთქა მისი არსების სიღრმეებში - „ჟასმინის" ამბავთან ერთად... განა ტაია შელია არ ივარგებდა კომუნისტად? აბა, მაშ ვინ იყო ლავრენტი ბერია, რომელმაც ამერიკას ატომური ბომბის საიდუმლო გამოსტაცა და „ახალუხის ჯიბეში ჩაიდო", როგორც ტაია შელიამ - მონუსხული გვეული... ვერანაირი ფსიქოტრონიკა ვერ აღუდგება წინ მეგრულ-კოლხურ მაგიას, თუკი ამ უკანასკნელს სწორი სამეცნიერო-ტექნიკური არხებით წარმართავ!

მანამდე, იდეოლოგიური მოსაზრებებითა და პარტიული დისციპლინის მოთხოვნების გამო, ვენორი ქვარცხავა თავის შეხედულებებს ვერავის გაუზიარებდა, მაგრამ ამჯერად მასში რაღაცა აიმღვრა, მაჭარივით, თანაც - მეტი თავისუფლება იგრძნო, უფრო ზუსტად - სამთვრობო პროცესების უმართავობა, მოშვება, მოდულება; შესაძლოა, ხრუშჩოვის იდეოლური პოლიტიკის შედეგი იყო ეს ყველაფერი... არა, პოლიტიკური პროცესები აქ არაფერ შუაშია, არა. „ენაარეული მოუბარი, ბნელი წართქმის ოსტატი, ბნელმეტყველი დაიბადა ჩემში!" - ფიქრობდა კაპიტანი ვენორი... ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადი იყო - ფსიქოტრონიკის ნიადაგზე ვენორი ქვარცხავას გონებაში უმართავი პროცესები დაიწყო - თანდათან - რასაც შეიძლებოდა, „ნევროტული აკვიატება," ან სულაც - „ჭკუიდან შეშლილობა" დარქმეოდა, თუმცა - ზომიერი, არაადრესიული. ამ პროცესებს არა მარტო „ჟასმინის" შინაარსისგან მიღებულმა უძღიერესმა შთაბეჭდილებამ მისცა დასაბამი, არამედ ისევ და ისევ იმ „სამეგრელოს ჭაობთა მიაზმებმა," რომლებიც ვენორის გონებაში ფეთქავდა: ეს იყო ბუნებაში მოქმედი ფარული ძალების მოხელთებისა და მათი მართვის მოთხოვნილება, უმალ არქაული, უმალ კოლხური...

ლენინურ-სტალინურ მოძღვრებას განახლება ესაჭიროება - ოკულტური შინაარსით გამდიდრება. ეს საქართველოდან მოხდება - სამეგრელოდან, კოლხური მაგიის ქვეყნიდან. მაშინ ამ მოძღვრებასთან დაპირისპირება ნებისმიერ ინარღს გაუჭირდება - ჟასმინი გინდა თუ ქრიზანთემა! განა ამერიკელებმა სხვა რა ქნეს? იქაური ზანგების სასიმღერო-მუსიკალური ტკიმასხრობა და ლაზღანდარობა - „ჯაზი" - აიღეს და მასში შეფფთეს ფსიქოტრონული ულტრამაღალი და ულტრადაბალი სიხშირეების რადიოტალღების ენერგია! („ჯაზი" - ამ საკითხს კიდევ უნდა ჩავუღრმავდე!)... კოლხურ-მეგრული ოკულტური პოტენციალის კონცენტრირება, გაძლიერება და ტრანსლირება რადიოტექნოლოგიური საშუალებებით - ასეთი ამოცანა დგას ახლა ჩვენ წინაშე, რათა მოხდეს საზოგადოების, ოჯახისა და პიროვნების კეთილდღეობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა... *ყინი ღორონთი დო თუდონნი ნერჩი, მახოდალს ძელი მეჩი, ჩურს სახანთო მეჩი...* ჯერ მარტო ამ სიტყვების ულერადობა ჟრუანტელს ინვევს კაცში! *ნერჩი პატენი... ობვამერ ლაგვანი... გალენიში ორთა... ვაშინერსი... თუთაში... თუთაში...* გამოუთქმელი უნდა გამოითქვას! დიონისოს მომღიმარი ბაგე უნდა ამოძრავდეს, ამეტყველდეს: ვენორის აბოდებდა დიდი კონსტანტინეს ამ რომანით, სადაც მისი გრძნეული წინაპარი იყო წარმოჩენილი... ამას კიდევ შტაინერიანული და ბლავატსკაიას მოძღვრების ნაგლეჯები დაემატა, რომლებსაც იგი გაეცნო და, შედეგად, მის თავში სრული „კამა-ლოკა" აღმოცენდა, აი, იერონიმუს ბოსხს რომ გაუხარდებოდა, ისეთი.

ვენორი გრძნობდა, რომ მარტო ვერას გახდებოდა, რომ ვიღაცისთვის უნდა გაეზიარებინა თავისი ოკულტური ხვაშიადი. საქალალდეებში იქექებოდა, „მრაკობესების" თუ სხვა რამ ეზოტერიკული საქმით გასული ხალხის შესახებ არსებულ მასალებს ეძებდა და სწორედ აქ, ამ მასალებში და დაკითხვის ოქმებში გადაეყარა ფრიად საინტერესო პიროვნებას, მოქალაქე ზაქარია კარმელს, დაბადებულს 1888 წელს...

ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘ: ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲯᲐᲖᲘ

გზა. გზაზე სუფრაა გადაშლილი. სუფრას ჩრდილი ადგას. სუფრასთან ხალხი ზის, მიდი-მოდის, ხან აკლდება, ხანაც ემატება... ჭრელი ხალხია, სხვადასხვანაირი: ბეზდელნიკები და დელეცები, პარტ-ფუნქციანერები, ქურდები და სპორტსმენები, პროფესორები, მხატვრები, არტისტები და მომღერალები, მწერლები, პოეტები, ბოჰემა, ალპინისტები, ტაქსისტები, ბუფეტჩრიკები, მორგინისტები, პლანაქეშები, მოსკოვიდან ჩამოსული ქალები, დიდი და პატარა მსმელები, შინაბერები, ბოზები, და კიდევ - აზდაკი, დათა თუთაშხია, შერეკილები და შაშვი მგალობელი. თოჯინები იცინიან, სუხიშვილები ცეკვავენ...

სუფრის კუთხეში ზის ვერელი ლოთი ფარვიზა მერკვილაძე და მის წინ მჯდომ პლეხანოველ კიკას ეუბნება:

„შენა ხარ ჩელავეკ კატორი სმეიოცა... გუიმპლენი ხარ, გუიმპლენი!"

პლეხანოველი კიკა მართლაც ზის და იკრიჭება, თან შიგადაშიგ ლუღლუღებს:

„ცოლი მინდა, ცოლი მინდა..."

„თაიმ ფორ ჯეზზ," - ეტყვის ფარვიზა, - „ინგლისურად ეგრეა, მარა, აი, ამერიკელები მაინც ესენაირად ამბობენ, ვილის კანოვერი რო ამბობს - თაიმ ფორ ჯეზზ აუარ! ე.ი. აღმატებულ ხარისხში ამბობს..."

„ᲐᲮᲖᲝᲚᲔᲜ მნე პრედლაჟინ ტოსტ ზა პრისუტსტვეიუშჩინ ზდეს ოჩერავატელნიხ დამ, ნაშიხ გოსტეი იზ ნაშეი სტალიეი, გოროდ მასკეი!" - იტყვის თამადა და ღვინით გავსებულ ბროლის საქსოფონს ასწევს...

ვიღაცა რაჯ კაპურის განსახიერებას ცდილობს, მღერის და იგრიხება:

„ავარა ჰუნ, ავარა ჰუნ...."

მერე "ამერიკულზე" გადავა - *Oh, when the Saints go marching in...* აი ასე:

„ოვანდუსექს, ოვანდუსექს, ოვანდუსექსოვანდუსექს..."

„ფაილენ სკაზალ, შტო ტი სკაზალ, ა აი გავარიუ შტო ტი ვრიომ! ა ტი შტო სკაყიშ?" - ამბობს მეორე.

მოსკოველი ქალებისკენ გივიგა მიემართება - კრისის, იულ ბრინერის პახოდკით...

„ოოო! კავო ია ვიუუ, ოოო!" - ამბობს გივია, როცა ქალებს მოუახლოვდება.

ამ დროს, ცოტა მოშორებით მჯდარ ბიჭებში ჩხუბი ატყდება:

„ასტამური ვარ, აჩბა!" - დაიყვირებს ლამაზი, ახოვანი კაცი. მაგარი ჯახი და ლაწალუწი მიდის... მერე ასტამურ აჩბას მოკლავენ.

„საყვარლის საფლავს ვეძებიიი, ვერ ვნახე, დაკარგულიყოოოო, გულამოსკნილიიიი ვსტიროდიიიი,

სადა ხარ ჩემი სული,ოოოო..." - გიჟი მარინა მღერის, პლეხანოვისა და სოლოლაკის ბილი ჰოლიდეი. მერე სუფრაზე კავალრებთან მჯდარ გოგოებს გასძახებს, თან ორი თითით ჭიქას ატრიალებს:

„თქვენს მაგარ იობარებს გაუმარჯოს, თქვე წაკლებო, თქვე ჩათლაშკებო! თქვენს მაგარ იობარებს ვენაცვალე ყვერებში..."

„ხო გესმის, იუზგარ, ზონაში ახალი შესული ვიყავი და პალაჟენის დასალაგებლად კაცს ვედროთი თავი მოვაჭერი, აი ეგრე..." - ჩარჩოებში მყოფი ქურდი ეტყვის ფრაერს და უჩვენებს, როგორ მოაჭრა ტიპს თავი ვედროთი.

„ქურდული გაგება იგივეა, რაც დახვეწილი სმენა; რაც არა გაქვს, არა გაქვს!" -გაიფიქრებს და იტყვის ფრაერი. მერე მერცხვება თავისივე ნათქვამისა და თემას გამოცვლის, იკითხავს - „ქურდმა დელეცია-სგან ფული რომ აიღოს, შეიძლება?"

„აბა როგორ გინდა, მარტო რაიკომის მდივანმა უნდა ჭამოს?!" - ეტყვის ქურდი, - „უნდა აიღოს, აბა რა..."

„და მორფი რომ გაიჩხიროს ქურდმა, ეგეც მოსულა?" - ისევ იკითხავს ფრაერი.

„თუ კაცს უჭირს, უნდა შეუწყო ხელი..." - პასუხობს ქურდი და პაპიროსის ბოლში ეხვევა...

„ახლა ჩემ ძმებო და დებო, ჩემო საყვარელო ნაღხო, მე მინდა, ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო ვადღეგრძელო!" - ისევ ღვინით-სავსე-ბროლის-საქსოფონისტი ატყვის ხმამაღლა...

თოჯანები იცინიან, სუხიშვილები ცეკვავენ, ქალი კი მღერის - მღერის, რომ ქარი კვლავ არხევს ნაცნობ ლელიანს და ბულბულები ისევ მღერიან...

საქართველოოოო, რუსთაველის და სტალინის სამშობლოოოოოო... ხმა ააყოლა ჩონგურიანმა მომღერალმა. ამაზე კიდევ ლექსად თქვა ვიღაცამ: *საქართველოში იბადებოდნენ და მერე დიდხანს წუხდნენ ამაზე!*

სუფრისკენ, თავისი ამალით, მოემართება მედიკო მებურიშვილი - აი ძაან ლამაზი ახალგაზრდა ქართველი ქალი, აი „თოჯიენები იცინიანში" წყლის ფანტანჩიკთან რომ მიდის და წყალს რო სვამს, Girl from Ipanema - ვინრო კუპალნიკში და რამე... ძველი ბიჭების დედფფალი, პირველი ქართველი მორფინისტი გოგო, ბოლოს რო გაიპარა - მოხეტიალე პატარა სულო, სულიკო, animula vagula blandula — კრიმინალურ მატერიაში გაბლანდულო!

„ვა, რა ჟასმინის სუნია, ტო!" - იტყვის ერთი მოშავალი ბოეტი...

იწყება მაგარი ჭამა: ერთი ცნობილი მსმელი ვინმე მოიღებს შემწვარსა გოჭსა, მოიღეებს ხუთსა თეფშსა ფხალისასა და ამ ფხალით იმ გოჭს ამოტენის და მადიანად შეუტევს, ხოლო მადას კანიაკით გაიხსნის - ერთი-შუა-ნახევარლიტრიანი კანიაკით, ეგ-რევე, აპრაკიდონტაშ!

ჭამა... არა, ჭამა ნაკლებად, ძირითადად სმა მიდის და ლაპარაკი და ქმედება:

უცებ, საიდანღაც მოვარდნილი გრიგალივით, სუფრას ვინმე მხედარი გადაევლება - უუნაგირო ცხენზე მომჯდარი!

„გურამ! გურამ! რჩეულიშვილია..." - შესძახა ვიღაცამ და რაინდული პპთოსით წართქვა, - „ვნების ძალა შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში!"

იქვე გვერდით კი სულ სხვა გუნების კაცი იჯდა, გულს ლუდის წრუპვით ირთობდა და მასლაათით. სუსტი ხმა ჰქონდა და არც ხოში ჰქონდა კივილისათვის, სულ არ უნდოდა მარანის ღვინო... თვალთა შემართვით წააგავდა ევროპიელსა, შოთა ჩანტლაძე იყო - ჩუმი პოეტი...

აი სწორედ მას გადაახტა თავზე უუნაგირო ცხენით რჩეულიშვილი გურამ და სუფრის წევრ ქალთა გულებიცა და მამაკაცთა ფიქრებიც თან ნაიყოლა!

„რის პივა, რა პივა, ბიჭო?" - ვიღაცა მიახლის ჩუმსა პოეტსა, - „პივა მაიმუნების კაკაოა! პივაზე სიტყვას იტყვი? ვერა! კატის ფსელია..."

„ვანა ცივი ლუდი უფრო ცივილური არ არი?" - ჩუმად იხუმრებს ჩუმი პოეტი და სუფრის წევრებს შეათვალიერებს.

ღვინის სასმელი ჭურჭლის მრავალფეროვნებაა - განსხვავებული სასმისებისა! როგორც მუსიკალური ინსტრუმენტები დიდი ორკესტრისა, რომლებსაც მელოსი აღავსებს - დიონისური სუბსტანციაა: ყანნი, თასი, ჭინჭილა, აზარფეშა, სირჩა, თლილი ჭიქა, ჩამჩა, ხილის ვაზა, ლამპის შუშა, კრამიტი, ვეება ვეტერინარიული შპრიცი, სანადირო თოფის ლულა და ღორის მოჭრილი თავის ყური...

ღვინო კახურო, კარდანახულო, ვარ შენი მსმელი; წავიდე სახლში, ცოლშვილს ფეხები დაუბრახუნოოო... მთვრალი კაცი - კაი კაცი! მთვრალი კაცი - თავისუფალი კაცი! მთვრალი კაცი - ბოჭემა და ხელოვანი კაცი! საქართველოში დალევა და დათრობა ხომ ნაღდი ჯაზია; სმაში გაჯიბრება კი ისეთი გზნებითა და თავდავიწყებით მიდის ხოლმე, როგორც საქსოფონების ჯაზი და გაჯიბრება იციდნენ თავის დროზე კანზას-ქალაქში - დაბინდებიდან გამთენიამდე, თავდაუზოგავად... ან კიდევ, კაცი რომ დალევს და მეგობარს გულს გადაუშლის — ხვაშიადს გაუზიარებს, ეტყვის იმას, რასაც სხვა დროს ან ალაგას არ იტყოდა, არამედ სწორედ იქ, დალევის მომენტში, დალევისას გახსნილი ენითა და გონებით, იქვე იტყვის რაც საოქმელია, იტყვის ლამაზად და მოხდენილად, როგორც, აი, კოლმან ჰოუკინზი, ან ლესტერ იანგი, ან დეექსტერ გორდონი, ღამის კლუბის სცენაზე მდგარნი, სოლოს დაკვრისას ამბობდნენ იმას, რაც იმ წუთას, იმ ალაგას, იმ გუნებაზე ყოფნისას მოსდიოდათ გულსა და გონებაში - ესენიც იტყოდნენ ლაღად და მოხდენილად, ბოლომდე იტყოდნენ... ჰო, თორობა თავისუფლებაა, როგორც ჯაზი...

ღვინით სავსე ბროლის საქსოფონმა ახალი თემა შემოაგდო:

„ღვინოს გაუმარჯოს! ყურძნის მომყვანსა და ღვინის დამწურავ კაცს გაუმარჯოს!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა რანი ვიქნებოდით ჩვენ ღვინის გარეშე? არც არაფერი ვიქნებოდით, ქართული კულტურა ხომ თრობის, ზარხოშის კულტურაა და ეს თრობა, ეს ზარხოში აქ ყველაფერშია.

სადღეგრძელო ბევრმა აიტაცა: ზოგი ხაიაბს კითხულობს, რაც გაუგია, ზოგი ლადო ასათიანს, ზოგი ფიროსმანის კალმით ნახატ სურათებს ესიყვარულება...

თუმცა ცოტა ხანში ამ დიონისური სანყისის ზეობას ჩაანაცვლებს აპოლონური: კოდეინი, ნოქსირონი და თერჯოლის შამპანიური - ორი ჭიქა ჯარიდან რომ ათავისუფლებს... ჰო, ჩაანაცვლებს, რომორც თავის დროზე აპოლონურ-მჭვრეტელობითმა ქულჯაზმა ჩაანაცვლა დიონისურ-ზარხოშიანი ბი-ბოპი!

თოჯინები იცინიან, სუხიშვილები ცეკვავენ, ქალი მღერის...

„ერთი სერენადა სოლნეჩნაი დალინი დაგვიკარი, ჩემო ოქრო!" - ითხოვა ვიღაცამ და ვიღაცამაც დაუკრა...

მოქეიფე ხალხი ერთობ გახალისდა და სუფრაზე გაჟღერდა ორმაგი სტანდარტები. ორმაგი სტანდარტი - ბლუზური ტონის ქართული ანალოგი! ისევ და ისევ ქართული ღვინის სადღეგრძელო - შაქრიანი ღვინით თქმული; კდემამოსილი „ულარნეტისტკა" ქალები - ხოტბა-დიდების პიედესტალზე აყვანილი; სიქალწულის აპკ-ამოკერებული ქალიშვილები; გამოცდის ჩამწყობი სწავლის მძებნელი; პარტ-ნომენკლატურული და ქურდული, პარტნომენკლატურული და აკადემიური, ქურდული და აკადემიური გაგების ურთიერთგაგება; გვერდზე გაყვანა და თირკმელში მსუბუქად დაჭრა; მოკლედ - ჩიტი-გვრიტი როგორც ზრიშანი! ბლუზური ტონიც ხომ ეგ არის: თან *სი* არის თანაც *სი-ბემოლი,* თანაც - რაღაცა შუაშია, მინორზე მომჯდარი მაჟორი და პირიქით...

ჯაზი ქალაქური, ურბანული სახელოვნებო და კულტურული ფორმაა. ჰოდა, მაშ, ქართული ჯაზი თბილისელობის გარეშე როგორ იქნებოდა?! იმ მხრიდან, საითაც უუნაგირო ცხენოსანმა გაუტია, გრუზავიკი გამოჩნდა. გრუზავიკზე მოტოროლერი იყო დამაგრებული, მოტოროლერზე კი ახალგაზრდა კაცი შემომჯდარიყო და მღეროდა: „მე თბილისელი ბიჭი ვაააარ, ყადრიანი და გამგებიიიი..." მარჯვენა ხელი განზე ეპყრა, ზედ მიმინო ეჯდა და ფრთხიალებდა, ხოლო ნინ ხოხბები მიფრინავდნენ... ყადრიანი და გამგები ბიჭი, როგორც ახალგაზრდა ზიდჰარტპა, რომელსაც მოივლინნა სამი ნიშანი: დავრდომილი, მოხუცი და მკვდარი; ამ თბილისელ ბიჭსაც მოევლინება სამი: მავანი პარტიის ცეკადან, მავანი „ლეგი ფულის" მკეთებელი და მავანი ქურდი, წამალზე შემჯდარი - მოევლინება და ეს თბილისელი ბიჭიც გაუგებს მათ, თუმცა გულზე არც ერთი ეხატება, უბრალოდ - ესმის მაგათი... ამ თბილისელ ბიჭს დედა-მზე კოცნის და მამა-მთავრე არიგებს ჭკუას, ეს თბილისელი ბიჭი ლერწმის სალამურია, რომელსაც ისე ააკვნესებ, როგორც გინდა; ეს თბილისელი ბიჭი ამ ჭადრის ფოთოლია, რომელსაც ქარი წაიღებს და ქარი მოიტანს... ამ თბილისელ ბიჭს (ოტ-ცოტა ყველაფერი ესმის და უყვარს, მაგრამ ყველაზე უფრო თავისი თავი უყვარს - სატვირთო მანქანის ძარაზე შედგმულ მოტოროლერს მომჯდარი...

ჟირკამბინატის ეზოში
ჯეკმალა შემხვდაااა,
იმან მითხრა: „ბიჭო, ნუგზარ,
გავსწორდეთ ეხლაااა..." ...

ის კი არა და, ავანგარდისტული ფორმებიც ჩამოყალიბდა ამ ქართულ ჯაზში:

სუფრასთან მჯდომმმა ორმა ჯეელმა ბუფეტჩიკს მოუხმო. ამათ კაი ფული ჰქონდათ ნაშოვნი, თითოეულ მათგანს ტკიცინა თუმნიანების საკმაოდ მოზრდილი შეკვრა ედო წინ. ბუფეტჩიკიც ეგრევე ეახლა. ავანგარდიზმი მაზალო რამეა - თან რაღაცა ბავშვური უმანკოებაა მაგაში, თან კიდეე რაღაცა გაუკვალავში წინნასული რაშ... ერთ-ერთმა ფულიანმა ბუფეტჩიკს ფულის დასტა დაანახა და უთხრა, რომ თუ ნეკა თითს მოიჭრიდა და ამ ფულის დასტაზე შეწვავდა, რო ამდენ ფულს მიიღებდა საჩუქრად. ავანგარდისტული ქმნილება ხომ რაღაც აბსტრაქტულია და იმავე დროს რაღაცა მტკივნეული, ჰო - ტკივილისა და სიამოვნების მომგვრელი ერთდროულად... ბუფეტჩიკმა ფულის დასტებს უყურა, თითოში კაი ბლომად იქნებოდა - რამდენიმე ათასი მეეთი. ავანგარდიზმი რთული გამონვევის წინაშე დგომაა: თქვა ახალი და მანამდე უთქმელი მაშინ, როცა უკვე ყველაფერი ნათქვამია წინამორბედთა მიერ. ამ ორ კაცსაც იმდენი ფული ჰქონდათ ნაშოვნი, რომ იქე ფულად ხომ არ აქცევდნენ? ვინმემ შეიძლება თქვას, ამათ კაცის სულის სიღრმეებში დაფარულის წვდომმა მოუნდათ - აბა, ნეტავი, რაზე წავა ეს ბუფეტჩიკი ფულის გულისათვისო? არა, სეირი უნდოდათ, მეტი არაფერი, ან - საერთოდ, უნდოდათ რამე? მაგარი მთვრალები იყვნენ და... ბუფეტჩიკმა, ჯერ გაიკვირვა, მერე ფულს შეხედა, აწონ-დაწონა, მერე ერთი-ორი კაი თლაშოი ჭაჭა გადახუხა, დადო ხელი ყასბის კუნძზე და ნაჯაზის ერთი სხარტი მოძრაობით ის ნეკა თითი მოიჭრა! ჭაახ!!! სისხლმა იფეთქა, როგორც დაუფარავმა ემოციამ, ცნობერების სიღრმიდან ამომავალმა - კიკილმა, ეროტიზმმა, რეპრესირებულმა ლტოლვამ, ყოფიერებამ, როგორც ასეთმა, რომელსაც კულტურული ფორმები ვეღარ ალამაზებს; იფეთქა, როგორც ბუნებას აყოლილმა სპონტანურმა იმპროვიზაციამ არარას თემაზე, როგორც წმინდა აბსტრაქციამ, როგორც... ორივე ფულიანი კაცი ბუფეტჩიკთან მივიდნენ და ტკიცინა თუმნიანები ზედ დააბნიეს, ხოლო თავად ბუფეტჩიკს გული ნაუვიდა - მეტის სიხარულითა და ტკივილით... მაზალო, წინააღმდეგობრივი რამეა ავანგარდიზმი!

თავად საქართველოც ეგრეა - თან ულამაზესი, თანაც უმახინჯესი...*ო, დაუკვირდი, კარგო, ამ ამბავს, ძველია იგი და ძველისძველი; ეგ სილამაზე დაგლუპავს ისე, როგორც დალუპა რქებმა ირემი!* - ნაუმღერეს ტურეცამ და ბიჭებმა... თოჯინები იცინიან, სუხიშვილები ცეკვავენ...

„დინამო!!!"

ბროლსაქსოფონის დამკვრელმა ლიდერმა აფიციანტებს სთხოვა - შამპანურს წიწმატით გაზი გააცალეთო და დამისხითო! და ასე, გაზგაცლილი შამპანურით სავსე ბროლ-საქსოფონი მაღლა ასწია:

„თავისუფლებას გაუმარჯოს! როგორც დიდი ილია იტყოდა: როდის იქნება, რომ ჩვენივე თავი ჩვენივე გვეყუდნეს! თავისუფლებას გაუმარჯოს!"

უცებ, სუფრას თვითმფრინავმა გადაუფრინა - ძალიან დაბლა მოფრინავდა, გრიალით გადაუქროლა იქაურობას და დასისხლიანებული ჯინსები ჩამოყარა! ეტყობოდა, რომ იქ, შიგნით, თვითმფრინავის სალონში რაღაცაგვარი თავისუფლება იკვეთებოდა, იჭრებოდა - პატარა, თუნდაც იმ ნეკათითისოდენა!

ჰო, ჯაზი თავისუფლებაა!

სუფრის წევრები ფეხზე ადგომით სვამენ გაზგაცლილი შამპანურით სავსე ბრლოის საქსოფონებიდან. თოჯინები იცინიან, სუხიშვილები ცეკვავენ, სამი უსინათლო ქალი კი მღერის: დაუკარიიიიოთ...

... ...

... ...

და მერე დაიწყო დიდი ჯაზი
პოსტმოდერნისტული ოთხმოცდაათიანებისა -
ნგრევა-შენების ორმაგი კოდირებით -
და ღვინის მაგივრად ძუნას ნახარში გვასხა ცხოვრებამ - Bitches Brew!

და ამას მოჰყვა ვერაგი ღვინისა და ვარდების დღეები - ცხრა წელიწადს რომ გასტანა: The Days of Wine and Roses...

და მერე იყო ოცნება - ნაგები საგანთა უარით...
იყო ტაბურეტების რეტი და ჭინჭარი ალაგ-ალაგ - სპირიჩუელზი და გოსპელი...
და იყო ტექტონური ძვრები, კატაკლიზმები - დიდი და მცირე,
იყო სინკოპა-ტერაქტები: ფუნდამენტალჯიჰადისტური...
იმატა დეპრესიამ და სუიციდმა.

მაგრამ, უეცრად ჩვენი ისტორიის ჯაზმა გეოპოლიტიკური აკორდები ისე გადააწყო და გადაათამაშა, რომ ჩვენი წყალი იქცა გლობალურ ღვინოდ, ანუ -ნათეობად:

მოხდა ისე, რომ სასმელი წყალი მთელ მსოფლიოში მხოლოდ საქართველოში მოედინებოდა!

ხოლო ქართულ წყალთან ერთად გლობალურ ენაში - ინგლისურში - დაიწყო შეღწევა ქართულმა ენამ, რადგან წყალი ინახავს ერისა და მისი ენის განუმეორებლობას! ჯერ მხოლოდ ორი სიტყვა შევიდა - „ზეგ" და „შემომეჭამა", ხოლო შემდგომში - სრულიად ლექსიკა ქართული...

და ამის შედეგად, თანდათან, ნათელი გახდა, რომ იოანე-ზოსიმე ჭეშმარიტად ჭვრეტდა მომავალს

და ისიც გაირკვა, რომ ასო „წილი" ქართული ანბანისა აღნიშნავს „წყალს"!

და მაინც, მთავარი საიდუმლო ამ ენაში დამარხული არის უმალ ტანტრისტული ძირი - „ტყვ" — სიტყვა/ტყვნა

და ესაა ერთობა სიტყვისა და სიყვარულისა - სიტყვარული!

მალე ეს სიტყვა განკაცდება და ჩვენც ველით მის მოსვლას!

It's very clear, our love is here to stay, not for a year, but forever and a day...

ხოლო მანამდე ჩვენ გადავსახლდებით კოსმიურ საქართველოში:

დიახ, არსებობს კოსმიური საქართველო! იგი მდებარეობს უშორეს ნისლოვანებაში სახელად „ჩაკრულო"...

Heaven, I'm in Heaven, and my heart beats so that I can hardly speak...

დიახ, საქართველო გადარჩა - ეს სამიათასწლიანი ბლუზური ტონი, თან ხალისიანი, თანაც სევდიანი!

და ისევე, როგორც მიწიერი საქართველო, ევროპასა და აზიას შორის, კოსმიური საქართველო მდებარეობს მატერიისა და ანტიმატერიის ზღვარზე... Between the Devil and the Deep Blue Sea...

თავისკენ გვეძახის, თავისკენ გვიხმობს ბნელი მატერია - იდუმალი მატერია, რომელსაც ამდენი ხანია იკვლევდნენ ასტრონომები და კოსმოლოგები.

და ჩვენ უკვე ვიცით, რომ სწორედ ეს ბნელი მატერიაა ადამიანის თავისუფლების საფუძველთა საფუძველი და პირობათა პირობა.

თავისუფლება არ არის ადამიანური არჩევანის შესაძლებლობა; იგი არც გაცნობიერებული აუცილებლობაა, არც სხვის წინაშე პასუხისმგებლობა, არც ლომთა ხვედრი და ა.შ.

ჩვენა ვართ მზისა და მთვარის შვილები, ვარსკვლავთა დანი და ამანი!

თავისუფლება კოსმიური ბნელი მატერიის გამოვლინებაა ჩვენში -მათრობელა, როგორც ღვინო, რომელიც ძარღვებში გვიდუღს!

Georgia, Georgia,
No peace, no peace I find,
Just an old sweet song
Keeps Georgia on my mind...

თბილისი, 2013-2014

ივა ფეზუაშვილი

კაია

თავი პირველი

რაღაცნაირი ოთკუთხედი და უხეში ვარ. წვეტიანი ოთკუთხედი? შეიძლება! - არ ვიცი. ადამიანებთან ურთიერთობის დროს დისკომფორტს განვიცდი, ისინიც იმავეს გრძნობენ. მე რაღაცის თქმა მინდა, აი, როგორც ეხლა, მინდა აკუხნა როგორი ვარ, მაგრამ ჩემი პიროვნების დასახასიათებლად სიტყვებს ვერ ვპოულობ, მხოლოდ გეომეტრიული ფიგურა მახსენდება. საუბრის დროს აზრის ჩამოყალიბება მიჭირს, არადა, ტვინში ყველაფერი სწორად მაქვს ხოლმე დალაგებული, მაგრამ ერთია, რას ფიქრობ და მეორეა - რას ამბობ და როგორ ამბობ. მე ვფიქრობ, რომ ვერ ვამბობ, მაგრამ ვფიქრობ, რომ სწორად ვფიქრობ იმას, რისი თქმაც მინდა. აი, ეხლაც გავიჭედე. ადამიანებს რაღაც ისეთის მოსმენა უნდათ, რომლის თქმაც მე არ შემიძლია, არ შემიძლია ან არ მინდა, ამიტომ ვცდილობ მარტო ვიყო, მარტო და ჩემთვის, ჩემთვის და წყნარად, წყნარად და სხვებისგან შორს. სხვებისგან, რომლებიც მაწუხებენ და რომლებსაც ვანუხებ.

მიუხედავად იმისა, რომ სიწყნარის და სიმშვიდის მოყვარული ვარ, სასაფლაოები მაინც არასდროს მყვარება, არასდროს ვყოფილვარ ემო და არასდროს მყოლია კატა, არც ძაღლი, არც ზაზუნა, არც ქსოვა ვიცი და ასოციალურობას თუ არ ჩავთვლით, სხვა არანაირი გადახრა არ მაქვს. ასოციალურობას კი გადახრად ვერ ჩავთვლი, ეს უფრო არჩევანია, ან ცხოვრების წესი, ან ცხოვრების წესის არჩევა. ჩემს არჩეულ ცხოვრების წესში კი სასაფლაოებზე წვიმიან ამინდში მარტო ხეტიალი არ შედის, მაგრამ ეხლა მაინც სასაფლაოზე ვარ. ბაბუაჩემის დაბადების დღეა და გადავწყვიტე ამოვსულიყავი. ჩემები, ეტყობა, უკვე იყვნენ საფლავზე, სანთელია დანთებული. სასაფლაოს დაბალ ღობეზე ჩამოვჯექი და ბაბუაჩემის ერთადერთ გაღიმებულ ფოტოს შევხედე.

ბაბუაჩემი ძალიან კარგი კაცი იყო, ზედმეტად კარგი კაციც კი, პირველი ფოტოაპარატი "ზენიტი ე" მან მაჩუქა, თან კოდაკის სამოყვარულო ფირიც მოაყოლა და გამაფრთხილა, მარტო ის გადაიღე, რაც შენ გაინტერესებს, რასაც შენ თვლი საჭიროდ და რაც გინდა, რომ შენთვის შეინახოო. იცოდე, ფოტო იგივე ისტორიაა, შენი ისტორია, და ისე უნდა გადაიღო, როგორც შენ ხედავო. მე ალბათ ცამეტი წლის ვიყავი და ბაბუაჩემს ვუთხარი, შენი გადაღება მინდა-მეთქი. ჩემი რატომო? შენ ყველაზე უფროსი ხარ და მაღე მოკვდები-მეთქი. ბაბუაჩემს გაეღიმა, ალბათ ცხოვრებაში მეორედ ან მესამედ და მეც გადავუღე, რა თქმა უნდა, ფოტო მაინცდამაინც ხარისხიანი არ გამოვიდა, ცოტა უფოკუსოა, ცოტა ბნელი, სამაგიეროდ ბაბუაჩემის ერთადერთი გაღიმებული ფოტოა, ჰოდა, ბაბუაჩემმაც ანდერძი დაიბარა, ეგ ფოტო მინდა ჩემს საფლავზეო.

გაწვიმდა. ბაბუაჩემის საფლავზე ვზივარ და მის ფოტოს ვუყურებ. არ ვიცი, რატომ ამოვედი, არ ვიცი, რატომ ამოდიან ადამიანები მიცვალებულებთან, იმის მაგივრად, რომ თავიანთი ცოცხალი მეგობრები ნახონ... არ ვიცი, რა საჭიროა ეს მოვალეობის მოხდა, ბაბუაჩემი იყო და აღარ არის და თუ სადმე მაინც არის, ალბათ მხოლოდ მოგონებებში. ჩემს მოგონებებ-

ში კი ბაბუა არასდროს იღიმის და ძალიან უცნაურია, რომ საფლავისთვის ეს მომღიმარი ფოტო აირჩია. ალბათ ბაბუას უნდოდა, რომ გაეღიმა ხოლმე და ვერ ახერხებდა, ისე როგორც მე მინდა ხოლმე ადამიანებთან კონტაქტი და ვერ ვახერხებ, ალბათ საფლავისთვის მეც რამე ხრიკს მოვიგონებ - "ცხოვრობდა და უყვარდა" ან "ცხოვრება უყვარდა"-ს დავაწერინებ საფლავის ქვაზე. ხო, ალბათ ეგრე ვიზამ. რა საჭიროა, გაგიხსენონ ისეთი, როგორიც იყავი, უნდა ეცადო, სიკვდილის მერე მაინც გახდე ის, ვინც გინდა რომ ყოფილიყავი. ბაბუა ძალიან ბრაზიანი კაცი იყო, ზედმეტად ბრაზიანიც კი, მაგრამ მისი მომღიმარი ფოტოს შემხედვარე იფიქრებ, რომ ყველაზე ბუნჩულა ადამიანთან გაქვს საქმე. ამ ფოტოს წყალობით ბაბუაჩემს ყველა, როგორც მომღიმარ კაცს, ისე იხსენებს. ბაბუა ისეთი გახდა, როგორიც არასდროს ყოფილა და ეს ყველაფერი ერთი უფოკუსო, ნახევრად ბნელი, მარმარილოს ფილაზე გადატანილი ფოტოს წყალობით მოხდა.

ავტობუსების გაჩერებისკენ წამოვედი. წვიმამ იკლო, რაღაცნაირად დახრილად წვიმს და წვიმის წვეთები სახეში მწარედ მხვდება. ავტობუსის მძღოლმა დაიყივნა, მაშინ გავალ, როცა ადგილები ნახევრად მაინც შეივსებაო. მე ვეუბნები რომ მას გრაფიკი აქვს და რომ ამ გრაფიკის მიხედვით უკვე უნდა გავიდეს. ის კი მეუბნება, რომ გრაფიკი მის ოჯახს ვერ არჩენს. ვერც ლოდინი-მეთქი. ამაზე მძღოლს პასუხი არ აქვს, ამიტომ თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამსო - მეუბნება. რა ვქნა,თავს ვანებებ, გავივლი გამოვივლი და მოვალ, უწყმოდ არ ნახვიდე-მეთქი - ვთხოვ. ეხლა შენ გელოდო კიდეო - მპასუხობს. უცნაური კაცია ეს ავტობუსის მძღოლი. "შეიძლება, ფოტო გადაგიღო მეთქი?" და რატომო? - მპასუხობს. ახლა ამას აუხსენი ბაბუაჩემის რჩევა-დარიგებები, რატომაც არა-მეთქი. რატომაც არაო. ავტობუსის მძღოლმა, სიგარეტი ტუჩის მარჯვენა კუთხეში გადაიტანა და ამერიკულ ფილმებში ნანახი მაფიოზის გამომეტყველება მიიღო, გახდა ის, ვინც უნდოდა რომ ყოფილიყო და ვინც არ იყო, ან ვერ იყო.

არაფერი მისტიკური და სიმბოლური სასაფლაოში არ არის. სასაფლაო ოგივე პარკია, იმ განსხვავებით რომ უფრო კარგადაა გამწვანებული და უფრო მეტი სინყნარეა, მაგრამ მისტიკურობას ამ ადგილს ვერ დავაბრალებ. დავდივარ, დავბოდიალობ, საფლავების თვალიერება ძალიან საინტერესო რამეა. გაუგებარია, ერთი მიცვალებული როგორ შეიძლება განარჩიო მეორისგან, თუ ერთს საფლავზე მარმარილოს ქანდაკება უდგას, მეორეს მხოლოდ სახელი, გვარი და წლები აწერია. რამდენიმე საფლავი ისეა მოწყობილი, ფეშენებელური რესტორანი გეგონება. ორი საფლავი ვნახე, სადაც ოცკაციან სუფრას თავისუფლად გაშლიდი. კიდევ ძეგლები და ბიუსტები დგას საფლავებზე, რაც ცოტა უცნაურია. ზოგადად ძეგლია ჩემთვის უცნაური რამე, არის მასში რაღაც კერპთაყვანისმცემლური, რატომ უდგამენ ძეგლებს ადამიანებს და არა მათ საქმეებს? უფრო უცნაურია, როდესაც ოჯახი თავის გარდაცვლილ წევრს უდგამს ძეგლს. რატომ? რა დამსახურებისთვის? რახან იცხოვრა? უცნაურია. უცნაურია, როცა ოჯახი გარდაცვლილს აკერპებს, სხვა მიცვალებულზე აღმატებულს ხდის და ამით თვითონაც აღმატებული ხდება სხვა ჭირისუფალზე. სასაფლაო, იგივე ქალაქია, მკვდრების ქალაქი, სადაც მკვდრებს მათი ცოცხალი ნათესავები განაგებენ. და თუ რეალურ ქალაქში შავ, ჩაბურულმინებიანი ჯიპი ვიღაცას ვიღაცაზე აძლევს უპირატესობას, სასაფლაოზე ის ვიღაც შავჯიპიანები ამჯერად ძეგლებით და ბიუსტებით ჩაგრავენ დანარჩენებს.

ერთ-ერთ საფლავთან ახალგაზრდა გოგო იჯდა, სველი, მბზინავი ყლაღი თმით. სასაფლაოს მოშავომონაცრისფრო, არაფრისმთქმელ მკვდარ და მკვდრებით გაჯღენთილ ჰაერში, სადაც მწვანე ფოთლებიკი უფერულია, მისი წითელი და სველი თმა შეშლილივით ხაოდა. მიუხედავად იმისა, რომ სასაფლაოზე ფოტოს გადაღება ამორალურად მიმაჩნია, ფოტოპარატი მაინც მოვიმარჯვე და შეშინებულმა გადავიღე პირველი ფოტო, ფოტოაპარატის ხმაზე ყლაღთიანმა გამოიხედა, მისი სახე ვერ დავინახე, ფოტოზე და ფოკუსსზე ვიყავი ორიენტირებული, მან ცოტა ხანი მიყურა, შემდეგ კი წამოდგა და საფლავიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა. მე ფოტოაპარატი ჩამოვუშვი და ცოტა ხანს კიდევ ვუყურებდი მის ზურგს და ზურგზე თმას და თმიდან ჩამოშხეფილ ნვიმის წვეთებს. ის გარბოდა, მისი ზურგი კი სუნთქავდა.

ავტობუსის მძღოლი, რა თქმა უნდა, არ დამელოდა.

თავი მეორე

არ შეიძლება ნევროპათოლოგის კაბინეტში გაფუჭებული ნათურა ეკიდოს და ნერვების მომშლელად ციმციმებდეს. ნევროპათოლოგთან ხომ იმიტომ მიდიხარ, რომ ნერვები განუხებს, რაღა საჭიროა, ზემოდან გაფუჭებული ნათურის დამატება, ბარემ ონკანიც წვეთდეს და საათიც ნოკნიკებდეს, ნევროზის სრული ბუკეტი იქნება და მერე ექიმსაც გაუადვილდება ათას ერთი დამამშვიდებლის გამოწერა.

ეს რამე ფსიქოლოგიური ტესტია-მეთქი, ვეკითხები. რაო, მპასუხობს, გაფუჭებული ნათურა-მეთქი. უი, გივის გაუხმეს თავი, ერთი წელია მპირდება, შეგიცვლი შეგიცვლიო და ავინყადება და ავინყდება, მე კიდევ მივეჩვიე უკვეო. აბა, რა განუხებს, დედუცი, მითხარიო. პირველ რიგში, ეს ნათურა და დანარჩენი წინა მოსვლაზე გითხარით-მეთქი. შენ რომელი ხარ, ღამე რომ არ გძინავს თუ გეომეტრიულ ფიგურებს რომ ეპითეტებად ხმარობო? მეორე-მეთქი. რამე პროგრესი გაქვსო? წონაში მოვიმატე-მეთქი.

რაღაც ნამალი დამიმატა...

ნევროპათოლოგის მერე პროქტოლოგის კაბინეტში გადავინაცვლე, ყველა ბედნიერებასთან ერთად ბუასილი თუ რაღაც მისი ბიძაშვილიც დამემართა. პროქტოლოგი ძალიან უცნაური კაცია, უკანა ტანში საჩვენებელ თითგაყრილი ინეკდოტს მოყვება. ანეკდოტი არა, მარა სიტუაცია კი სასაცილოა... უკან თითი რომ არ მქონდეს გაყრილი.

ექიმების მერე სახლში ნასვლა აღარ მომინდა და ფოტოსტუდიიაში ნამოვედი. ვერ ვიტან ფირზე ბოლო ორი კადრი რომ რჩება, როდესაც ერთი სული გაქვს ფოტოები გაამჟღავნო და თან ის ორი კადრიც გენა-

ნება გადასაგდებად, რა იცი, იქნებ ამ ორი კაცრით გადაიღო ის. ის რაღაც. არ ვიცი რა, მაგრამ თუ ამ ორ კაცს გადააგდებ, ვერასდროს გაიგებ, შეგეძლო თუ არა იმის გადაღება. სანამ ეს ორი კაცრი გაქვს დარჩენილი, ის ორი ფოტოც არსებობს. შროდინგერის კატის ამბავია. მე მჯერა, რომ კატა, არა თუ ცოცხალი არ არის, საერთოდაც არ არსებობს. მოკლედ, ამ ორ კაცრს ვაფუჭებ, ფოტოაპარატში ფირს ვახვევ და კოლოფში ვინახავ. ბაბუაჩემს ფოტოგრაფიის ძალის სჯეროდა, მე არ მჯერა, ალბათ იმიტომ, რომ ცუდი ფოტოგრაფი ვარ. ფოტოგრაფი არც ვარ, უბრალოდ, ისე მოხდა, რომ რამდენიმე ფოტოაპარატი და ფოტოსტუდია მაქვს და ვიღებ ყველას და ყველაფერს - ტუჩებდაპრუწულ გოგოებს სოციალური ქსელისთვის, მოდელებს უკეთ გაათხოვების პერსპექტივისთვის, ბანკეტებს, სადაც მომავალი თაობის იმედი მეკარგება, ქორწილებს, რომელშიც ჩხუბობენ, ნათლობებს, სადაც მღვდლისთვის ფულის "ჩაკუჭვა" ცალკე მეცნიერებაა და ღრეობებს, სადაც უბრალოდ ღრეობენ...

შეკვეთები ძირითადად ბანკეტებზე და ღრეობებზეა. ასე რომ, ოლრაშულ სიტუაციებში მოხვედრა ხშირად მიწევს. ოლორაშული სიტუაციები კი დაკვირვებების ადგილია, ჰოდა, მეც დავაკვირდი - სხვადასხვა ქართველი კაცები ძალიან გვანან სხვადასხვა ქართველ ბავშვებს და პირიქით. ქორწილებსა და ბანკეტებზე სიარულის დროს უცნაური ასოციაციები მიჩნდება. ზოგიერთი ახალგაზრდა ნინა კვირას ქორწილში ნანახი ლიპიანი ბიძის შვილი მგონია და სახლში მოსული ერთი ქორწილის ფოტოებს, მეორე ბანკეტის ფოტოებთან რომ ვადარებ, მართლა ძალიან დიდი მსგავსებაა იმ ლიპიან ბიძას და ამ ახალგაზრდა ბიჭს შორის - საუბრის მანერა, სადღეგრძელოები, აზროვნება, ლიპი! ლიპი და არა სიმსუქნე, მსუქან ადამიანებს არაფერს არ ვერჩი, მაგრამ ოცი წლის ბიჭს რომ ქეიფის და ჭამის გამო ლიპი აქვს ეგ უკვე სხვა და ძალიან ცუდი ფენომენია. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ბიძერები და ჯვეელები ერთნაირად მორწმუნე და ეკლესიურები არიან. ეგ კი არა, ერთ-ერთ ქორწილში თამადამ ფეხზე ნამოგვაყენა და კოლექტიური მამაოწვენო გვათქმევინა. უნდა გენახათ, რა ხდებოდა. ჩემ წინ მოხუცი წყვილი იჯდა, სადღაც სამოცს გადაცილებულები, კოლექტიური "მამაოჩვენოს" შემდეგ მეტანიების კეთება დაიწყეს, თამადამ კი მრწამსი მოსცხო მიკროფონში. სუფრამ თუ „მამაოჩვენო" დამახინჯებულად, მაგრამ როგორღაც მაინც იცოდა, მრწამსზე სრული სიჩუმე ჩამოვარდა. მგონი, მე და თამადამ ვიცოდით მხოლოდ ეს ლოცვა ბოლომდე. უცნაურია, ამ ხალხს სწამს, მაგრამ რა სწამს, ზუსტად არ იცის, ამიტომ არ მიყვარს მათთან კონტაქტი. მე თუ ოთკუთხედი ვარ, ესენი ძირითადად ტოლფერდა სამკუთხედები არიან, სიბნელის და იდიოტიზმის ეპოქიდან მოდიან და თვითონაც ბნელები და იდიოტები არიან. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ ახალგაზრდობასაც თავიანთ ტოლფერდ ზრდიან. თავის მხრივ ახალგაზრდებიც არ ჩამორჩებიან ამათ არაფერში, ცდილობენ, ბოლომდე დაემსგავსონ და ამიტომაც ჰგავს ქალაქის ერთ ბოლოში მცხოვრებ ლიპიან ბიძას ქალაქის მეორე ბოლოში მცხოვრები ახალგაზრდა ბიჭი.

დღეს „ტაბურეტკას" უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ლიტერატურასო. ღამის მეტროს ბოლო ვაგონში მარტო ვიჯექი, სანამ ეს კაცი ნინა ვაგონიდან გადმოვიდოდა, გვერდზე მომიფდებოდა და ლიტერატურაზე დამინყებდა საუბარს. ფოტოსტუდიიდან სახლში დაღლილი ვბრუნდებოდი. ეს კიდე სადღაც პირველი ვაგონიდან მოვიდა, მე მეგონა, ვაგონების დამაკავშირებელი კარი მარტო ჰოლივუდურ ფილმებში იხსნებოდა.

ლიტერატურას სასმლის სუნი უხდება და იმიტომ ვარ მთვრალიო. აი, შენ რატომ არ სვამ? არ შეიძლება ჩემთვის-მეთქი. ვისთვის შეიძლება რომო? მერე ჩამაციდდა, გინდა თუ არა, მითხარი, რატომ არ სვამო? თავიდან ვცდილობდი, როგორმე მისი კითხვების არიდებას, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, სიმართლე მეთქვა. ჯერ ერთი, შემაწუხებელი იყო ამდენი კითხვები და მეორეც, ვერ მიგხვდი, რატომ უნდა დამემალა სიმართლე სრულიად უცნო ადამიანისთვის, რომელსაც ალბათ აღარასდროს არ შევხვდებოდი. არადა, ბავშვობიდან ჩაგვჩიჩინებენ, უცხოებს არ ენდოთო. კაცმა რომ თქვას, თუ ნდობაზე მიდგა საქმე, ზუსტადაც უცხოებს უნდა ენდო, მათ ყველაზე ნაკლებად ანაღვლებთ ჩვენი საიდუმლოებები. ანაღვლებთ კი არა, ფეხებზეც ჰკიდიათ. თან, თუ უცხო მთვრალიცაა, რაც გინდა, ის უთხარი, აღსარება ჩააბარე თუ გინდა, მეორე დღეს მაინც არაფერი ემახსოვრება და რომც ახსოვდეს, რაში ვამოიყენებს რო შენს ნათქვამს? ვერც ვერაფერში. ჰოდა, ამ მთვრალ კაცს ვუთხარი, ბუასილი მაქვს და მაგიტომ არ ვსვამმეთქი. ჰეჰე ჰეო, გაიცინა. ტრაკი გტკივაო? ეგრე გამოდის მეთქი! შენ რომ კაი კაცი იყო, გული გეტკინებოდა, მაგრამ ტრაკი ხარ და ტრაკიც მაგიტომ გტკივაო. უკაცრავად-მეთქი! კარგი, არაფერი, გავიარეთ,

რას ვამბობდიო? ა, ხო.. ხო, რომ დაუკვირდე, წერა საბოლოო ჯამში მაინც წამებააო, წერ და ეწამები, არ წერ და განწამებსო. პარადოქსია არაო? აი, ვსხედვართ სკამებზე და მაინც მივდივართ, არადა, ვსხედვართ და როგორ შეგვიძლია, წინ ვიაროთო? აი, შენს სიარულს რა აზრი აქვს, საბოლოო ჯამში მაინც იქ მიხვალ საიდანაც დაიწყეო, აკი რომ, სჯობს იჯდე და წინ მიდიოდე, ვიდრე იარო და დაბრუნდეო. პირდაპირი მნიშვნელობით ამბობ თუ გადატანითით-მეთქი. შენ როგორ გესმისო? მე ორივეენაირად-მეთქი. რა გაიგე, ამბო? რომ შენ ამ მატარებელში ცხოვრობ-მეთქი, რატომ მარტო ამ მატარებელშიო? თუ ეს მატარებელი შესაკეთებლად მიყავთ მე იმ მატარებელში გადავდივარ, რომელიც წინ მიდისო, მაგრამ როდესაც წინ მიდიხარ, მერე ხომ ბრუნდები და ხომ გამოდის, რომ უკან მოდიხარ-მეთქი? უკან და წინ მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა ან წინ, ან უკან გელოდება რამე და როცა წინ და უკან ერთი და იგივეა, მაძღილი რჩება მხოლოდ და მანძილი კიდევ ფიქრიაო და თუ სწორად ფიქრობ, წინ მიდიხარ და თუ არ ფიქრობ, დგახარ და უკვე მნიშვნელობაც აღარ აქვს, მატარებელი საით წავაო. ჰოდა, დგომას კიდევ, დამეთანხმებაი, რომ ჯდომა ჯობს და ასე რომ ვისხდეთო. ვისხდეთ-მეთქი.

ბოლო გაჩერებაზე მივედით, ვიგრნიდან გამოსასვლელად მოვემზადე, ის კი ისევ იჯდა. არ ჩამოდიხარ-მეთქი? გაეცინა. ხელით მანიშნა, ნადი-ნადიო. კარები იხურებოდა, როცა მომძახა, - ისე, კაი ფოტო კი გადაიღე დღესო. გაკვირვებულმა გავხედე, მინდოდა მეკითხა, შენ რა იცი-მეთქი, მაგრამ კარი დაიხურა და მატარებელი დაიძრა.

ვიდექი მარტო ბაქანზე და ამ უცნაურ კაცზე ვფიქრობდი, ნეტავ წრეზე სიარულს წრეზე სიარულს რატომ ეძახიან? კვადრატზე სიარულიც ხომ იგივე წრეზე სიარულია, იმ განსხვავებით, რომ წრის მაგივრად კვადრატზე დადიხარ? გეომეტრიული ფიგურები ნერვებს მიშლის. თან არასოდეს ვიყავი გეომეტრიაში ძლიერი.

მესამე თავი

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატია და ქვეყანაში არაფერი არ ხდება, არც კარგი და არც ცუდი. სოციალურ ქსელში ერთ პოლიტიკურ პოსტსაც კი ვერ ნაიკითხავ, არც საინფორმაციო გამოშვებებში გადაის რაიმე ისეთი, რაზეც რომელიმე, თუგანდ ყველაზე მოცალილი ენჯეო აყაყანდება. ლიბერალებიდან დაწყებული ფაშისტებით დამთავრებული ყველა ფეხბურთის უყურებს. ფეხბურთი სიმშვიდის ირგვლივ გვაერთიანებს, ქალაქში ამყანად ზიზღის ობიექტებად პოლიტიკოსების ნაცვლად მსაჯები იქცნენ, ოღონდ, პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, მსაჯებს მხოლოდ ერთადერთი უშვერი "ეპითეტით" მოიხსენიებენ ხოლმე. ჩემი უბნელი ბიჭები მთელი დღეები ნერვიულობაში არიან, რაღაცას არტყამენ, რაღაცა უსხამთ, ზოგს ერთი ყვითელი ბარათი აკლდება, ზოგს კუთხური.. მე კიდე ისევ შეკვეთებს ვასრულებ, - სტუდიაში თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის გოგოები ზომივიდნენ, რაღაცნაირად ოვალური და მარტივები არიან. საფეხბურთო ფორმები აქვთ წამოღებული და ამ ფორმებით პოზირებენ, მხიარული გოგოები არიან, არაფერს აშავებენ და არც არაფერს აკეთებენ, ცხოვრობენ და უხარიათ, ან ცხოვრება უხარიათ. კარგია, რომ ცხოვრება ბიგარია, ბევრად უკეთესია, რომ ცხოვრობ და გიხარია, ცუდია, რომ ცხოვრებაში გათხოვდები და ქმარი მოგხედავს, მაგრამ მთავარია, რომ გიხარია.

გოგოებს სამიცი ფოტო გადავუღე, ორ დღეში დამუშავებულს მოგაწვდით-მეთქი, ვუთხარი და დავემშვიდობე. სიგარეტის მოსაწევად აივანზე გამოვედი. ქუჩაზე, სადაც ჩემი ფოტოსტუდიაა, ჩემი სახნია ბავშვი ცხოვრობს, ალბათ ოთხი-ხუთი წლის იქნება. დავაკვირდი და, მგონი, მაინცდამაინც ჭკვიანი არ უნდა იყოს. ჩემი ეჭვები დღესაც გამართლდა, ბავშვები დახუჭობანას თამაშობდენ, სახნია უკვე "დასტუკებული" იყო და ცდილობდა, ბოლო დამალული ბავშვი როგორმე გამოეპარებინა, რომ მას "დამხუჭველი" "დაესტუკებინა" და სახნია შემდეგში თითონ არ დახუჭულიყო. როდესაც „დასასტუკებელი" ადგილი გათავისუფლდებოდა, სახნია ბოლო ხმაზე უყვიროდა დამალულს: „როცა გეტყვი ე, მაშინ გა-მო-დი, როცა გეტყვი ი, არ გამო-ხვიდე". თავიდან მეგონა, სპეციალურად ამბობდა ასე, მაგრამ არა, სხვა საღამოებიც ეგრე გააგრძელა და, რა თქმა უნდა, დამხუჭველი ყოველთვის ასრულებდა „დამსტუკებელს" და, რა თქმა უნდა, ჩემს სახნიას, რომელიც ალბათ ვერასდროს გახდება პოეტი, ყოველ ჯერზე დახუჭვა უნევდა.

ძალიან კარგია, რომ მილიონნაირი კომპიუტერის და ახალი გასართობი გაჯეტის მიუხედავად, ბავშვები ეზოებში ისევ თამაშობენ. მათი ყურება რაღაცნაირ სიხარულს მგვრის, მგონია, მათთან ერთად მეც ვერთობი. ჩემს ბავშვობაში „დენდის" გარდა, სხვა კომპიუტერი არავის ჰქონდა ნანახი. „დენდიც" რა? უკვე რვა-ცხრა წლის ასაკში აღმოვაჩინე, იქამდე კი ერთადერთი სათამაშო გამაჩნდა - ჩვენს ეზოში მდგარი ხიდან ჩამოტეხილი ტოტი, რომელსაც იარაღის ფორმა ჰქონდა. ეს ხის ტოტი, ანუ თოფ-იარაღი, ჩემთვის ყველა სხვა დანარჩენი სათამამოოკ იყო - ხმალი, ანკესი, ცხენი, მოტოციკლეტი, ჯედაის ლაით საბერი და ა.შ. მოკლედ, ჩვეულებრივი ჯადოსნური ჯოხი იყო, რომელთანაც ორი ნელი ვიმეგობრე, ვიიმე, ვიხმალავე, ვითევზავე, ვიმოგზაურე და რა აღარ ვქენი. ორი წლის თავზე კი საშინელება მოხდა... ჩემს მეზობელ გოგოს უცხოეთიდან ნათესავები ჩამოუვიდნენ, რომელებსაც ჩემი მეზობელი გოგო ერთადერთხელ ბავშვობაში ჰყავდათ ნანახი და რატომღაც ბიჭად ახსოვდათ და ბარბის მაგივრად, ფარ-ხმალი ჩამოუტანეს. ალბათ ნებისმიერ სხვა ქვეყანაში, ნებისმიერი სხვა ოთხი წლის გოგო, საჩუქრად მოტანილი ფარ-ხმალის გამო საშინლად აჯალოვლდებოდა, მაგრამ არა ჩვენს ქვეყანაში, არა იმ წლებში და ჩვენს ასაკში, როდესაც ნებისმიერი რეალური და არა გამოგონილი სათამაშო, ისეთივე ძვირფასი იყო, როგორც სიმწრით ნაშოვნი ნავთი "კერასინკისთვის". ჰოდა, ეს ჩემი მეზობელი გოგო თავისი ფარ-ხმლით სახლიდან გამოვარდა და ჩემთან შებრძოლება გადაწყვიტა. მახსოვს, მაშინ ჩემი ჯადოსნური ჯოხი, ცხენის ფუნქციას ასრულებდა, მაგრამ საბრძოლველად გამოსუ-

ლი მეზობლის დანახვაზე ხმლად გადავაკეთე, გადავაკეთე და სერიოზული ხანჯლაობა გავმართეთ. მე აშკარად ვიჩაგრებოდი, ჩემს მეზობელს ფარიც ჰქონდა, დარტყმებს ადვილად იგერიებდა და მშვენივრადაც მიტვედა. ძალიან მიჭირდა თავის დაცვა, მაგრამ ჭკუა ვიხმარე, კიბეებზე ავიდეი და ზემოდან შევუტიე. ჩემს მეზობელს ჩემი იერიშების მოგერიება ძალიან უჭირდა, უფრო ხშირ-ხშირად იყენებდა ფარს და ერთ-ერთი დარტყმის მოგერიების დროს ჩემმა ჯადოსნურმა ჯოხმა ავისმომასწავებელი ხმა გამოუშვა, გაიღუნა და საბოლოოდ გადატყდა. ორად გადატეხილ ჯოხს შევხედე, დიდხანს ვუყურე, თვალები ამიცრემლიანდა, ჯერ ერთი ცრემლი ჩამომგორდა ლოყაზე, შემდეგ მეორე და მერე მე თვითონაც ვერ მივხედი, როგორ ვტიროდი, არა, კი არ ვტიროდი, სასონარკვეთილი ვღნაოდი - ჩემი ჯადოსნური ჯოხი, რომელთან ერთადაც ორი ნელი გავატარე და მილიონი ბოროტება დავამარცხე, ასე მოულოდნელად, შუა ბრძოლის დროს გადატყდა. ალბათ მსგავსი განცდა ჰქონდათ შუა საუკუნეების რაინდებს, როდესაც ყველაზე ნაქები მჭიდლის მიერ გამოჭედილ-გამონალოცი ხმალი უტყდებოდათ რაინდული შერკინებების დროს.

ჩემს სასონარკვეთილ ტირილზე მთელმა ეზომ გამოიხედა. მამაჩემი დადეთებული გამოვარდა სახლიდან, რა მოხდაო, მკითხა. მე პასუხი ვერ გავეცი, სიტყვის თქმას ვერ ვახერხებდი, ისე ცსლუკუნებდი და სასონარკვეთილმა დამტვრეული ჯადოსნური ჯოხი ვაჩვენე. მამაჩემმა ჯოხი ხელში აიღო და შემცბარმა შემომხედა. ამის გამო ტირიხარო? თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. მამაჩემმა ჯოხს შეხედა, მერე ეზოში მიმოიხედა, ხისკენ წავიდა, ტოტი მოატეხა, მომიტანა და მითხრა აჰა, ეს აიღე, ეს უფრო დიდია, ის ცხენი უკვე დაგიპატარავდა, შენ ხომ უკვე დიდი ბიჭი ხარ, ნუღარ ტირიო... მამაჩემს ტოტი გამოვართვი - მართლა ჰგავდა ჩემს ჯადოსნურ ჯოხს და მამაჩემიც მართალი იყო, ეს უფრო დიდი იყო და ამის ცხენად გამოყენება უფრო კარგი იქნებოდა. მამაჩემს გავუღიმე, მან ცრემლები მომწმინდა და თავზე მაკოცა, მერე ჩემს მეზობელს შევუტრიალდი და გავბერძენლოთ-მეთქი ვუთხარი. იმან ხმალი ფარს მიარტყა და საბრძოლო პოზაში დადგა, მე კი ველური ყიჟინით შევუტიე...

ღამის პირველი საათი იყო როდესაც კარზე კაკუნი გაისმა. არავის ველოდებოდი, კარი გაკვირვებულმა გამოვაღე და ახალგაზრდა, გამხდარი სიმპათიური გოგო დამხვდა, ანერვიულებული ჩანდა, სიგარეტს ეწეოდა და ღაწვზე ხალი ჰქონდა. შემომხედა, ცოტა ხანი მაკვირდებოდა და მერე ტირილი აუტყდა. დიდი ბოდიში, არ შემიძლიაო, მითხრა და წავიდა. მე გაკვირვებული ვიდექი კართან და ვუყურებდი, როგორ მიდიოდა. თმა მოკლედ შეჭრილი და შავად, ცუდად შეღებილი ჰქონდა, თმის საღებავის ღაქა, ყურს უკან ემჩნეოდა, ნერვულად მიუყვებოდა კიბეებს და ტიროდა, მის სახეს ვერ ვხედავდი, მაგრამ მხრები უცახცახებდა. ვერ მივხედი, რა უნდა მექნა. უნდა გავკიდებოდი თუ ადგილზე დავრჩენილიყავი? რომ დავდევნებოდი, რა მეთქვა? უცნაურმა გოგომ ეზო გადაიარა და ქუჩაზე შეუხვია. რამდენიმე წამი მოჯადოებულივით ვუყურებდი, შემდეგ კი სტუდიაში შევტრიალდი. ცოტა ხანი უაზროდ ვცემდი ბოლთას, მერე სტუდიიდან გავვარდი და გოგონას დავედევნე.

თავი მეოთხე

სტუდიაში ერთად დავბრუნდით, კაია მქვიაო. ვუთხარი, რომ ლამაზი სახელია, და რომ კაია... ყველა მაგას ამბობსო, მითხრა. დიდი ორიგინალობით არ გამოვირჩევი, ყავა ან ჩაი ხომ არ გინდა-მეთქი, - არაო. ცრემლებს ხელის ზურგით იწმენდდა, ხელსახოცი მივანოდე, არ მინდა, მაქვსო. ვერ გავიგე, თუ ხელსახოცი აქვს, ხელის გულით რატომ იწმენდს ცრემლებს, არაფერი ვუთხარი და გავიზუმდი. გავიზუმდი და უცნაური, უაზრო სიჩუმე ჩამოწვა. სიჩუმე , როდესაც იცი, რაც უნდა თქვა, მაგრამ სანამ იტყვი, იქამდე სხვა რამის თქმაა საჭირო, ისეთი რამის, რომელიც არც საუბრის შესავალი იქნება და არც მთავარი თემა, უბრალოდ, რაღაც ზოგადი ფრაზა უნდა თქვა და ამ ფრაზის მოძებნაა ყველაზე რთული. თან საუბრების წამოწყება და გაგრძელება ჩემი ძლიერი მხარე არ არის, მე ისედაც ზედმეტად ბევრი მოვახერხე - აცრემლებულ გოგოს დავედევნე და მოვაბრუნე, რატომ ვქენი ეს ყველაფერი, არ ვიცი, ალბათ, იმიტომ, რომ მას შემოსვლა უნდოდა, მე კი მარტო ყოფნის, მტკრობი მარტო ჩასვლის და იმ მისტიკურ უცნობთან გადაყრის მეშინოდა. მსაჯმა მექსიკას ორი გოლი არ ჩაუთვალა-მეთქი, გაეღიმა. ისევ უაზრო და უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. ეს უკვე მეტისმეტია, ერთხელ მოვახერხე საუბრის წამოწყება, მაგრამ მეორედ აღარ გამომივა. კაიამ წყლიანი თვალებით ამომხედა, წამოდგა, მომიახლოვდა და ჩემი სახის დათვალიერება დაიწყო. მე გაკვირვებული უმოძრაოდ ვიდექი, ისე მიყურებდა, მინდოდა, ერთი, ორი ან ასი ნაბიჯით უკან დამეხია. მერე სახეზე თითები შემახო, უცნაური და ცივი შეხება იყო, უკან დავინიე და ხელით ვანიშნე, რომ გაჩერებულიყო. დიდი ბოდიშით, მითხრა და სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა, ყავას არა, მაგრამ რამე სასმელი თუ გაქვს დიდი სიამოვნებით დავლევდიო. კონიაკი მაქვს-მეთქი. პირველი ჭიქა დალია და სასნაულების თუ გჯერარო, მკითხა. მგონი არა, მაგრამ სიმართლე გითხრა, არც დავფიქრებულვარ მაგაზე-მეთქი, მგონი, სასნაულებს და მკითხავებს მაშინ უჯერებენ, როდესაც რეალობის მიღება არ უნდათ, ან რაიმე უკეთესს ელოდებიან და ეს უკეთესი მხოლოდ სასნაულით თუ მოხდება-მეთქი. შეიძლება მართალი ხარ, შეიძლება, არც ხარ მართალიო. გააჩინა სასნაულს და გაჩინა ვის შეემთხვევაო. არა მგონია, სასნაულების კატეგორიებად დაყოფა სწორი იყოს, სასნაული სასნაულია და იმიტომ არის, რომ ან არ მოხდეს, ან ძალიან იშვიათად-მეთქი. ჰოდა, ეს იშვიათი მომენტები, იშვიათად, მაგრამ ხომ მაინც დგებაო. ალბათ კი-მეთქი. გაჩუმდა და ფოტოსტუდიის დათვალიერება დაიწყო, კედლებზე გაკრულ ჩემს გადაღებულ ფოტოებს უყურებდა. კედელზე ბაბუაჩემის ფოტოც ეკიდა, ოღონდ არა როგორც მიცვალებულის, არამედ, როგორც ჩემი პირველი ისტორიის, ჩემი პირველი ფოტოინტერესისა.

კაიამ ერთი კედელი ჩაათავა და გულწრფელად



მითხრა, მგონი, მაინცდამაინც კარგი ფოტოგრაფი არ ხარო. არ მწყენია, გავუღიმე და დავეთანხმე. ეს კაცი ვინ არისო მკითხა. ბაბუაჩემია, გარდაიცვალა... პირველი ადამიანია ვისაც ფოტო გადავუღე და საერთოდაც ეგ ჩემი პირველი ფოტოა-მეთქი. მხიარული კაცი იყო ბაბუაშენიო? არა, პირიქით, გაღიმებულს ვერასდროს ნახავდი-მეთქი. აბა, ამ ფოტოში რატომ იღიმისო? ფოტო იმისთვისაა, რომ გაიღიმო-მეთქი. არ მინდა ყველაფრის მოყოლა, რა ვიცი, მაინც უცნობი ადამიანია, რატომ უნდა იცოდეს ბაბუაჩემზე ყველაფერი. აუტანლად ცხელა შენს სტუდიაშიო, პერანგი გაიხადა და მაისურის ამარა დაჯდა, ბიუსჰალტერი არ ეცვა და მაისურზე კერტები დაემჩნა, არ მინდოდა შეხედვა, მაგრამ თვალი გამექცა, გამექცა და ცოტა ხანი დამრჩა კიდეც. ნარმოვიდგინე რომ რაღაცნაირი ლამაზი, პატარა და მკვრივი მკერდი ექნებოდა. კიდევ კარგი, მე არ მიყურებდა, ერთ-ერთ ფოტოს აკვირდებოდა, რომელზეც თითქმის უფოკუსო შეშველი სხეული იყო გამოსახული. ვენტილატორს ჩავრთავ-მეთქი, გვერდითა ოთახიდან დიდი, სტუდიური ვენტილატორი გამოვათრიე, შეხედა და გაეღიმა, ეს რა არისო? ეს ქარის ეფექტის შესაქმნელი ტიპია, გოგოებს, ვინც აქ მოდიან, მოსწონთ ფოტოებში თმები რომ გაშლილი აქვთ-მეთქი. აჰა, ესე იგი, მოდელებს იღებო? მოდელებსაც, მაგრამ უფრო ხშირად არასრულფასოვნების კომპლექსით შეწუხებული მოზარდები მოდიან-მეთქი და, ამ ფოტოზე ფოკუსი რატომ არ არისო? როგორ არ არის, გოგონას ტუჩზეა მეთქი, ხო, მაგრამ დანარჩენი სხეულიო? დანარჩენი სხეული მნიშვნელოვანი არ არის, ყოველ შეთხვევაში, ამ ფოტოში-მეთქი. ვერ გავიგეო. როდესაც მაგ ფოტოებს ვიღებდი, მინდოდა ეროტიკა ეროტიკის გარეშე მეჩვენებინა-მეთქი, აჰა, გასაგებიაო, ეხლა კიდევ იღებ ესეთ ფოტოებსო? იცი, ჩვენს ქალაქში, თუ ცნობილი ფოტოგრაფი არ ხარ ან თუ საკმარისი ფული არ გაქვს, ძნელია შიშველი ნატურების შოვნა, მე კიდევ ფული რომ არ მაქვს, ფოტოსტუდია მაგიტომ გავხსენი და ბანკეტებს და ქორწილებს მაგიტომ ვიღებ-მეთქი. ისე, არ არის ცუდი იდეაო, მეორე ჭიქა კონიაკი დალია და მითხრა, თუ გინდა, მე გადამიღე ფოტოებიო, ეხლა-მეთქი? ხო, რატომაც არაო...

მკერდის დახასიათებაში არ შევმცდარვარო, მაისური განათებების აწყობამდე გაიხადა, ასე მირჩევნია, უფრო გავიხსნებიო, შენი ნებაა-მეთქი. განათებები ავაწყევ, ფოტოაპარატი, გამჭვირვალე შუშა და ვაზელინი მოვიმარჯვე. ვაზელინის დანახვისას კაცას სახეზე გაკვირვება დაეტყო, მის ადგილას რომ ვყოფილიყავი, მეც გამიკვირდებოდა, - წელს ზემოთ შიშველი ზიხარ ვილაც უცნობ მამაკაცთან, რომელსაც ხელში ვაზელინი უჭირავს და ინტერესით გიყურებს.. რამე ცუდი არ იფიქრო, ჩვენ ხომ ფოკუსს სხეულის ერთ ნაწილზე ვაკეთებთ და ამიტომ შუშაზე ვაზელინს ვუსვამ, უფოკუსობის ეფექტი რომ შეიქმნას, ფოტოშოპის და ფოტორედაქტორების დიდი მოყვარული არ ვარ, მირჩევნია, ყველაფერი ბუნებრივად იყოს-მეთქი. გადაღების დაწყებამდე ერთს კიდევ დავლევო, მგონი, მეექვსე ჭიქას სვამდა. სანამ მაგიდიდან მწვანე ფონთან მოვიდოდა, წაბარბაცდა. მე მგონი ნასვამი ხარ და ხვალ შეიძლება ინანო ეს ფოტოები და იქნებ არ ღირდეს-მეთქი. გაკვირვებულმა და გაბრაზებულმა შემომხედა, შენ ვერ ხვდები, ახლა რა ხდებაო. შეგიძლია, მითხრა რა ხდება მეთქი? მგო-

ნია, ჯობს, ფოტოების გადაღება დავიწყოთო.

პირველი ფოტოსთვის რომ მოვემზადეთ, კაიას ცრემლები წამოუვიდა. შიშველი, დაუცველი და სუსტი სხეული, აცრემლებული თვალებით - ძალიან ემოციური ფოტო გამოვიდა. კაია ტირილს არ წყვეტდა, თუ გინდა, გავჩერდები-მეთქი, არაო, ხელით მანიშნა, მე ფოტოების გადაღება გავაგრძელე, კაია კი ტირილს მხოლოდ მაშინ წყვეტდა, როდესაც განათებას ან ობიექტივს ვცვლიდი, როგორც კი ფოტოს გადაღებაზე მიდგებოდა საქმე, ისევ ტიროდა. კაიას რაღაც ატირებდა, რაღაც დიდი. სხვებისგან განსხვავებით, მას არ უნდოდა, რომ მტირალა გოგო ყოფილიყო, არ თამაშობდა. უბრალოდ, რაღაც აწუხებდა, კისერში უჭერდა და უთქმელობისგან ცრემლებად გადმოსდიოდა თვალებიდან. ფოტოაპარატზე ვიწროკუთხიანი ობიექტივი დავაყენე და კაიას პორტრეტების გადაღებას შევუდექი. იყო მის ატირებულ პორტრეტებში რაღაც შემზარავი, რაღაც იმდენად ნამდვილი, როგორიც მხოლოდ ომის ქრონიკის კადრებშია.

სამი საათი გადაბმულად ვმუშაობდით, მგონი, კარგი ფოტოები გამოვიდა, ძალიან კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ მთელი ეს დრო უცნაური ფიქრი მაწვალებდა, თავი კაიას დანერილი სცენარის გმირი, საცდელი ობიექტი ან რაღაც ეგეთი მეგონა. ფოტოების გადაღება დავამთავრეთ, მხოლოდ ორი განათება მქონდა გამოსართავი, კაია სკამზე ისე დაჯდა, რომ კონტრაჟურში ყოფილიყო, ტანსაცმლის ჩაცმას არ ჩქარობდა, მე განათების გამოსართავად წავედი. ეს დატოვეო, მთხოვა. კარგი-მეთქი, ვუთხარი და მის ნინ ჩამოვჯექი. შენ რატომ არ სვამო. არ შეიძლება ჩემთვის ჯანმრთელობის ამბებში-მეთქი. არ მჯერა შენით. ექიმის ცნობა მაქვს-მეთქი. არა, ზოგადად შენი არ მჯერა, შენი, როგორც ცოცხალი ადამიანის, ეს ყველაფერი ლოგიკაში არ ჯდებაო. ლოგიკაზე ლაპარაკი გვიანია, იმის მერე, რაც მთელი საღამო სასნაულებზე ილაპარაკე-მეთქი. ლოგიკაზე კი არა, პირიქით, ალოგიკურობაზე ვლაპარაკობო, რაც ლოგიკაში არ ჯდება, ის ხომ სასნაულიაო. გააჩნია, ვის ლოგიკაში არ ჯდება-მეთქი, ჩემს ლოგიკაში ფოკუსებიც არ ჯდება, მაგრამ ამით ფოკუსი სასნაული არ ხდება, უბრალოდ ილუზიაა, რომელიც ლოგიკურად იხსნება-მეთქი. სულ ასეთი სწორხაზოვანი და მუდო ხარო? არა, პირიქით, ახლა რატომღაც ძალიან მსუბუქად ვარ და მე თვითონაც არ მჯერა, რომ ამდენს და ასე გახსნილად ვსაუბრობ- მეთქი. აბა სხვა დროს რას შვრები, სულ ჩუმად ზიხარო? არა, უბრალოდ, რაღაცნაირი მოოთკუთხედო ვარ-მეთქი. ოთხკუთხედიო? ხო, წვეტიანი ოთხკუთხედი-მეთქი. გაეღიმა. და მე ვინ ვარო? ალბათ, სხივი, სხივს მხოლოდ დასაწყისი აქვს და შენ კი ჩემთვის აქ ინყები და არასდროს არ მინდა დამთავრდე-მეთქი. კაიამ ისევ გამიღმა, ცოტა ხანი მიყურა და შეიძლება, სახეზე შეგეხოო, მკითხა. ამჯერად დავთანხმდი. კაიამ თვალები დახუჭა და თითებით ჩემი ყველა ნაკვთი ზეისნავლა, შემდეგ ისევ ცრემლები წამოუვიდა, თმაზე მომეფერა და წამოდგა - უნდა წავიდეო. ტანსაცმლის ნერვულად ჩაცმა დაინყო, მე არასდროს ვყოფილვარ ლიდერი ტიპი, არასდროს წარმიმართავს მოვლენები, მაგრამ კაიას ესე მარტივად გაშვება, არ შემეძლო, რამე უნდა მექნა. ის უკვე ჯინსის ღილებს იკრავდა. წამოვდექი, ეხლა თუ წახვალ, აღმოჩნდება, რომ მონაკვეთი ხარ, თან ძალიან პატარა მონაკვეთი, მონაკვეთი კი ყველაზე ეცოდო რამეა, რაც კი შეიძლება შემემთხვეს-მეთქი. მივუახლოვდი, მკლავზე ხელი მოვკიდა და ვაკოცე, ვაკოცე და კაიამაც კოცნით მიპასუხა. შემდეგ ცრემლები წამოუვიდა, მაგრამ აცრემლებული მაინც მხდიდა პერანგს. დივანზე წამომაწვნა, ისევ გაიხადა და ატირდა. კაიას დამშვიდება ვცადე, ნუ სულელობ, თავი დამანებე, შენ ვერ ხვდები, ეს რამხელა სასნაულიაო. არასდროს მქონია სექსი ატირებულ გოგოსთან, რა შეიძლება იყოს უფრო მისტიკური, ვიდრე აცრემლებული ქალი, რომელიც რაღაც ძალიან დიდი საიდუმლოს გამო ტირის, საიდუმლოს გამო, რომელიც არ ითქმის და რომელსაც, როგორც არ უნდა დააკვირდე, ვერ გამოიცნობ, ვერ გაიგებ, ვერც ცრემლების გარეშე და მით უმეტეს ცრემლებით, ცრემლები ყველაფერს ფარავს, ცრემლებს აცრემლებული ქალის მაყურებელი მამაკაცისთვის ყველაფერი სხვა რაღაც მისტიკურ განზომილებაში გადაჰყავს. შეუძლებელია არ გიყვარდეს ქალი, რომელიც ტირის, შეუძლებელია მის მიმართ მხოლოდ სიბრალულს გრძნობდე, შეუძლებელია, არ გეზიზღებოდეს ყველა, ვინც მას აწყენინა, ყველა, ვის გამიც ის ტირის, შეუძლებელია, არ გეზიზღებოდეს საკუთარი თავი, რომ ის სწორედ შენ წინ ტირის, შენ შეგიძლია დაეხმარო, რომ არ იტიროს, მაგრამ ვერ ეხმარები, ვერ ეხმარები. ვერ ეხმარები ზუსტად ამ ცრემლების გამო, იმიტომ რომ გინდა, ისევ იტიროს, გინდა, იტიროს და უყურებდე, გინდა, გიყვარდეს და გინდა, გძულდეს საკუთარი თავი, რომ ტირის და რომ მისი ცრემლები გიყვარს... და რომ გიყვარს.

თავი მეხუთე

დიდ ქალაქში დაკარგვა უფრო ძნელია, ვიდრე პატარაში, მაგრამ პატარა ქალაქებში უფრო ხშირად იკარგებიან, თან მით უმეტეს, თუ დაკარგვა უნდათ... პატარა ქალაქში უფრო ხშირად კარგავ და უფრო იშვიათად იკარგები. დაკარგვა არავის უყვარს მაგრამ გადაკარგვა ყველა ადამიანს უნდება, უნდება ხშირად და, რაც უფრო ხშირად, მით უფრო ძლიერად. პატარა ქალაქში კი დაკარგვა ძალიან ძნელია, გადაკარგვა მით უმეტეს, მაგრამ ხდება ხოლმე, ადამიანები გეკარგებიან და ხდება ხოლმე, შენც გინდა იყო იქ, სადღაც არსად, სადაც ისინი არიან... და ხდება ხოლმე, რომ ვერ ახერხებ, ვერ ახერხებ გადაკარგვას და ჩანხარ, ჩანხარ ყველა ის საშინელებით, რაც გადაიტანე, როდესაც დაკარგე და რასაც განიცდი, როდესაც ვერ იკარგები.

კაიას დატოვებულ წერილში ერთადერთი ფრაზა ენერა - "სხივიც მონაკვეთია".

კაია დავკარგე, უფრო სწორად, დამეკარგა, ან დამკარგა. ორი კვირა მის მოძებნას ვცდილობდი, მაგრამ როგორ შეიძლება იპოვო ადამიანი, რომელიც მხოლოდ ერთხელ გყავს ნანახი, ისიც საკუთარ სტუდიაში და მისი სახელიც კი არ იცი დანამდვილებით. კაიას ძებნა ბნელ ოთახში კატის ძებნას ჰგავდა, ამ ქალაქში კი კაიას და კონფუცის პოვნის ალ-

ბათობა ერთნაირია, იმ განსხვავებით, რომ კონფუცი ის შავი კატაა, რომელიც ოთახში არ არის და კაია კი შროდინგერის კატასავითაა - ის ქალაქშია და არც არის ქალაქში... ძებნას აზრი არ აქვს, სასნაფულის იმედად თუ იქნები. კაია ამბობდა, ჩვენი შეხვედრა სასნაფულიაო, მე კიდევ ვფიქრობ, რომ მისი დაკარგვაა სასნაფული, როგორ შეიძლება კაიასნაირი ადამიანი დაკარგო, მაგრამ არც ის გამოდის, კაიასნაირი ქალის მკლავებში იწვე და არ ჩაგეძინოს... დილა კიდევ იმედგაცრუებაა - იგივე ოთახი, იგივე სიტუაცია და მხოლოდ კაიაა გამქრალი... კაია ისე უცნაურად გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, როგორ უცნაურადაც გაჩნდა. არასდროს მყვარებია უცნაურობები, ახლა ხომ მით უმეტეს...

ადრე თავს მოოთკუთხედო ჩაკეტილ ფიგურად ვთვლიდი, ახლა კი თავი პატარა წვეტიანი კუში მგონია... ვწევარ სტუდიაში და ვფიქრობ, იმ ღამეს ვუბრუნდები და ვერაფერს ვხედავი, რა და რატომ მოხდა, რატომ გაჩნდა კაია ჩემს ცხოვრებაში, თუ მაინც უნდა გამქრალიყო, თან ასე მალე. ყველაზე ცუდი კი მაინც ის არის, რომ მე არაფერ შუაში ვარ, არც მის გამოჩენასთან და არც მის დაკარგვასთან, საერთოდ, ამ ისტორიასთან არანაირი კავშირი არ მაქვს. ეს ყველაფერი მე კი არ შემემთხვა, არამედ კაიამ შემამთხვია, რაღაც თამაშში ჩამრთო, რომელშიც ძალიან პატარა, ეპიზოდური როლი მაქვს. მაგრამ კაიას ამბავი და ჩემი ამბავი განსხვავდებიან - კაიას ისტორიაში მე თუ მეორეხარისხოვანი გმირი ვარ, კაია ჩემს ამბავში მთავარი მოქმედი ფიგურაა. არ არის მაინცდამაინც სწორი, რომ ეს ისტორია ორ სხვადასხვანაირ წრეზე ტრიალებს, რომელთაც გადაკვეთის ერთი წერტილი გააჩნიათ... აღარ შემიძლია ეს გეომეტრია...

კაიას ფოტოების და ძველი ფირის გამჟღავნება გადავწყვიტე. მე ტრადიციულ მეთოდს ვიყენებ, ჩაბნელებული ოთახი, ფოტოქაღალდის წყალში გავლება და ა.შ. კაიას ფოტოების ფირი გამინათდა და მხოლოდ ერთადერთი ფოტოს გადარჩენა მოვახერხე. არ შეიძლება, ეს რეალურად ხდებოდეს, უბრალოდ, არ შეიძლება. არ შეიძლება, ასეთი ისტორია გადაგხდეს თავს და შემდეგ ყველაფერი ერთიანად დაკარგო. კაიას გაქრობა არ მეყოფოდა, ახლა მისი ფოტოებიც გადამინათდა. საშინელებაა. ხომ შეიძლება, მეორე ფირი გამფუჭებოდა, სადაც მხოლოდ სასაფლაოზე გადაღებული ფოალთმინინ გოგოს ფოტო ვარგოდა. არა! თუ დაკარგვა, ყველაფერი ერთიანად უნდა დაიკარგოს და დაიკარგა კიდეც. ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღიდან მხოლოდ ერთი ნახევრად გადანათებული ფოტო შემომრჩა, თან ფოტოზე მხოლოდ კაიას სახე ჩანს, ვეღარასდროს ვნახავ მის სხეულს ისეთს, როგორიც იმ დღეს იყო. შიშველს, რაღაცით დაუცველს და მაინც ძალიან ძლიერს, ძალიან მიმზიდველს და გამაბრუებელს... ვეღარასდროს ვნახავ მის მკერდს... კაია გაქრა, გაქრა ჩემი ცხოვრებიდან და ახლა უკვე ფოტოებიდანაც. აღბათ უნდა გამქრალიყო კიდეც. მისი ისეთად დარჩენა, როგორიც იმ საღამოს მომეკლინა, არ შეიძლებოდა. კაია ისეთი მხოლოდ ერთხელ და მხოლოდ ჩემთვის, ან მხოლოდ ჩემ ნინაშე იყო. რეალური კაია კი აღბათ სხვანაირია, ისევე როგორც ბაბუაჩემი არ იყო მომლიმარი კაცი, კაიაც არ იქნებოდა გოგო, რომელიც შიშველად პოზირებს და მისი ასეთად წარმოდგენა ისევე არასწორია, როგორც ბაბაუჩემის -მომლიმარ კაცად... მაგრამ შიშველი და აცრემლებული კაია ნამდვილი და მართალი იყო. არ ტყუოდა, მაგრამ არც ბაბუაჩემი ცხუოდა ღიმილის დროს. არასწორი რაღაცეები ხდება ჩემს თავს, მე არ დამიმსახურებია ასეთი ბედნიერება და არც ასეთი უბედურება. რა აზრი აქვს კარგს, თუ მას აუცილებლად ცუდი უნდა მოჰყვეს, რა აზრი აქვს სიხარულს, თუ მერე უნდა ვეტკინოს? რატომ ვპოულობთ? თუ ვკარგავთ, რა აზრი აქვს პოვნას? მე ხომ მიჩეული ვიყავი ჩემს სიოთხკუთხედეს, უფრო რატომ უნდა დავპატარავდე და უფრო რატომ უნდა ჩავიკეტო?

ღამის მატარებლის ბოლო ვაგონში ვიჯექი და ზუსტად ვიცოდი რომ ის მისტიკური უცნობი გამოჩნდებოდა, მინდოდა კიდეც, რომ გამიჩენილიყო. ისევ სხვა ვაგონიდან გადმოვიდა, ხელში არყის ბოთლი ეჭირა, ამჯერად გვერდით კი არა, წინ დამიჯდა და არყის ბოთლი გამომინოდა, - სიყვარული უცნაური რამეა, ხანდახან თავს გაზიზღებსო, პარადოქსია არა, სიყვარული რომ გეზიზღებაო? სიყვარული არა, მაგრამ... სანამ რამეს იტყვი, დალიეო, არ ვარგა ფხიზელ ტვინზე თავბედის წყევლა, სჯობს ნასვამი იყო და იგინებოდე, ვიდრე ფხიზელი წუწუნებდეო... გამოუშვი, რაც შიგნით გაქვს, არაფერი დაიტოვოო.. არც არაფერი აღარ დამრჩა, რაც მქონდა და არ მქონდა, ყველაფერი ერთად დავკარგე-მეთქი. „ტოუე მნე რომეო", არ ამიტირდე შენი ჭირიმეო. გამეღიმა და არაყი მოვსვი. რომ შეგიყვარდა და დაკარგე ეგ ვიცი, ეხლა ის მოყევი, რა და როგორ მოხდაო. ჩემნაირმა ადამიანებმა ალბათ უნდა წერონ, საუბარი დიდად არ გამომდის-მეთქი. ბებიაშენისამ, წერით ხომ ისე წერ, მეტი რომ არ შეიძლებაო.. გამეღიმა, რა უნდა მეთქვა, მართალი იყო, კაიას ფოტო გავუწოდე. სათვალე გაიკეთა და ფოტოს დახედა, ძალიან თბილად და კეთილად გაიღიმა, შემომიტრიალდა, არყის ბოთლი გამომართვა, მოიყუდა, დიდი ყლუპებით დალია, ამოისუნთქა და მითხრა, მოკლე თმაც ძალიან უხდება, მაგრამ ისეთი ცეცხლისფერი თმის შეჭრა მგონი ძალიან დიდი ცოდვა უნდა იყოსო. გაოგნებულმა გავხედე, ვერ მიეხვდი, რას ამბობდა. შენ რომ ფოტო გადაუღე და ბოდიალი გააგრძელე, ეს ფეხდაფეხ მოგყვებოდა, მერე ავტობუსისკენ რომ მორბოდი, მაშინაც საეჭვოდ გიყურებდათ. ამ ისტორიაში ისედაც ბევრი რამე არ მესმოდა, ამ მოხუცის მონაყოლმა კი საერთოდ თავდაყირა დაყენა ყველაფერი, არ ვიცოდი, მისთვის უნდა დამეჯერებინა თუ არა. რაში სჭირდებოდა სრულიად უცნობ გოგოს, რომელსაც ერთადერთი ფოტო გადავუღე, ჩემს სტუდიაში მოსვლა და ჩემი ცხოვრების თავდაყირა დაყენება-მეთქი? რა გითხრა, აბა, ეს ისტორია სასაფლაოდან იწყება და მგონი პასუხებსაც იქ გიიგებო. ამ შუაღამეს ავიდე სასაფლაოზე-მეთქი? ხო, რა იყო, ხომ არ შეგეშინდაო? ნუ გეშინია, მარტო არ გაგიშვებ, მეც გამოგყვები, აბა, კიდევ ვინ იცის, როდის შეგხვდები და მეც მაინტერესებს, რა მოხდა სინამდვილეშიო... შენა და ფანარი გაქვსო? ტელეფონზე-მეთქი. სულ არაფერს ეგ სჯობსო...

ისედაც მკვდარი სასაფლაო ღამით სრული სიგიჟეა - არსაიდან ხმა არ ისმის, მხოლოდ სიჩუმე და სიცარიელე, ისედაც ყველაფრისგან დაცლილი, სასაფლაოს სიცარიელით ავივსე და საფლავებს შორის მობილურის ფანრით დავიწყეთ სიარული, იმ ადგილს ვეძებდით, სადაც ფოტო გადავიღე, მე დაახლოებით მახსოვდა, სად უნდა მოვსულიყავი, მოხუცმა კი აიჩემა, არასწორ მხარეს მიდიხარ, ზუსტად მახსოვს, სასაფლაოს სიღრმეში იჯდა ის გოგო. შენ საერთოდ ვინ ხარ და საიდან იცი ჩემზე და ამ ისტორიაზე ამდენი-მეთქი. მერე ჩავფიქრდი, ერთ ადგილზე გავშეშდი, და ალბათ სრული სისულელე ვკითხე, - ღმერთი ხომ არ ხარ-მეთქი? მოხუცს ისტერიკული სიცილი აუტყდა. სასაფლაოს სიწყნარეში ძალიან უცნაური მოსასმენი იყო ახარხარებული მოხუცის ხმა. ძლიან მოსულიერდა და როგორღაც თავი ხელში აიყვანა. ჩაგეთვალაო, მითხრა და სასაფლაოს სიღრმისკენ წავიდა,

ძლივს მივაგენით იმ ადგილს, სადაც კაიას ფოტო გადავუღე. სასაფლაოს მივუახლოვდი და საფლავის ქვას ფანარი მივანათე, სახელის და გვარის გვერდით გარდაცვლილის ფოტოც იყო. ფოტო გავანათე და მოულოდნელობისგან ფანარი ხელიდან გამივარდა, საფლავის ქვაზე მე ვიყავი გამოსახული, მე! მოხუცმა ფანარი აიღო და კიდევ ერთელ დავინახე საკუთარი სახე, მე ვარ-მეთქი? შენ როგორ ხარ, შენ აქ ზიხარ, მაგრამ ზუსტად შენნაირი კი არისო, მოხუცს ფანარი გამოვართვი და ფოტოს დათვალიერებას შევუდექი. ერთი-ერთში მე ვიყავი, ყველაფერი - თვალები, ნაკვთები, ტუჩები, გამოხედვა.. სახელის და გვარის გარდა ყველაფრით ერთნაირები ვიყავით, ფანრით საფლავის ქვის დათვალიერება დავიწყე, ზუსტად ჩემხელა ყოფილა, როცა გარდაცვლილა, ცხოვრების წლებს ქვემოთ კი ეწერა - "ცხოვრობდა და უხაროდა". რა უცნაურია, ცხოვრობდა და უხაროდა, ხუმრობით ჩემს საფლავზე იმავე წარწერის გაკეთებას ვფიქრობდი, მას კი მართლა ჰქონდა ამ წარწერის გაკეთების უფლება, ის მართლა ცხოვრობდა და მას მართლა უხაროდა. შეუძლებელია, ცხოვრობდე კაიასთან და არ გიხაროდეს, ცხოვრება არ გიხაროდეს და არ გიხაროდეს ყოველი დღე, მაგრამ ეს წარწერა ამ ბიჭს არ გაუკეთებია, ალბათ კაიამ დააწერინა მის საფლავზე, იმიტომ, რომ კაიასაც უხაროდა მასთან ცხოვრება, კაიას ჩემთანაც კი უხაროდა, ჩემთან, რომელიც ის არ ვყოფილვარ, ვინც მას უყვარდა და არც კაია იყო იმ დღეს ის, ვისთან ერთადაც ეს გარდაცვლილი ბიჭი ცხოვრობდა. სასწაულია, ასეთი რაღაცეები წესით ხომ რეალობაში არ ხდება, ეს ყველაფერი ხომ არალოგიკურია-მეთქი. ძალიან ლოგიკური რომ არის, მაგიტომაცაა სასწაულიო, მოხუცმა კაცმა მიპასუხა. ალბათ მართალი ხარ, სასწაულები ასე ტყუილად არ ხდება, სასწაულს მიზეზი სჭირდება მოსახდენად-მეთქი, საფლავზე ჩამოვჯექი და ჩემს გარდაცვლილ ორეულს დავუწყე ყურება. ეს ბიჭი გარდაცვლილია, კაია მასთან ველარასდროს ვერ იქნება, ის მხოლოდ მის მოგონებებშია, მე კიდევ რეალური და მისი ანალოგიური ვარ, მაგრამ კაიას ის უყვარს, კაიას თავის მოგონებები უყვარს. მე ეს ბიჭი ვერ ვიქნები, მე მხოლოდ მისი როლის მორგება შემიძლია და ამიტომაც გაქრა კაია და ამიტომ აღარ აქვს მის ძებნას აზრი. კაია და ეს ბიჭი სხივები იყვნენ, მაგრამ ცხოვრება ზუსტი მეცნიერება არ არის და სხივიც კი შეიძლება მონაკვეთად გადაიქცეს, მე ის პატარა მონაკვეთი ვიყავი კაიას ცხოვრებაში, რომელსაც, წესით, სხივი უნდა გაეგრძელებინა. ვერ გავაგრძელე და ვერც გავაგრძელებდი, იმიტომ, რომ სხივი მე არ დამიწყია. უცნაურია - სხივი შეიძლება სადღაც გაწყდეს და გამონაკვეთდეს, მაგრამ მონაკვეთი ვერასდროს ვერ გაგრძელდება, მონაკვეთი მონაკვეთია და მასში ან ხარ ბედნიერი და ან არა. მე ვიყავი! მოხუცი კაცი გვერდით მომიჯდა და მკითხა, ჰა, რას დაარქმევ ამ ისტორიასო? დავიბენი, ვერ მივხვდი. ხომ ამბობ, ჩემნაირმა ადამიანებმა ალბათ უნდა წერონო, ჰოდა, რას დაარქმევ ამ ამბავსო? იცი, ლიტერატურას თუ სქესი აქვს, ის აუცილებლად მდედრია და მოთხრობებს კი ალბათ ქალის სახელები უნდა ერქვას, რას ფიქრობ-მეთქი...

კაიაო...

ივა ფეზუაშვილი

მამაჩემი



იდიოტი, კრეტინი და დებილია-მეთქი. დედაჩემმა ტუჩებზე ხელი მომარტყა, მეტჯერ აღარ გაიმეორო ეგ სიტყვებიო, ღირსია-მეთქი. კიდევ ერთხელ გითქვია მამაშენზე ეგრე და მაგრად მოგხვდება, იცოდეო. საბანი გადავიფარე და კედლისკენ გადავტრიალდი, დედაჩემმა, დაიძინე ეხლავეო, ეხლავე როგორ დავიძინო, როცა დამეძინება დავიძინებ-მეთქი. დედა ოთახიდან გავიდა, მე კიდევ ცოტა ხანი ჭერზე მინებებულ ფოსფორის ვარსკვლავებს ვუყურებდი. ექვსიდან ხუთი არ ანათებდა, მამაჩემმა, ეს იმიტომ, რომ სინათლე არ მოხვედრია ჯერო, აი, ნახე, ხვალ მთელი დღე დაიტენება და ღამე გაანათებსო, ბიძაჩემმა კი - მგონი, ბრაკი შემოგტენესო. მეც ვფიქრობ, რომ ეს ვარსკვლავები არ გაანათებს, ან, საერთოდ, ოთხი წლის ბიჭს რატომ უნდა აჩუქო ჭერზე მისაწებებელი ვარსკვლავები? მამაჩემმა, გუდიანი კაცებისგან დაგიცავსო. მე კიდევ უკვე დიდი ხანია, რაც ბუების და ეგეთების აღარ მჯერა, მაგრამ რომ არ ვჭამ, ბებიაჩემი "არ მინდა პაპა" - თი მაინც მაშინებს, რათქმა უნდა, არ მეშინია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს "არ მინდა პაპა" მარტო მაშინ ჩნდება, როდესაც ბავშვები საჭმელზე არ მინდას ან აღარ მინდას ამბობენ, და რაც მე საჭმელზე უარი მაქვს ნათქვამი, თავმოყვარე ბოროტი კაცი აქამდე გამოჩნდებოდა უკვე. მეორეც, იმიტომ აღარ მჯერა, რომ ეს "არ მინ-

და პაპა" კედლებიდან გამოდის და ჩვენს ახალ გარემონტებულ ბინაში ვინმემ კედლები რომ გამოამტვრიოს ან თუგინდ შპალერი ჩამოხიოს, მამაჩემი საკუთარი ხელით დაახრჩობს, ასე რომ, "არ მინდა პაპა" რომც არსებობდეს, მე ვერაფერს ვერ მიზაბს და საერთოდ, მამაჩემი პოლიციელია და "არ მინდა პაპას" კი არა ნებისმიერს დაიჭერს... ვერ ვიტან მამაჩემს, დათვრება და რაღაც სისულელეებს აკეთებს, მინდა, რომ შევაგინო, მაგრამ ვერ ვაგინებ, ჩემ თავთან მერიდება, გინებისთვის ძალიან პატარა ვარ.

სულ ორი ახალი წელი მახსოვს - შარშანდელი და ეს. ეს ყველაზე საშინელი ახალი წელია. დედაჩემმა და მამაჩემმა საშინელი საჩუქრები მაჩუქეს, ხო, დედაჩემმა და მამაჩემმა. თოვლის ბაბუა რომ არ არსებობს, შარშან გავიგე, არადა, დედაჩემი მთელი წელი მაწერინებდა არარსებული კაკის სახელზე წერილებს. ჯერ წერაც რომ არ ვიცი? რაღაცეებს ვხატავდი. მაინცდამაინც არც ხატვა გამომდის, სამაგიეროდ, კონსტრუქტორებს ვაწყობ კარგად, მაგრამ დედაჩემმა მითხრა, თოვლის ბაბუა კონსტრუქტორებს არ ღებულობსო, მანდ კი დავეჭვდი, თუ თოვლის ბაბუაა და ბავშვები ასე უყვარს, კონსტრუქტორები რატომ არ უნდა მიიღოს-მეთქი, მაგრამ არაფერი მითქვამს.

მეორე, რამაც დამაეჭვა, საბაჯშო ბაღის ზეიმი იყო. ჩამოძოწინდილი თოვლის ბაბუა მოგვიყვანეს, რომელიც არყის სუნად ყარდა და მთვრალი მამაჩემიგით ბოდიალობდა. არც ერთი ლექსი არ იცოდა ზეპირად და ჩემი წერილებიც არ ჰქონდა წაკითხული, კონსტრუქტორებს რატომ არ იღებ-მეთქი, რომ ვკითხე, პასუხი ვერ გამცა, საბოლოოდ კი, საბავშო ბაღის თოვლის ბაბუა კარისკაცი ელშანა გამოდგა. ეს ყველაფერი ბაღის ტუალეტში გავიგე, ზეიმის მერე ფისი-ფისი მომინდა, აბაზნაში კი თოვლის ბაბუის ფორმაში გამოწყობილი კარისკაცი შემრჩა ხელში, თურმე ტუალეტები არევია და მასწავლებლების მაგივრად ბავშვებისაში შემოსულა. საშინელი სანახაობა იყო.

ისე, მასწავლებლებს ტუალეტი რად უნდათ, არ მესმის. ისინი ხო ყაყლებს არ აკეთებენ? ყოველ შემთხვევაში, ჩემი მასწავლებლები ტუალეტში არ დადიან. დედაჩემს რომ ვუთხარი, მგონი, თოვლის ბაბუა არ არსებობს, იმიტომ, რომ ეს თოვლის ბაბუა კი არა, ჩვენი კარისკაცი იყო-მეთქი, დამამშვიდა, მართალი ხარ, მაგრამ ეგ იმას არ ნიშნავს, რომ თოვლის ბაბუა არ არსებობსო, უბრალოდ, ნამდვილ თოვლის ბაბუს ეხლა არ ეცალა, სხვა ბავშვებსაც ხომ აქვთ ზეიმი და იქ იყოო. ის სხვა ბავშვები ჩვენზე უკეთესები რითი არიან, თოვლის ბაბუ იმათთან რომ წავიდა-მეთქი? ამაზე მამაჩემმა მიპასუხა, სხვა ბავშვების მშობლები უფრო მეტ ფულს იხდიან და ესენი ფულს ისე უჭერენ, ტრაკით კაკალს გაატეხინებო. მერე დედაჩემმა მამაჩემს თვალები დაუბრიალა, რეებს ლაპარაკობო, მამაჩემმა კი თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა, ნაღდი თოვლის ბაბუ ჩვენთან ოდდათერთმეტში მოვა, შენ არ ინერვიულოო. მე არ ვნერვიულობდი, მაგრამ მაინტერესებდა, ტაკოთი კაკალი როგორ შეიძლება გაგეტეხა და რა დასამალია, საღამოს სახლში მისულმა ვცადე კიდეც. არაფერი არ გამომივიდა. საშინელი კაცია მამაჩემი, რეებს მასწავლის?

ოცდათერთმეტში თოვლის ბაბუა მართლა მოვიდა. მამაჩემი, ბიძაჩემი, ბაბუაჩემი და მათი მეგობრები, რომლებიც ჩვენთან მარტო ქეიფების დროს მოდიოდნენ, უკეე მთვრალები იყვნენ. თოვლის ბაბუას რატომღაც სანტა-კლაუსივით ეცვა, დედაჩემს ვუთხარი კიდეც, ეს თოვლის ბაბუა არ არის, სანტა-კლაუსია-მეთქი. დედამ ისევ თოვლის ბაბუის მოუცლელობა მოიმიზეზა და მითხრა, რომ სანტა-კლაუსი იგივე თოვლის ბაბუაა, ოღონდ ლაპლანდიელიო. რომ ვკითხე, თუ ლაპლანდიელია, ქართულად რატომ ლაპარაკობს-მეთქი, არაფერი არ მიპასუხა. ეს სანტა-კლაუსი უფრო უკეთესია, ვიდრე ბაღის თოვლის ბაბუა, უფრო ახალგაზრდაც არის და თოვლის ბიძიაა უფრო გავს და უფრო გამხდარიცაა, თან ბაღის თოვლის ბაბუამ ნუგა და დათუნია კამფეტები და რაღაც საშინელი სათამაშო მომიტანა, ამან კიდევ, რომ გახსნა ნითელი ტომარა, იქიდან რა აღარ ამოიღო - დინსტაციური პულტით სამართავი მანქანა, იარაღები, პოლიციელის "ნაბორი", სახატავი რვეული და ფლომასტერები და ძალიან ბევრი მოკლედი. არა, სანტა-კლაუსი თოვლის ბაბუას ნამდვილად სჯობს, თან ამ სანტას ვკითხე, ნამდვილი სანტა ხარ თუ მისი შემცვლელი-მეთქი, ნამდვილი ვარო, ყაყეს შვები-მეთქი, არა, რას ამბობო, არც ჩემი მასწავლებლები არ შვრებიან ყაყეს-მეთქი, მაგათაც მივუტან საჩუქრებსო, მაგრამ შენ ამდენი საჩუქარი რომ მიიღე, ლექსები არ უნდა მითხრაო? ვერ ვიტან ლექსებს და სუფრაზე დგომას, მაგრამ ამდენი საჩუქრის მიღების შემდეგ უარს ვეღარ ვიტყოდი. მამაჩემმა სუფრაზე დამაყენა, დედაჩემმა ხელები ფეხების გასწვრივ მიმაბჯენინა, ბებიაჩემმა წელში გამმართა, ბაბუაჩემმა - აბა, ჰე, დაიწყეო და მეც დავიწყე, ნაძვის ხეო, ნაძვის ხეო... ძალიან ცუდად ვამბობ ლექსებს, ჩემი ბაღელები ბევრად კარგად ამბობენ, მაგრამ ტაში მაინც დამიკრეს, ლექსის გამო თოვლის ბაბუამ კიდევ ერთი საჩუქარი, ირმებიანი ჯემპრი მაჩუქა, წინა საჩუქრების მერე ჯემპრი აღარ გამხარებია, ან საერთოდ, რომელ ბავშვს უხარია ჯემპრი? ეს აშკარად ბებიაჩემის საჩუქარი იქნება და უბრალოდ სანტას შეაპარა. კი, ეგრე იქნება.

მამაჩემმა, ბიძაჩემმა და ბაბუაჩემმა სანტა მაგიდასთან მოიპატიჟეს, ის თავიდან უარზე იყო, მეჩქარება, სხვა ბავშვებთანაც ვარ მისასვლელიო, მაგრამ მამაჩემმა დაიყინა, გინდა თუ არა, ერთი ჭიქა დაგვიღიეო. საერთოდ, მამაჩემი რამეს რომ გადაწყვეტს, ვერაფრით ვერ გადააფიქრებინებ, თან რობრობა და ძალიან ბრაზიანი ხმა აქვს, რამეს თუ ვაშავებ, ერთს რომ შემომხედავს, ეგრევე ვწერდები, მეშინია, არა, კი არ მეშინია, უბრალოდ, რაღაცაირი გრძნობა მაქვს, არ მინდა, რომ გაბრაზდეს და თავის რობრობა ხმით მეჩხუბოს, როგორც კი მეჩხუბება, ეგრევე ტირილი მივარდება, პრინციპში, ჩხუბიც არაა საჭირო, ერთს რომ დამიბღვერს, ეგრევე ვშინდები, ტირილი მეწყება და უსი-

ტყვიდ ვუსრულებ ყველაფერს. ასე რატომ მემართება, არ ვიცი. დედას, ბებიას, ბაბუას და ბიძაჩემსაც კი იმდენს ვუბუდდავ, რამდენიც მინდა, მაგრამ მამაჩემს? სიტყვასაც ვერ ვეუბნები.

ვერც სანტა-კლაუსმა გაუძლო მამაჩემის ბრაზიან მზერას და როხ-როხა ხმას და მაგიდასთან დაჯდა. ბაბუაჩემმა ეგრევე ყანწი მიაწოდა, ჩვენი ყანწები კი სახუმარო საქმე როდია, ყველაზე პატარაშიც კი ლიტრზე მეტი ღვინო ეტევა. სანტამ ყანწს რომ შეხედა, სახე შეეცვალა, ძალიან შემეცოდა, ლაპლანდიელი სანტა ქართულ ღვინოს არ იქნება შეჩვეული-მეთქი, ვიფიქრე. მართალიც აღმოვჩნდი. მაგრამ რაც მან გააკეთა, მაგას ნამდვილად არ ველოდებოდი. ქეიფის დროს ჩვენთან ბევრი უგონოდ მთვრალი, ბევრი გათიშული, ბევრი ჩაძინებული ადამიანი მინახავს, მაგრამ რაც სანტას დაემართა, ჩვენს სახლში პირველად მოხდა. ყანწის მერე ეგრევე განსხვავებული დაალევინეს, მერე ბაბუაჩემის იმ კალოშით დალიეს, რომლითაც ის თბილისში ჩამოვიდა, ამ კალოშს ბაბუა განსაკუთრებულად უფრთხილდება, ასეთი ნივთი ყველას უნდა გვქონდეს, რომ გვახსოვდეს რანი ვართო. აგერ, მე კალოშებით ჩამოვედი და რამდენს მივაღწიე, ამბობს ხოლმე ბაბუა, მართლაც ბევრს მიაღწია, თითქმის ყოველ კვირა ოცამდე ადამიანს თავისი ფეხსაცმლით ღვინოს ასმევს. დარწმუნებული არ ვარ, მაგრამ მგონი, ბაბუას ის კი არ მოსწონს, რომ "რანი იყო" ახსოვს, არამედ ის, რომ მისი კალოშით სვამს ხალხი ღვინოს და თან იჯერებენ, - რაღაც მნიშვნელოვანს, (რა ქვია ამ სიტყვას?) სიმბოლიზმს აკეთებენ, უფრო სწორად, სიმბოლურს.

სანტამ კალოში რომ გამოცალა, მაგიდაზე ხელი დაარტყა და ყვირილი დაიწყო, ჯერ წვერი მოიშორა სახიდან, შემდეგ კოსტუმი გაიხადა, შემდეგ მამაჩემს გადაეხვია, შემდეგ ბაბუაჩემს, ბიძაჩემს, ბებიაჩემს და ბოლოს დედაჩემს წელზე მოხვია ხელი, ხელში აიყვანა და დააბრიალა, ბოლოს კი საკოცნელად გაიწია. ამაზე მამაჩემი გადაირია, შენ? შენ დედას ასე და ისეო, აგინა, მერე დაარტყა, მერე ისევ აგინა, მერე სანტამ დაარტყა, მერე სანტას ბიძაჩემმა შეაგინა, მერე სანტამ შეაგინა ბიძაჩემს, მერე ბიძაჩემმა სანტას დაარტყა, მერე სანტას მოქნეული მუშტი ბებიაჩემს მოხვდა, მერე ამაზე ბაბუაჩემი გადაირია, სანტა ხელში აიყვანა და იატაკზე დაანარცხა, ზემოდან დააჯდა და კალოში ურტყა. მერე სუფრის წვერებმა ძლივს გააშველეს მოჩხუბრები, მაგრამ სანტა არ წყნარდებოდა, მეო, სულ სანტა-კლაუსი კი არ ვყოფილვარ, ბრელოკა ვარ მასიველიო, ამაზე მე გადავირიე და დედაჩემს მივადექი, აბა, ლაპლანდიიდან არისო, რომ მითხარი-მეთქი? დედაჩემმა, - ეხლა მაგის დროა, თავში ჭკუა თუ გაქვსო? კიდევ მე არა მაქვს თავში ჭკუა? აგერ, ბაბუაჩემი კალოშს ურტყამს ბრელოკას, რომელიც სანტა-კლაუსი მეგონა და თურმე კიდევ მე ვყოფილვარ უჭკუო.

მოკლედ, იმ დღის მერე არც თოვლის ბაბუის და არც სანტა- კლაუსის აღარ მჯერა. მაგრამ შარშანდელის მიუხედავად, წლევანდელი ახალი წელი მაინც ყველაზე საშინელი იყო. ეს დღე ალბათ მთელი ცხოვრება მემახსოვრება. საშინელი კაცია მამაჩემი! მინდა რომ „დებილოზუ" და „იდიოტოზუ" ცუდი რამე ვთქვა, მაგრამ არ შეიძლება, ჩემხელა ბავშვები ცუდ სიტყვებს არ ამბობენ. ბაღში გვყავდა ერთი ბიჭი, იგინებოდა და მერე მაგის გამო ფილტვების ანთება დაემართა. ფილტვების ანთების დროს კი ნემსებს გიკეთებენ, მე კიდევ ნემსების მეშინია, ერთხელ გამიკეთეს ნემსი და ძალიან მტკენა. რომ მახსენდება, ეხლაც მტკივდება ის ადგილი.

არ მეძინება, ეს ვარსკვლავები მაინც ანათებდნენ, რა საშინელი საჩუქრები მივიღე, გაფუჭებული კედელზე მისაწებებელი ვარსკვლავები და დათუნია ყოლაბა, ამას ისევ ბებიაჩემის მოქსოვილი ჯემპრი მირჩევნია. ოთახთან ფეხის ხმები გავიგე, სასწრაფოდ კედლისკენ გადავტრიალდი, ვითომ მძინავს. მთვრალი მამაჩემი იქნება, შემოვა ახლა და დაიწყებს რაღაცეების ბოდიალს, რა გატირებდა, კაცი არ ხარ, ძმები არ ვართ და ეგეთებს. ძმები როგორ ვართ, მამაჩემია და, რას ქვია რა მატირებდა, სატირალი იყო და ვიტირე.

ოთახის კარი გაიღო და ვიღაც შემოვიდა, კარადას მიეჯახა და ბარბაცით წამოვიდა საწოლისკენ, ფეხებთან ჩამომიჯდა. ეს უფროსები ვერ არიან ცოტა, ხომ ხედავ მძინავს, რას ჩამომიჯექი, მოვლენ გაგაღვიძებენ და მერე უკვირთ რატომ არ გძინავსო. ეხლაც ეგრე მოხდა. ოთახში შემოსული კაცი ბაბუაჩემი აღმოჩნდა, იმდენ ხანს მეძახა, ბაბუუ, ბაბუუუ, რომ ბოლოს უკვე აზრი აღარ ჰქონდა თავის მომძინარებას, თან ბაბუაჩემს ხმაზე ეტყობოდა, რომ სანამ არ გავხედავდი, თავს არ დამანებებდა, მეც თვალების ფშვნეტით გადმოვტრიალდი და ბრაზიანად ვუთხარი, რა გინდა-მეთქი? გაწყენინეთ შვილო, არაო, - ვერ არიან, მამაჩემი ძმას მეძახის და ბაბუაჩემი შვილს, ბებიაჩემი სულ ურევს ჩემს ასაკს და ყოველთვის ერთი წლით მეტს ამბობს, რატომ შვრებიან ასე, ვერ გავიგე, მგონი, დაავიწყდათ, როგორები იყვნენ ბავშვობაში, ან ბავშვობიდან ასეთები არიან, არ ვიცი. ბაბუაჩემი საკოცნელად გამოინია, ღვინის და საჭმელების სუნად ყარდა, სუნთქვა შეეკავე, რომ არ გავგუდულიყავი, ეს სუნთქვის შეკავება ჩემმა ბაღელმა გოგომ მასწავლა, იმასაც კოცნიან მთვრალი კაცები და ისიც ვერ იტანს ღვინის სუნს.

ბაბუაჩემმა იმდენი მკოცნა რომ უჭაერობისგან კინაღამ გავიგუდე, მერე ღუტუნი დამიწყო. ან ეს ღუტუნი კიდევ რა იცით, გინდა არ გინდა, მაინც გაგაცინებენ, უსამართლობაა! იქნებ სულ არ გეცინება... აი, მე არ მეცინებოდა, მაგრამ ბოლოს ვეღარ გავუძელი და ავხარხარი, ბაბუაჩემმა კი ჩემი სიცილი შერიგების ნიშნად მიიღო, იმდენს კი ვერ მიხვდა, რომ ღუტუნის გამო ვიცინოდი. ბაბუ, არ გვინყინო, შენი გაბარაზება არ გვინდოდაო, შენ ვინც გაგაბრაზებს, იმას დედას ვუტირებთო. თქვენ გამაბრაზეთ-მეთქი. ბაბუ, მე დედა აღარ მყავს ცოცხალი და სახლში რომ მივალთ, ბებიაშენს ერთი კარგად დავჟეუავო. ამაზე მართლა გულით გამეცინა. ბაბუამ წვერები მოისრისა და ლაპარაკი გააგრძელა. აი, მე ხომ მაქვს ჩემი კალოში, შენ შეგიძ-

ლია ეგ ყულაბა გქონდეს და მამაშენი აიძულო, ყოველ წელს დალიოს მაქედანო. კიდევ ერთხელ გამაცინა, კიდევ ერთხელ მაკოცა, კიდევ ერთხელ შეეიკავე სუნთქვა და ბაბუა ოთახიდან გავიდა.

ბაბუას იდეაზე დავიწყე ფიქრი, მშვენიერი ხერხია მამაჩემის დასასჯელად, მაგრამ ყოველ წელს ამ სირცხვილს რა აიტანს? ისევ ცრემლები წამომვიდა, რატომ გამიკეთა მამაჩემმა ასეთი რამე, არ მესმის. დათვრება და ვეღარ ხვდება რას აკეთებს, მეგობრები კი ვერაფერს ვერ ეუბნებიან, ეშინოთ, მამამ არ დაიჭიროს. ბიძაჩემი მამაჩემზე უარესია, მაგან მოიფიქრა, თუ არ მოსწონს ეგ ყულაბა, განსხვავებულად გამოვიყენოთო. მამაჩემს ძალიან მოეწონა ეგ იდეა, პირველი ჩამოტარება ყულაბა ღვინით აავსეს, ყველამ დალია ჩემი სადღეგრძელო, მამაჩემმა თქვა, აქედან ისე ვერ ნახვალთ, მაგ ყულაბას თუ ფულით არ აავსებთო! მთვრალმა ბიძიებმა საფულეები ამოიღეს, ძალიან გამიხარდა, იქნებ იმ ფულით მაინც ვიყიდო რამე ნორმალური-მეთქი, მაგრამ მამაჩემმა, ეხლა ხომ განსხვავებული დავლიეთო, მთვრალმა ბიძიებმა - კი დავლიეთო! მამაჩემმა კიდევ, ეხლა მე მინდა, რომ განსხვავებული სასმელით დავლიო განსხვავებულიო. ვერავინ ვერაფერი გაიგო. მამაჩემმა მე გადმომხედა, საშინლად ამიჩქარდა გული, ეგრევე მივხვდი, რომ რაღაც ცუდი მელოდა ნინ, მაგრამ რაც მოხდა იმას როგორ წარმოვიდგენდი. რა მინდოდა? დამეჯერებინა დედაჩემისთვის და წავსულიყავი დასაძინებლად. მამაჩემმა ლოყაზე ხელი მომისვა, ჩამიხუტა, მაკოცა და მაგიდაზე ადიო, მითხრა. აუ, კაი რა, მა, აღარ მინდა ლექსების თქმა-მეთქი. მამაჩემმა ერთხელ კიდევ წყნარად მითხრა მაგიდაზე ადტიო, ისევ უარი რომ ვუთხარი, უკვე ბრაზით გადმომხედა და ეგრევე აეხტი მაგიდაზე, მამაჩემმა წელზე ხელი შემომხვია, ძალიან მთვრალი იყო, კინაღამ დამაგდო, ბაბუას რომ არ შევეკავებინე, მაგიდაზე დავეცემოდი და საცივში მთვრალი კაცივით ჩავყოფდი თავს. მამაჩემი თვალებს ვერ ასწორებდა, ისეთი მთვრალი იყო, ორი ჭიქა ლიმონათი დამისხა და დალიეო, მითხრა. ჭიქა მოვიყუდე, მაგრამ მამამ გამაჩერა, სადღეგრძელოს გარეშე დალევა ვის გაუგიაო, თქვენ გაგიმარჯოთ-მეთქი, ვთქვი და ორივე ჭიქა გამოვცალე. მამაჩემმა მაკოცა და მთვრალ კაცებს ყვირილით უთხრა, ესო - ჩემზე ანიშნა - ეს ჩემი ძმა, ჩემი შვილი და ჩემი ვაჟკაცი კაცი არისო, ვინმეს არ გჯერათო? ყველამ - კი, როგორ არა, გვჯერაო, მაგრამ მამაჩემს არ სჯეროდა, რომ იმათ სჯეროდათ, შემომიტრიალდა, ლოყაზე მაკოცა და, მიდი, მამიკო, ანახე შენი აიდი ბარათიო, მითხრა. ისე შემრცხვა, ლოყები ამინითლდა, თავი ჩავხარე, მამაჩემმა ყბაზე თითი მომადო, სახე ამინია და ნუ გრცხვენია, ვისი გრცხვენია, ამათიო? ესენი ჩვენი ძმები, შენი ძმაკაცები არიანო, მე ისევ თავი ჩავხარე და მამაჩემმა უკვე მკაცრად მომმართა, გინდა თუ არა, აჩვენე აიდი ბარათიო. ბიძაჩემმა - მიდი, ბიჭი, რა გერიდება, ყველანი კაცები ვართო, მთვრალმა ბიძიებმაც მხარი აუბეს მამაჩემს და ბიძაჩემს და მე ტირილი დავიწყე. მამაჩემმა ძალიან მკაცრად მითხრა, - ნუ ტირიხარ, რა არის სატირალი, კაცი არ ხარ? აჩვენე აიდი ბარათი, ნუ მარცხვენო. ნუ მარცხვენო, ისე მითხრა, რომ შიშისგან კინაღამ ჩავიფსი. ცრემლები მოვინმინდე, მაგრამ ისევ ვზლუქუნებდი, შარვალი და რეიტუზი ჩავიხადე, საშინლად მინდოდა ფისი, რამ დამალევინა ამდენი ლიმონათი, ახლა აქ რომ ჩავიფსა, მამაჩემი საშინლად მეჩხუბება-მეთქი, ვფიქრობდი. ტრუსიკი ჩავიხადე და ყველამ ტაშის დაკვრა დაინყო, ეს რამხელა გქონია, შენ გაბია თუ შენ აბიხარო და ეგეთ უზრდელობებს მეუბნებოდნენ. მამაჩემმა კი ყულაბა აიღო და ყველა გაარჩუმა. აი, ეს არის ჩემი ვაჟკაციო, კაცია და არაფრის არ რცხვენია და არ ეშინიაო, მე კიდევ ცრემლები წამსკდა, ტრუსიკის ამოწევა დავიწყე, მაგრამ მამაჩემმა გამაჩერა, ყულაბა კუტუსთან მომიტანა და მითხრა, მამი, აქ მოფსი შენი ფისი-ფისებით განსხვავებული, განსხვავებული უნდა დავლიოო. ისე ავნერვიულდი, რომ ფისი თავისით გამეპარა.

ისევ ცრემლები წამომვიდა. ამ დროს ოთახის კარი მამაჩემმა შემოაღო, ატირებული რომ მნახა, კიდევ ტირიხარ შე სირისტიანოო? საშინელი კაცია მამაჩემი, იდიოტი, კრეტინი დებილი და... და დედამოტყნული.



ლია სტურუა

სამიზნე

არც ერთხელ არ დაბრუნდი იქ,
სადაც მომკალი, სადაც თვალით
მძიმე საგნების გადაწევა შემეძლო,
რომ დამენახა, მათ იქით რა არის,
ან არ დამენახა და მეფიქრა ამაზე
ეს მოგეწონა?
ამიტომ აგიყვირდა ნახატზე
ჩემი ფერი - ნარინჯისფერი?
მერე ლავინის ძვლებით
დანგრეული სიმრგვალე გენიშნა ცუდად,
თუ უძილობის დროს
მთვარის გარშემო დაწყობილი
სიგარეტის ღერები?
სუნთქვაში იმდენი აღმართი ჩაიყენე,
მათ ავლაში ნარინჯისფერი გამითავდა,
ქოშინი გარეცხილი მელიებით ამევსო
ასეთ შეუხედავს ხომ არ მომკლავდი!
ფერის რესტავრაცია გინდოდა.
ხურმის ხე დაგანახე -
ერთნაირები ვიყავით, სამიზნეების ოჯახიდან.
იარაღზეც შევთანხმდით, დროზეც, სიუჟეტზეც,
მაგრამ ამხელა ნარინჯისფერი მოსავალი -
ჩემი გაცოცხლებული უჯრედები?
როგორ ყვირიან!

და ა.შ.

სიმღერამ ისე მოუხვია,
ისე აშკარად გამოუჩნდა
მრგვალი მუხლები, რომ შეეხო,
ხელი გაგინათდება
რაღას გადახვედი რეჩიტატივზე,
რომელსაც დამრეცი ნაპირები აქვს?
გგონია, ვარდნით ცას გაკაწრავ,
ან მიწას დააჩნდები?
დიდი-დიდი, შემოდგომას სისხლი მიუმატო,
რომ უფრო მკაფიოდ შევიდეს ზამთარში
და სველი თვალებით გააცილონ -
მარტივი სეზონური სევდა,
როცა მძიმე როკი, ლითონის გემოთი...
სიმღერას მუხლები უთავდება,
რეჩიტატივს - გახშირებული სუნთქვა,
ზამთარი მოდის და ა.შ.

***

- გეყოფა, წადი!
საკმარისად პარსე
300-იანი დღის მატყლი
კარგად წათლილი თვალებით.
მაინც ვერ აიტან
სამართებელივით დღეების დაჩლუნგებას,
გრძნობის ორგანოებისაც,
ტახტზე რომ გიდევს
და საგნებივით მტვერი ედებათ
გარეთ კი წითელი და სქელი ასოებით
ნერია სიცხე...
მოულოდნელ ადგილებში ფხიზლდება ტვინი:
დაბეჟილში, წყლულიანში, აქავებულში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაგნოზს ვერ დაგისვამს,
ანალიტიკური თვალი დახუჭული აქვს,
დუნედ შეგენინაღლმდეგება, როცა მოსთხოვ
ჯვრის ჩამოხსნას,
რომელიც არ გიტარებია
ჭრილობა თუ არ გაქვს,
შიგ ლურსმნები არ იუანგება,
ჯვარს სისხლის ანალიზიდან
ხომ არ ამოიღებ?
გახსოვს, ქვეყანა რომ
ზაფხულის დროზე გადავიდოდა,
როგორ გიყვარდა ის, მოვლილი ფრჩხილებივით,
ნაგრძელებული საღამოები!
ამაზე გააკეთე აქცენტი!
თორემ ისიც ხომ იყო:
პური რომ ითხოვე
და ქვა მოგცეს...

ჩემს თვალში დირე

ჩვეულებრივი სახლი, სანამ
კედლები თავის ადგილას დგანან,
სინათლის დოზას მიზოგავენ,
გულზე რომ მომიჭერენ,
უკვე - თავშესაფარი.
მაშინ მომენატრება მინდორი,
რომელიც ერთ სააუში მბეზრდება ხოლმე
თავის ნამიან-ბალახიან-ჰორიზონტიანად,
ისევ სივინროვის სასარგებლოდ.
კედლებიც ცოცხალია,
შიგ თითო ბავშვი ყავთ ჩატანებული -
ქართული არჩევანი,
აქეთ-იქით გადახრების გარეშე
პატიოსნების გასაგონად ვამბობ:
თქვენი თვალების ბეწვებისგან
ერთი გაჭირვებული თავი თუ გამოვა
კისერს ვიღა გამოუგონებს?
ჩემი დირე თუ არ შევაშველე,
კომპლექსებისგან არ გავათავისუფლე...

გვიანი შოუ

ღამე, როცა განსაკუთრებით
გეშინია სანოლის და ეწებები ტელევიზორს,
რომელსაც ინტელექტუალური გადახრა ეწყება:
შოუმენი (ათასსანთლიანი ნათურა შუბლზე)
პროფესორების ჯგუფს (წარმოუდგენელი ვოლტაჟი)
ეკითხება: - შეიძლება ადამიანს აზროვნება ასწავლო?
პროფესორებს თავში კომპასები აქვთ,
შეთავსებით რადიო, დილის 8 საათზე
ჰიმნსაც კი ასრულებს: "ვივა აკადემია! ვივა პროფესორე!"
რა შუაშია ლენინი?
ისარი გაურკვეველ მიმართულებას უჩვენებს -
უფრო სახეებისკენ თავისთავად
კითხვის ნიშანს რომელ ნახვრეტში ჩაუტენი?
ღმერთმა თუ ააშენა, ისედაც,
კონსტრუქციაში ჩააყოლებდა,
თუ არისტოტელემ გამოაგდო თავიდან,
ინსტინქტებს შეკრებენ და აზრს გამოადენენ,
ბუნებისგან აიღებენ მაგალითს,
ოქროსფერი საყვირებიდანაც რომ
დამჭკნარი თირკმელები ცვივა,
ლობიოს მარცვლებივით,
დიალიზით გაუგრძელებენ ჰარმონიას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ სხვა მუსიკაში გადავიდეს, ინფარქტებიანში,
როცა ტანი სანოლიანად გტკივა,
რაც რითმისთვის უხერხულია,
ამიტომ ნათურები, კომპასები, რადიოები,
საგნები თავისთავად! უმწეობა მათ წინაშე,
მაგრამ დროის რომელიღაც ნახვრეტიდან
რუშების გახამებული აპოკალიფსი,
რომელიც სულ სხვა მუსიკასთან მიდის,
სხვა ლექსთანაც! (თავისუფალთან?)
რასაც მიხვდები ამის შესახებ, იტყვი,
ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე.

***

წვიმა, თითქმის, მუსიკალური,
შავი ფრაკი აცვია, მოდას არ მისდევს,
ორკესტრიც სხვანაირი გახდა,
შუბლზე ხელმიდებული, ისეთი აღარ,
თითქოს, ჰაერის ბოლო ყლუპი
უკანკალებს ყელში -
კოლექტიური გიჟი ირჩობა...
სიტყვით თანავუგრძნობ.
ყვავები დაფრინავენ, სველები, მძიმეები,
შავი ტომრებივით
ერთმანეთზე რომ დავაწყო,
ძეგლი გამომივა ასეთი დღის,
როცა სიკვდილი მინდა.
არა თამაში მასთან,
მატარებელს რომ ლოყას მიადებ
და ქარი ამოვარდება,
ან იგივე ლოყა
ნეტარების კუთხეს შეკრავს ბალიშთან,
შორისდებულებით დაგაბოლოებს,
პირიქით, სახით ორკესტრისკენ, სუნთქვით!
ყვავებისკენ - თვალების ნახვრეტებით!
შემხედავენ
და ღიმილი მაქვს შარშანწინდელი...



impression

სახეზე
ყურიდან ყურამდე გაჭიმული სევდა
ტრადიციული სიცილი ნაპრალებიანი იქნებოდა,
არ ივარგებდა,
ერთი ყურის ადგილი
კიდევ უფრო ნაპრალი,
მის თავზე ყვავები დაფრინავენ...
მინდორს რომ გამოაკლო ხიდი,
ხიდს გიჟი, რა დარჩება? მზე,
მაინც მზე, ყველგან,
განსაკუთრებით თავში...
ყვავების ეპიზოდი ჩრდილივითაა,
მუზეუმივით, რომელსაც არ ჭირდება
ამხელა თავის ტკივილი,
ტკივილის შთაბეჭდილება კიდევ ხო!
კლასიკასთან თანაცხოვრება შეუძლია,
სევდა იქაც არის, ოღონდ,
არა ყურიდან ყურამდე,
მარტო ერთი პირის ფარგლებში,
ლაპარაკიდან კბილები რომ არ ამოცვივდეს,
ასეთი ბეჭედი აზის.
ისიც ბეჭედი არ არის?
ორი ხელოვნური მზესუმზირა.
სოფლის სასაფლაოზე...

გივი ალხაზიშვილი

* * *

დილით ერთი გაღიმება,
ან გასაშლელად შეღერილი ვარდის კოკორი,
ჰყოფნის მებალეს სიხარულისთვის.

ვიოლინოს გასაღებივით თუ მოარგებ
შენ განნყობას ამ მზიან დილას,
ცად იქცევა შენი თვალები,
სადაც უკვე არაფერი ჩანს გარდა მზისა,
გამადიდებელ შუშიდან რომ დაჰყურებს თბილისს
და უპაუზოდ ჩეკავს სხივებს...

ხოლო უკვდავი სოცმუშაკი ისევ წუწუნებს:
არაფერი გვაქვს, გარდა მზისა,
თუმცა ესეც სეზონურია,
მაგრამ ბალები და მინდვრები სეზანურია...

სწორედ ამ დროს წარმოსახვაში
ამოიზრდება ზღვის პეიზაჟი
და ყურები ნიჟარებივით ინყებენ შრიალს
და იმ შრიალში არ შეიძლება არ ამოვიცნო
ბიჭვინთის ბზის და ლაქაშის სუნთქვა...
აქ, მშობლიური კონტურები საღამოობით
ხსოვნის შუქზე იკრიბებიან...

რაკურსი

ზურაბ სამადაშვილს

როგორც ბეჭედში, ამ რაკურსში,
ჩასმულია შენი მზერა
და ვინ იცის,
მერამდენე საუკუნეა ახსოვხარ წყვდიადს,
კაცის თვალმა ალმოგაჩინა?!

მერე რა მოხდა,
თვალი თვალის მოსაფერებლად თუ გამირბის
და ზოგჯერ ვხუჭავ,
უფრო ახლოს რომ დაგინახო...
მე ხომ ისეც ვგრძნობ
შენი სიშორის მოახლოებას,
როცა ერთი მზე დადის ჩვენში
და ჩვენს ძარღვებს ამღერებს ერთად.

ჩვენ ერთად ჩავალთ, საიდანაც ამოვედით
და რადგან ჩავალთ,
სამყაროს ყველა ჭუჭრუტანა აგვეხილება...

ეს იგივეა,
ყველაფრიდან რომ იყურები
და სხვა ვერ გხედავს...
თავს ვკარგავ შენთვის...

სიჩუმეს კაწრავს მესკიას კვნესა
და შენს სიზმრებში
იბუდებენ მოლაღურები,
თავს ვკარგავ შენთვის,
ვპოულობ შენთან,
სულს ვითქვამ შენი მონახულებით.

ISSN 1512-1666

რა მესმის,
გარდა გულისცემისა,
გავირინდები ხმას ვეღარ გაგცემ,
მალე ამ ბაღებს დაიპყრობს ბინდი
და ჩვენ სიჩუმეს დუმილად აქცევს.

ეს ფრინველები მსტუმრობენ ხშირად,
მეგობრები კი ვეღარ იცლიან,
მე ხომ ვინც მიყვარს,
გულში მყავს ყველა
და მათ გარეშე არ შემიძლია...

* * *

კვლავინდებურად მაბავ ხმის ტემბრით,
რეგისტრის რხევით, ბგერის ხავერდით,
დიაპაზონი გაქვს იმათებრი,
ვისაც წარსულში სულს უხამებდი.

ამიყოლიე, გულში ჩამხედე
და უნებლიეთ გყვები სხეულით,
შენი სიმღერა ისე მამხნევებს,
როგორც ჩანჩქერში მზე ჩახვეული.

გულში გავივლებ, - რა შეედრება
მოგუდული ხმით სმენის დაღარვას,
შენი სიმდიდრე არის სიმდედრე
და სიყვარულით გულის დაღალვა;
თმას არა, ახლა ღამეს მითეთრებ,
ისე შენში ვარ, სხვაგან აღარ ვარ...

ჩემი დღეების მიწა

ის მასულდგმულებს, მისი წყალობა -
პური და ღვინო, ღვინო და პური,
მარჩენალია, რაც თავი ახსოვს,
თუმცა არასდროს ჰქონია ფული.

ასეთ სიმდიდრეს ვერ მიწილადებს
მილიარდერთა მსუყე ფონდები,
ესაა რასაც მჩუქნის განგება,
ამაოებით, როცა ვლონდები.

საღამოს ტახტზე სხეულს ვასვენებთ,
მე და ეს, ჩემი დღეების მიწა
და ის, ვინც ხორბლის სიმწიფე იგრძნო,
ღმერთის გახელილ ცასავით მიცავს.

გათენებიდან

როცა დილიდან იწყებ შენ ღამეს[1],
გაზაფხულიდან მოელი ზამთარს,
არ გიკვირს ამ ცას რომ შეეხამე
და გაურკვეველ დარსა თუ ავდარს.

მე ვეღარ ვამჩნევ
დღე ღამეში როგორ გადადის
ან შენთან ერთად, ანდა უჩემოდ,
მიზიდულობავ, გადაუჩვევო,
ჩვენ ხომ ყველაფერს ვგრძნობდით ვადამდი?!

მე ვეღარ ვამჩნევ
დღე ღამეში როგორ გადადის,



1. "როცა შენთვისაც ღამეები იწყება დილით..."
პაულ ცელანი ("ხასიყვარულო სიმღერა")

ისევ დროს ვუსწრებ,
ვარ უვადოდ უცნობ ვადამდი...
გულში ჩაგითქვამ
და შენამდე რომ მოაღწიოს,
სულს გამოვატან შენთან,
როგორც ადრე ვატანდი.

პირველი პაუზა

აბა, რა ვიცი, რა გამოვა ახალი წიგნი,
მაგრამ ჩემთვის ნაცნობია ის განწყობა
მრავალ ფრაგმენტს რომ ინახავს ცოცხლად,
არა მხოლოდ მეხსიერებით, წარმოსახვაშიც
და მე მამზადებს ორთაბრძოლისთვის ახალი დრო,
როგორც შემთხვევით გლადიატორს,
სიცოცხლის რომ ეშინია სიკვდილზე მეტად.

თავს ისე იჭერს, რომ არც კი იმჩნევს,
თითქოს ჰკიდია ყველაფერი ნუთზე,
რომელიც ყოველთვის გადის და ვერ ბრუნდება.

რატომღაც ერთი სენტენცია აიკვიატა
რომ ჩაბღუჯა მაშველ რგოლივით
და არც კი იცის საით მიცურავს:
ბუნებაში არაფერი არ იკარგება,
და ა.შ. დაუსაბამოდ...

ვივსებით და ვცარიელდებით
და ჩვენ ვარსებობთ ზღვის მიქცევა-მოქცევასავით
და ერთხელაც იმ ღრუბლებად გადავიქცევით,
რომლებმაც ჩვენი ენერგია უნდა აწვიმონ
ამ უდაბნოს და სიცხისაგან გათანგულ ქალაქს...

აბა, ჩაფიქრდი, ახლა ვინ უფრო გახსენდება -
მენდელეევის ცაბულა თუ
ალექსანდრ ბლოკის "სიკვდილის როკვა"?

საუკუნის წინ ცოცხლები იყვნენ,
ახლა არცერთი აღარაა, ცაბულას გარდა,
კიდევ არქივი და წიგნები,
სათუოდ რომ შემოუნახავთ ძველ ფოლიანტებს
და წარჩინებულ აჩრდილთა მოდგმას.

აქ ასვენია ტრაქტატის ტექსტი, -
ვადაგასულ მეხსიერებას რომ გადაჰყვა
და კულისებში გარდაიცვალა!

სისხლი სდის სიტყვას, გამეტებით რომ გადავხაზე
და ცდილობს გულში შემოაღწიოს,
სადაც ზოგჯერ ხსოვნის ჭუპრები იჩეკებიან
და ლაქები ღამის შუქზე აგრძელებენ შეწყვეტილ ფრენას
იმ ნამიდან, რომელიც შეწყდა...

მეორე პაუზა

გამიმეორა მნემოსინემ:
გულმავიწყი ხარ!
თუმცა ბევრი არაფერი დამვიწყებია.

შენი სუნთქვა
ღამის ზამბახის სუნთქვისაგან ვერ გავარჩიე.
ყოველთვის, როცა ჩემ სახლს ვტოვებ,
შენსას ვპოულობ.

აქ იგრძნობა დაუსაბამო ზაფხულის ფეთქვა,
რომლის სათავე ან შენა ხარ
ან ის, ვინც უკვე მოასწრო თავის გადავიწყება
და შენამდე გზა შეიმოკლა!

აქ დრო ჩნდება ჩვენთან ერთად
და ერთმანეთს როცა ვეხებით,
ჩვენ ვღრმავდებით
და შეხებისას დრო იმალება.
...
შენ გაგახსენდა,
ნუხელ როგორ გეჭირა ჩვილი
და უმწეობის გულისცემა სულს გინათებდა...
ისე გიყვარდა, ისე ძლიერ, ისე ძლიერ, რომ შეგეშინდა
და ჩაიმალე შენში,
სადაც ვეღარავინ შემოიხედავს....

ზაზუნას სახლი

შენი ხელი,
ჯიბეში რომ ვპოულობ,
ზაზუნასავით დაძვრებოდა
და რომ ვათბობდი,
ისე სწრაფად კარგავდა ყინულს,
ისე დნებოდა, გააზრებასაც ვეღარ ვასწრებდი.
შენ კი ჩემი მკლავის კარვიდან
ამომხედავდი ზაზუნასავით
და ჩემში ისევ მეორდებოდა რეფრენის სითბო:
"ზაზუნა ჩემთან ერთად"...

ჩვენ ხელებით ვსაუბრობდით,
ჩვენი სათქმელი ეძებდა მხოლოდ შეხების ენას
და სიტყვამდე ვერც კი ვაღწევდით...

იყოს ეს ლექსი "ზაზუნას" სახლი,
სადაც ჰობოის ხმა დაიბუდებს
და ზოგჯერ გულში მაინც ვიტყვი:
"ზაზუნა ჩემთან ერთად".

ის დრო, სულ აქვე მეგულება სამოთხესავით,
აქვე და არსად
და გული მუდამ იქით მიმიწევს....

* * *

რამდენი ცა გამოვიცვალო,
რამდენი ღამე შევიკედლო,
რამდენი დღე მოვიდეს შენთან,
სულ ჩემზე გავლით...

გზად ვჩერდები, ხელს ვიჩრდილავ,
თავს ვეკითხები,
ვისაც ვეძებ,
ნუთუ ჩემში ვეღარ ვპოულობ?!

ფსალმუნი

ის სიტყვები, პირველად რომ თქვი უფალო,
ანათებდნენ, როდესაც ყღერდნენ.

შენ შეეწიე ამ ქვეყანას, სიტყვებს ნათელი დაუკარგეს
და ხმოვანებაც ისეთი აქვთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ქვებზე ჟანგიან თუნუქს
აყლარუნებენ,
ვინ ამოაღწევს ბნელი ხმაურით
შენს სინმიდემი,
როცა მრავალი თავის ჭაობში იძირება
და შველას სთხოვს პოლიტიკურ გვამებს,
რადგან არავინ ეგულება იმათზე მაღლა
და საცოდავი ფინიებივით კუდში
დასდევენ -
იმათ, ვინც უკვე მკვდრად იშვა
და აღარ მოკვდება.

ჭეშმარიტება არის ყველგან,
სადაც შენ სუფევ,
შენ შეეწიე ამ ქვეყანას, უფალო ჩემო!

* * *

ვერ ვიხსენებდი შენს არსებობას
სხვა დროს და სხვაგან,
რაც თავი მახსოვს,
მერამდენე საუკუნეა ერთად ვსულდგმულობთ,
დროს გავყავართ უდროობაში
და თვალები შენი ჩრდილით როცა მევსება,
მკარნახობს ბგერას,
გულიდან რომ ამოიმღერა
და ვერც კი ვიგებ თუ საიდან ჩნდებიან ხმები,
უნებლიეთ რომ წყვილდებიან?!
ასე ცოდნა-არცოდნის ზღვარზე
სიცოცხლე ჩვენი ისხამდა მტევნებს
და ამოუხსნელ ერჟოლით გვავსებდა.
ამოიზარდნენ სახეები გარინდებაში
და თავშესაფარს ჩვენში ეძებენ.

აი, მეგზური, ჩვენ რომ მივყვებით,
არ იშრიტება მზერა მისი უკუნისამდე,
ის ანთებს ჩვენში ცეცხლოვან რიტმებს
და მიგვაცილებს დღის და ღამის თბილ კულისამდე.

ხორბლის სუნი შემოჰყვება საღამოს ნიავს,
ბავშვობის ყანის ამოსუნთქვაზე.
აქ იბადება ღილინის პულსი,
ამოხტომას რომ ლამობდა შენგან
და უსმენ ძარღვებს სიმების მსგავსად
და მოუთმენელ სისავსის სუნთქვა
აწმყოში ისმის და სხვაგან არსად!

* * *

ძირულამ მომწვანო თვალი შემავლო,
მიიხედა და გაჰყვა დინებას
იმის საძებნად, ვინც სულ გზაშია
და არასოდეს არ ეძინება.

* * *

ის გზა,
რომელსაც ჩემთან მოჰყავდი,
შენს დანახვაზე რომ ვიღიმოდი,
აქ აღარ არის, გეზი იცვალა
და ახლა ჩემზე გავლით მიმოდის...



* * *

ბავშვობაში ცა რომ მყავდა ფრენას ვსწავლობდი,
ახლა სიზმარშიც ვეღარ დავფრენ
და ჩემი ცა მინას ეყრდნობა.

მაგრამ სულის თვალს რომ ამიხელ
სამყაროს მჩუქნი და სხეულს ვკარგავ,
და ვგრძნობ სუნთქვის უწონადობას.

ზოგჯერ ვშორდები დედამიწას
და გული ისე მეწურება,
უთქმელობაში უდედობის დარდი გუბდება.

აუხსნელია ის წუთები, იესო რომ ქვიშაზე წერდა,
ნერდა და შლიდა და რასაც შლიდა
თურმე ჩვენში იმახსოვრებდა...

* * *

შენ რომ ფოთოლი წერილივით გამომიგზავნე
და გამაფრთხილე, შემოდგომამდე არ წაიკითხო,
მაგრამ რომელ შემოდგომამდე, დღემდე არ ვიცი.
თვალის ფსკერზე დევს ფოთლის კონტური,
მინაზეც დარჩა ანაბეჭდი,
წიგნში იქცა ჰერბარიუმად
და მე რა ვიცი, ვინ მისახსოვრა
მისი შრიალი, რომ ჩამესმის დასაბამიდან?!

მე და მე, ისევ მე და მიწა - ამ ანაბეჭდს ერთად ვინახავთ,
ორნი ერთი ვართ და ჩემთვის ვფიქრობ,
ალბათ, მხოლოდ სუნთქვით მპოულობ,
რაც მინილადე დაბადებისას.

ასე ვარსებობ უმიზეზოდ,
როცა გულით ამოგხედავ -
სიხარულისგან ხმა მებზარება
და თვალებში ბრწყინავს სისავსე...

მე მხოლოდ ვეძებ,
ის რეფრენივით ჩემში ცოცხლდება.



ისე ახლოს ხარ...

ჩვენ ისევ ვსუნთქავთ,
ვერც კი ვამჩნევთ როდიდან,
თვალსა და ხელს შუა ისე ვორთქლდებით,
მაინც ვსუნთქავთ თქვენი ნატვრით აღსავსე ჰაერს
და უნებლიეთ ერთმანეთს ვეძებთ...

ხანდახან სარკეც თვალს გვარიდებს,
ძლივს მოჩანს ჩვენი მოძრაობა ჰაერისფერი,
გრძელდება ჩვენი პერფორმანსი,
გაამზეურებ შენს რელიკვიებს -
ორასი წლის მინის სამელნეს
და პარიზში საუკუნის წინ ნაყიდ ჰობოის,
მთელი ევროპა რომ მოიარა
და თბილისში ჩაეძინა გაქექილ ყუთში.

უხმოდ ნათქვამში დავეძებ ადგილს
და ვნატრობ ფესვი იქვე გავიდგა,
სადაც ვპოულობ სულის მოსათქმელს -
თვალის სხივით და ხმის ტემბრით სრულით
და ვგრძნობ აქვე ხარ, ისე ახლოს ხარ,
რომ სიახლოვით გამითბა სული.

თემურ ჩხეტიანი

სადღეგრძელო

შენ გაგიმარჯოს,
ჩემო სიკვდილო,
მოთმინებით რომ მელოდები
მთელი სიცოცხლე!..

ვერსიები

თუ გიყვარს და მას არ უყვარხარ,
მარტო ხარ სამყაროს წინაშე
და უფლება გაქვს, ამ სამყაროს
ჭექა-ქუხილი უგზავნო;

თუ ვინმეს უყვარხარ
და შენ გულგრილი ხარ,
მარგინალი ხარ - განაპირებული
და სამყაროს დუმილი გაყრუებს;

თუ გიყვარს და მასაც უყვარხარ,
სამყაროსეულ სტიქიის ცენტრში ხართ -
ერთად ხართ და მხრებზე გაცვივათ
ღმერთისგან
ლოდები.

გაბრაზება

გავბრაზდი ჩემს თავზე,
გავბრაზდი ჩემს სიზარმაცეზე
და ეს, უქმად ჩავლილი დღეები
კუთხეებში დავაყენე
არაფრისმაქნის მოწაფეებივით.
ვუთხარი: არ შემობრუნდნენ,
ჩემკენ აღარ გამოიხედონ,
ხმა არ გაილონ,
მე კი საქმის დაწყება ვცადე
და მაგიდასთან ქაღალდები ავაშრიალე.
ვუთხარი, მაგრამ მიჯერებენ?..
დრო და დრო ჩემკენ იჭყიტებიან,
ერთმანეთსაც ანიშნებენ რაღაც-რაღაცებს
და ფხუკუნებენ - ისევ დამცინიან.
ვყვირი: „გაჩერდით!.."
ჩერდებიან, შეშდებიან თავიანთ ადგილზე,
მაგრამ ეს ცოტა ხნით,
მერე კი ისევ აგრძელებენ ცელქობა-ცუღლუტობას -
არ ისვენებენ
და არც მე მასვენებენ.
ვცდილობ, საქმეს მივუბრუნდე
და ვერ ვახერხებ - არ მაცდიან,
ვერც გარეთ გავყრი...

ახია ჩემზე ! -
დღეებო, არაფრის მაქნისებო,
თქვენს ჭკუაზე არ უნდა მევლო,
თქვენს ნებაზე არ უნდა მიმეშვით.

კედლის მხატვრობა

- ნუ დაუშლითო, - თქვა ჭაღარა ექიმმა...
ბიჭუნა რვა-ცხრა წლის იქნებოდა,

გამხდარი იყო და ცისფერთვალება -
მარტო ინვა პატარა პალატაში, სადაც დღეში რამდენჯერმე
შედიოდა ან ექთანი, ან დამლაგებელი.

დილით, როცა პირს დაბანდნენ და ასაუზმებდნენ,
რაღაც წამლებსაც აყლაპებდნენ,
ნემსის ჩხვლეტამდე კი ამხნევებდნენ,
ისიც თითქოს თავს იკავებდა,
მაგრამ ზოგჯერ ეტყობოდა - ცრემლებს ყლაპავდა.

მერე, თითქმის სადილობამდე, საწოლში წამომჯდარი
ან ფანჯარას გაჰყურებდა,
საიდანაც ჩანდა ხის ტოტები და ცის ნაწილი,
ან მუხლებზე დადებულ რვეულში ხატავდა.
ხატავდა თორმეტი ფერადი ფანქრით.

ერთ დღესაც ზედ საწოლთან,
თეთრ კედელზე დაიწყო ხატვა.
დატუქსეს და წაუშალეს -
დამლაგებელმა მისი ნახატი
სველი ჩვრით გააქრო.
მეორე დღესაც იგივე განმეორდა,
მესამე დღესაც -
უშლიდნენ და მაინც ხატავდა -
ხატავდა ხეებს, სახლებსა და ავტომანქანებს...



ორშაბათის შემოვლაზე მთავარმა ექიმმა
ბიჭუნა გასინჯა,
მერე თვითონვე შეუკეცა პატარას საბანი
და წუთით თვალი კედელს გაუშტერა.
არაფერი უკითხავს და მაინც მოახსენეს
ბიჭუნას ახირებაზე თუ სიჯიუტეზე...

კართან მისული ისევ შემობრუნდა:
- ნუ დაუშლითო, -
გაიმეორა და ისე გავიდა.
მას უკან მიჰყვნენ
ექიმები, ექთნები და სანიტარები.
...

ხის უძრავი სკამები

ჯადოქარი მწყემსი გახლავთ იანვრის ქარი -
მომნუსხველად უკრავს თავის სალამურებზე;
უკრავს და მისგან ნამოსული ზღაპრული ბგერები
ედებიან და ავსებენ ქალაქის ქუჩებს.

მაგრამ ვის ესმის ეს მუსიკა? მხოლოდ მოხუცებს,
მხოლოდ მათ, ვისი დაღლილი სმენაც
მზადაა ამისთვის, ვინც უკვე იციან,
საიდან მოდიან ეს ხმები და საითკენ უხმობენ.

სწორედ ისინი, მოხუცები, ხანდაზმულები
გრძნობენ ამ ხმებს და ამ მუსიკას -
ჯადოქარი მწყემსის - ქარის სხვაგვარ მუსიკას
და მიჰყვებიან საგანგებოდ მორთულნი და შემზადებულნი.

ჩვენთვის ეს მხოლოდ იანვრის ქარია -
ზამთრის ქარი, ცივი, უსიამო
და მათ, ვისთვისაც ეს ცივი ქარი, სხვა რამეს ნიშნავს,
უფრო გვიან მოვისაკლისებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვიან, ანუ გაზაფხულზე, ანუ სითბოში,
როცა სახლების წინ ხის უძრავ სკამებზე,
არავინ იჯდება,
არავინ - მხოლოდ მზე, თითქოსდა ვიღაცის მომლოდინე.

ყინვიანი იანვარი

დღისით
გასაშრობად გაკიდული ზეწრები
ღამით
გაიფშიკნენ და თეჯირებად იქცნენ.

გადასწიე თეჯირი, ძვირფასო
და შემომიგორდი -
ჩვენ ხომ ჯერ კიდევ თბილები ვართ !..

თებერვლის ლეპტოპი

ოჰ, თებერვალო, მე რა ვთქვა
შენი გართობის ჟინისა? -
სულაც ფეხებზე გკიდია
რისხვას ინვევ თუ ღიმილსა:
ჩაკეცე ქარის ფაილი,
გახსენ ფაილი წვიმისა.

ზაფხული

ღამეები ისე დაპატარავდნენ,
რომ მთვარე ღამეში აღარ ეტევა
და ცაზე დღისითაც ჩანს;
ღამეები ისე დაპატარავდნენ,
რომ სასურველი სიზმრის ხილვას
ველარ ასწრებ -
თენდება, გეღვიძება...
და მაინც, რა კარგია ეს დილის მზე,
ნაშუადღევის ქარი და ღრუბლები,
ეს ჭექა-ქუხილი და ცის ჩამოქცევა!..
რა კარგია ეს ყველაფერი
და რამდენად უკეთესი იქნებოდა
ეს ყველაფერი,
რომ დღისით კისერზე არ გეკიდოს
და ღამით გულზე ლოდივით არ გედოს
ეს ერთი სიტყვა,
ასე დამძიმებული სიტყვა:
„სამშობლო"...

***

რას ვგრძნობ?
რა გითხრა?.. ისეთს არაფერს -
ცხელა და ფიქრი ოფლად მდინდება.
ჩემი ყოფა ხომ ამათ წარმართეს:
ამ დღეებმა და ამ ამინდებმა.

იყო ცის გრგვინვაც და იყო წვიმაც;
იყო თოვლიც და ქარიც - მკვნესავი...
ჰო, ბევრჯერ იყო და ახლა კი ვარ
ხმობაში შესულ ბებერ ხესავით.

არც საითმე მაქვს უკვე საჩქარო
საქმე და ავსაც ხუ დამამუქრებ.
იქნებ შევიძლო და მეც დავყარო
ორიოდ ღერი - შეშა - საბუხრე.

ნენე გიორგაძე

ავატარი

ასე მძიმეა მარტოობა?
კიდობანივით თავაბდილი მკრთალი ოთახი
არ დაგტოვებდა საკუთარი თავის პირისპირ,
ვერ მოუსმენდი მის სიღრმეში
ნამლიანი ბამბებივით ჩაფენილ ამბებს,
გაშიშვლებას ვეღარ შეძლებდი -
ამ ოთახში ჩქამიც მეტყველებს და სიმახინჯე
მშვენიერებად არასოდეს მოგეჩვენება..

ასე მძიმეა მარტოობა?
გაფიქრებასაც ვერ მოასწრებდი, სიძულვილი გადაგყლაპავდა
(სიძულვილიც ხომ ვნება არის სიყვარულივით),
ვერც მონატრების წყალს იგრძნობდა
ხაოიანი ჭურჭლის ფსკერი და
ვერც მდუმარების თეორი ყვავილი გააბრწყინებდა
მკრთალი ოთახის სირმიან ჩარჩოს,
ან მობუზული ჩიტებივით
ნოტები ვეღარ ჩამოსხდებოდნენ
სანოტო ფურცლის უსასრულოდ გაჭიმულ ნერვზე,
ვერ დახატავდნენ მერამდენე შავ-თეთრ პეიზაჟს..

ასე მძიმეა მარტოობა?
რამდენჯერაც დაეცემი, ეს სიმძიმე წამოგაყენებს -
ჭეშმარიტი მეამბოხეა,
დედამიწის მიზიდულობის კანონს კი არ ემორჩილება,
არ აღიარებს ავტორიტეტებს, მასხრად იგდებს მორალს, ეთიკას..
ერთადერთი, რისი ხათრიც აქვს:

როგორი მჩატე იქნებოდი,
მარტოობა რომ ასე მძიმე არ ყოფილიყო..

პოეტის სისხლი

„ფიროსმანს უყვარდა ცა და არაყი
და სხვა ყველაფერი ფეხებზე ეკიდა"
ლია სტურუა

ჭიქა არაყზე არეკლილი ცის ფრაგმენტი
ნაკაწრივით გზას ჩაიღრმავებს სხეულის შიგნით.
იქ დაკარგული მზის სხივი გიწვავს კაპილარებს.
არ არსებობს მზა რეცეპტი.
პოეტის სისხლიც სითხე არის
და ხმაგაკმენდილ სიცივეში
ყინულის ნითელ ლოლუებად გადაიქცევა.
მაგრამ რადგან თბილია ხორცი,
აღმა-დაღმა მოძრაობ ცასა და არაცას შორის
სისხლძარღვებად არეკლილ გზაზე.

სნაიპერი

თავების ხახუნით დამუხტულ ბალიშებში
სიკვდილი დებს ტყვიისფერ კვერცხებს.
კრუხი გენერლები მათ ფრთებქვეშ ისხამენ,
ტყვიისხელა სიკვდილები რომ გამოჩეკონ.
კრუხი გენერლები ფიზიზლად არიან -

ტყვიასავით ბარტყებს ასწავლიან თამაშის წესებს.
ომის ქარხანაში ყველა ჭანჭიკი მოჭერილია,
უსახელო ხელებმაც უნდა გააკეთონ თავისი საქმე -
ცივად მოზომილ წამებში ჩამოკრან თითი.
უკვდავია სიკვდილი - ვერც მოკლავ ვერც გააცოცხლებ.

მუცელი

უფრო ძლიერად შეეხე მუცელს,
ხედავ, ეს მხოლოდ ფასადია,
კანის სიგლუვე მხოლოდ მზერათა ასასხლეტად გადავიფარე,
მუცლის სიღრმეში ხვრელი არის, ცარიელი და გამჭვირვალე -
როგორც სარკმლიდან -
შეგიძლია, ზურგის მხარეს გამოიხედო..

როცა მხურვალე ჭინთვების მერე გიმშობიარე,
ასე მეგონა, ყველაზე დიდი ტვირთი ჩამომხსნეს..
მაგრამ როგორც კი შეგეხე ხელით,
მივხვდი, თუ რა მწარედ მოვტყუვდი..

დიდი ხანია, რაც ჩემი მუცლის თბილი სახლი აღარ გჭირდება..
ჩემზე უფრო კი მუცელი გნატრობს,
ვერაფრით რომ ვერ შეიხორცა
ეს გამჭვირვალე უსასრულო სიცარიელე,
ხვრელი დატოვა -
როგორც სარკმლიდან -
შეგიძლია მუცლის მხრიდან ზურგის მხარეს გამოიხედო
და სასრულობას შეეხო ხელით..

ხე

- არც ტოტებია და არც ტანი
და არც ფესვები - დედამიწის ნაწნავები,
არც ფოთლებშორის მწიფე ვაშლები,
რომლებიც ასე წარმატებით იტყუებიან,
რომ ნაყოფით იცნობა ხე.
თუმცა, რაც უფრო უნაყოფოა, დაკვირვებივარ,
მით უფრო მრავლისმეტყველია
ტეხილი მისი ტოტებისა..
არც მოშრიალე სიმშვიდეა ხე
და არც სწრაფვა სიმაღლისაკენ
(რითაც გვჯობნის ყველა მინაზე მოსიარულეს)..
არც ის ქარია ხე, რომელსაც თავად აღვიძებს,
არც ქუხილიან მუქ ღამეში გაელვებული
მისი ტოტების აჩრდილი ცაზე,
და არც ამბავი - ჩინური ანბანივით
ხეშეშ ქერქზე უფაქიზესად ჩამოწერილი..

დედამიწის სულია ხე
ფესვებიდან - დედამიწის ნაწნავებიდან - გამონასუნთქი
და მოგვითხრობს მიწის ნამდვილ თავგადასავალს..
კვამლის უგრძესი სვეტებივით დგანან ხეები
და არ ინვიან,
ჩვენ კი, როგორც მოჩვენებები,
მათ სულებს შორის დავბორიალობთ
და მოუვლელი ფრჩხილებივით
ჩვენს სულებს ვმალავთ..

მარიამ წიკლაური

დასაწყისისკენ

ყველა ვერ მივა, შორია იგი - სათავე,
ცოცხალი დედა უღამებელი სიცოცხლის.
სადაც, ბჭობენ და სიტყვები გემებს მართავენ,
იალქნებს შლიან ვით სივრცეების მათრახებს,
კილებს ადგამენ სხეულებს, მზეთა საწნახლებს,
ყველა ვერ მივა, შორია იგი - სათავე.

რამდენს დაინთქავს ლურჯი ქარიშხლის ვეშაპი,
გზებზე იქნება მორევები და ზვირთები.
ღმერთებს კი არა, საკუთარ სიტყვებს ვეძახდი,
და მოჰყვებოდა თევზი ბადეებს. ვეძანყლის
გემო სწყუროდა სივრცეში შებმულ ვეშაგებს.
რამდენს დაინთქავს ლურჯი ქარიშხლის ვეშაპი.

რა მაცდურია უსასრულობის სიდიდე.
ზღვების ხმაურსაც რამდენი შეუფარია.
ქვების გულებში ნაჟურამდე თუ ვიდინე,
ნვეთად თუ ვიქეც, მღვიმე თუ გადავიბინდე
თუ დავიდინე სიმჭვირვალე და სიფითრე...
ზღვების სივრცესაც რამდენი შეუფარია.

ვენყისას აღარ ვუწყი და აღარც დავეძებ.
თავს ავდევ, ასე ჩემივე დასაწყისისკენ.
მინდა ყინულის პირველ წვეთებად დავეცე.
ლოდებს გალიგვულს უმზეო მხრებზე დავეწვე
წყლის წკაპუნის ხმად - სიცოცხლის ჩქამის საძვალედ,
თავს ავდევ, ასე ჩემივე დასაწყისისკენ.

მახეში

იბადები და თან მოგაქვს ცოდნა სხეულად,
გაბმულხარ, ხედავ, მკვდარი სიცოცხლის მახეში
და ხელებს, როგორც ფრთებს ან ძნებს ისე შეკონავ,
წუთებს რომ კონავ, დროების გადანახვევში.

რომ ყველაფერი თავადაც მოხდეს უშენოდ,
არ შეუშალო, არ აუქნიო შენ ხელი.
არარსებობის ანგელოზების შემყურე,
თავს, თუ - ღმერთს ვერა, გადააწყდები შემთხვევით.

მახეში გმართებს თანდაყოლილი სიფრთხილე
სანამ გამოგხსნის ხელი, სივრცეთა მფარავი,
არ გაგიხარდეს და არ გიმტყუნოს გუმანმა,
არ აგერიოს პატრონში უცხო მპარავი.

არ დაიხუთო ცოდნით, თავი არ წააგო,
არ გადაიღრღნა ლეგა მგელივით ეგ ხელი.
ზედ დაითენო უნდა დილა და დაღამდე,
და ყანას ჰგავდე სიმწიფისაგან შედღვებილს.

ყველას ეგონოს, მისი ხარ, მისად სამყოფი,
შენ კი მახეში ფრთებს იზრდიდე და ლესავდე
სივრცეს თვალებით, სანამდე გადაიფრენდე
გეშით სინჯავდე, მზის სხივში როგორ შეზავდე.

სხვას სხვად ეგონოს ეგ მახე, ვისთვის საკანი,
შენ მორჩილების თოკს არ სანთლავდე იმედით.
ლურჯი ტყეების სიშორიდანაც გესმოდეს
სად მყვირალობენ შენი სიტყვების ირმები.

ხედავდე მწვერვალს, სადაც ნისლივით ირთვები
და ფაცახივით გწეწავს ტაროსი საავდრო.
დაბადებულის ყველა უფლების ერთობით
მე მეცოდები და მებრალები საამდროდ.

ისუნთქე!

ჩაპირქვავებულ პირამიდებში გროვდება
სხივის ნაჟური ადამიანურ ძიების.
ცის იქით ალბათ აღარფერი მოხდება,
იყვავილებენ ქარისფერული იები.
ღობე მზის სხივის შემოევლება ჩვენს ეზოს,
მთვარის შამნარში დრო იხმაურებს - ჭრიჭინა.
ცის იქით, ალბათ, აღარფერი მოხდება,
გაგვმორდა ღმერთი და თავი გადაირჩინა.
გაიძრო კვართი და მისეულებს მოგვიგდო
ვჯიჯგნით წამებს და ვჯიჯგნით სივრცეთა ნაოჭებს.
ცის იქით, ალბათ, აღარაფერი მოხდება,
ჩვენც ახლა უკვე ეს არაფერი გვაოცებს
ამ არაფერმა აგვალავლავა, ვგუმანობთ,
რომ არაფერი შიმშილზე მეტად გვაყმუვლებს.
ცის იქით, ალბათ, აღარაფერი მოხდება
მარადისობა გადაეწვნება სამუმბს
ჩაპირქვავებულ პირამიდებში ნანვეთი
საკუთარ თვალებს ჩახედავ, სიზმრის ნიშანით,
ყველა თავისთავს მხეცური გეშით მოძებნის
შეკრებს საწმისზე ოქროს, მდინარის ქვიშაში.
აღარაფერი, აღარაფერი მოხდება,
ადგები, ახალ დილის საძებნად აისხამ
თავს, ოდესღაც, რომ შეაგუნდავე სივრცისგან,
თავს ოდესღაც რომ ამოიკვერე ალისგან.
ხელმოცარული დარჩა სამყარო შენს გამო
ისევ ეცდება თავის ზვირთებში მოგხელოს
რამდენი რამე გამოაირე, ადამო,
უკან ნურავის და ნულაფერს მოხედავ.
წინ სხვა აღდგომა და სხვა მიწები გელიან,
დამშეულები, შენი ძვლის გემოს ნატრულნი,
ცის იქით უკვე აღაფერი მოხდება,
ღმერთი თავისი ბავშვობითაა გართული.
წადი, ადამო, წადი შენივე თავისკენ,
უნდა იძლიო შენითვე, იქცე ადამად.
ცის იქით უკვე აღაფერი მოხდება,
დიდი ხანია დაღლილი დღე რომ დაღამდა.
ფრთით სივრცესა ვჭრით უსამართლობის უფსკრულზე,
დიდი ხანია სიზმარს ვუცქერით მღვიძარნი,
წამი თუ მთელი საღვთო დრო გაგვიხარჯია,
სანამ ყველაში ჩვენივე თავი ვიცანით?
ცის იქით უკვე აღაფერი მოხდება,
მარტონი დავრჩით, ქარის და სიტყვის ამარა.
ნუ გეშინია, მას მუდამ ვემახსოვრებით,
სიცოცხლისათვის სხვა დროში ვინც გადაგვმალა.
ვინც გადაგვმალა ჩვენივე გულის ლენჯოში,
ვინც მოგვისროლა მიწაში, ხნარცვის სისრულედ,
ნუ გეშინია, მას მუდამ ვემახსოვრებით,
ჰა, მიდი, ეგრე, თამამად, ადამ, ისუნთქე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰომეროსი

ილიადა

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ლევან ბერძენიშვილმა



გაგრძელება
დასაწყისი იხილეთ "არილი" N6

მესამე სიმღერა

ფიცი. გალავნიდან დათვალიერება. ალექსანდრეს და მენელაოსის ორთაბრძოლა

მას შემდეგ, რაც დაეწყო თითოეული თავის წინამძღოლთან ერთად, ტროელები ყიჟინითა და ხმაურით დაიძრნენ ფრინველებივით. სწორედ ასე წეროების ხმაც ცას სწვდება, როდესაც ზამთარსა და დაუსრულებელ ავდარს გაურბიან და ყივილით მიფრინავენ ოკეანის ტალღებისკენ, მიაქვთ სიკვდილი და უბედურება პიგმეებისათვის და ადრიანად იწვევენ მათ სასტიკი ბრძოლისაკენ. აქაველები კი მოდიოდნენ მდუმარედ, საბრძოლო სულით ანთებულნი და ერთმანეთის დახმარების გულით მოწადინებულნი.

როგორც მთის მწვერვალებზე დაღვრის ნისლს ნოტოსი, რომელიც მწყემსისთვის საზიანოა, ქურდისთვის კი ღამეზე უკეთესია, როდესაც გასროლილ ქვაზე უფრო შორს ვერაფერს ხედავ; - ასე მათი ფეხებიდან ავარდნილი მტვრის ღრუბელი უკან მიჰყვებოდა, როდესაც ველზე სწრაფად მიდიოდნენ.

როდესაც ახლოს მივიდნენ ერთმანეთთან, ტროელებს წინ დაუდგა ღვთისდარი ალექსანდროსი, მხრებზე მოსხმული ლეოპარდის ტყავით, მოხრილი მშვილდითა და ხმლით; სპილენძისბუნიკიან ორ შუბს არხევდა და ინვევდა არგაველთაგან საუკეთესოებს, გამოსულიყვნენ მასთან საომრად სასტიკ ორთაბრძოლაში.

როგორც კი თვალი მოჰკრა მას არესის რჩეულმა მენელაოსმა, შეკრებილთა წინ წარდგა დიდი ნაბიჯით; როგორც ლომი ხარობს, როდესაც მშიერი მოზრდილ ნადავლს ნაანყდება, რქიან ირემს ან ჯიხვს, უმალ შთანთქავს, თუნდაც თვითონ ამ დროს გარშემორტყმული იყოს სწრაფი ძაღლებითა და ძალოვანი ყმაწვილებით; აი, ასე გაიხარა მენელაოსმა, როდესაც საკუთარი თვალით დაინახა ღვთისდარი ალექსანდროსი, რადგან ჩათვალა, ახლა შურს ვიძიებო და იმავწამს ეტლიდან აბჯარასხმული და შეიარაღებული ჩამოხტა მიწაზე.

როგორც კი დაინახა იგი ღვთისდარმა ალექსანდროსმა მებრძოლთა წინა რიგებში, შიშისგან გული ჩაუვარდა და უმალ უკან დაიხია მეგობართა გუნდისკენ და სიკვდილს გაექცა. როგორც ვინმე, გველს რომ დაინახავს და უკან გადგება მთის ხეობაში და მთელი სხეული აუკანკალდება, სწრაფად გარბის და სახეზეც ცვლის ფერი ედება, ასე უმალ უდრეკ ტროელთა გუნდში დაიმალა ატრევსის ვაჟი მიერ შეშინებული ღვთისდარი ალექსანდროსი.

ის კი დაინახა ჰექტორმა და გაკიცხა შემარცხვენელი სიტყვებით: „უბადრუკო პარის, თვალად ლამაზო, მაცდურო მექალთანეე! ნეტავ არასოდეს დაბადებულიყავი ან უცოლოდ მომკვდარიყავი! ამას ვინაცრებდი! ეს ხომ ბევრად უკეთესი იქნებოდა, ვიდრე ის, რომ ყველას სამარცხვინოდ მიაჩნდე და ეზიზღებოდე! სიცილით კვდებიან გრძელთმიანი აქაველები, რომელთაც ეგონათ, რომ საუკეთესო მეთაური გვყავდა, რადგან ლამაზი ხარ შესახედავად, მაგრამ არც ძალა აღმოგაჩნდა მკერდში და არც სიმამაცე. ასეთი ბრძანდებოდი და საზღვაო ხომალდებით მაინც გადაცურე ზღვა, სანდო მეგობრები შეკრიბე, ნახვედი უცხოელებთან და მშვენიერი ქალი წამოიყვანე შორეული მიწიდან, შუბოსანი ხალხის რძალი, მამაშენისთვის, ქალაქისთვის და მთელი ხალხისთვის - უბედურება, მბრძანისთვის სიხარული, თავად შენთვის კი სირცხვილი! რატომ არ შეებრძოლე არესის რჩეულ მენელაოსს? ხომ გაიგებდი, როგორი კაცის მშვენიერ მეუღლეს დაეუფლე?! ვერ გიშველიდა ვერც კითარა, ვერც აფროდიტეს საჩუქარი, ვერც თმები, ვერც შესახედაობა, ისე შეერეოდი მტვერს. მეტად მშიშრები არიან ტროელები, თორემ, რახანია, ქვის პერანგს ჩაგაცმევდნენ, იმდენი სიავე გაქვს გაკეთებული".

მას უპასუხა ღვთისდარმა ალექსანდროსმა: „ჰექტორო, სამართლიანად მდებ ბრალს. გული მუდამ უდრეკი გაქვს ცუღივით, რომელსაც ოსტატურად ხმარობს ხერო, როდესაც გემის ძელს ღლის; ასევეა შენს მკერდში უშიშარი სული. საყვედურს ნუ მეტყვი, ოქროს აფროდიტეს საჩუქრის გამო. მერნმუნე, გადასაგდები არ არის ღმერთების სახელოვანი საჩუქრები, ისინი თავად იძლევიან, საკუთარი სურვილით მათ ვერავინ მიიღებს; ახლა კი, ისევ თუკი გსურს ვიიმოთ და ვიბრძოლოთ, სხვა ტროელები და აქაველები დასხდნენ, შუაში დავდგეთ მე და არესის რჩეული მენელაოსი, რომ ვიბრძოლოთ ჰელენესა და მთელი ქონებისათვის. ვინც გაიმარჯვებს და უძლიერესი აღმოჩნდება, მთელ ქონებასაც დაეუფლოს და ქალიც შინ შეიყვანოს. თქვენ კი მეგობრობის აღთქმა დადეთ და წმინდა ფიცით დაიფიცეთ, იცხოვრეთ ნაყოფიერ ტროაში, ისინი კი წავიდნენ ცხენებით მდიდარ არგოსსა და აქაველთა ლამაზქალებიან მიწაზე".

ასე თქვა და ჰექტორმა გული დიდად გაიხარა, როცა გაიგონა, შუაში შეეიდა, შუაში ჩაავლო ხელი შუს, ტროელთა რიგებს უკან დაახვევნა და ყველა დასხდა; ხოლო გრძელთმიანმა აქაველებმა მშვილდები მოზიდეს და დაუშინეს ისრები და ქვები; მაგრამ დიდი ხმით დაიყვირა ხალხთა ბელადმა აგამემნონმა: „შეჩერდით, არგაველებო! ნუ ისვრით, აქაველთა შვილებო! რაღაც სიტყვის თქმას აპირებს მუზარადმოელვარე ჰექტორი". ასე თქვა და მათაც შეწყვიტეს ბრძოლა და დადუმდნენ განრისხებულნი, ჰექტორმა კი ორივეს მიმართა: „ისმინეთ ჩემგან, ტროელები და ლამაზსაბარკულიანო აქაველებო, სიტყვა ალექსანდროსისა, რომლის გამოც ჩამოვარდა შუღლი. იგი სთავაზობს ტროელებსა და ყველა აქაველს, მშვენიერი იარაღი დაანყოს მრავალთამკეებავ მიწაზე, თავად კი, შუაგულში, არესის რჩეულ მენელაოსთან ჰელენესა და მთელი ქონებისთვის ბრძოლას აპირებს. ვინც გაიმარჯვებს და უძლიერესი აღმოჩნდება, მთელ ქონებასაც დაეუფლოს და ქალიც შინ შეიყვანოს. ჩვენ კი მეგობრობის აღთქმა დავდოთ და წმინდა ფიცით დავიფიცოთ".

ასე თქვა, ისინი კი ყველანი წყნარად იდგნენ და ხმას არ იღებდნენ; მათ კი მიმართა საომარი ყიჟინის დიდოსტატმა მენელაოსმა: „ახლა მეც მომისმინეთ! ყველაზე მეტი ტკივილი ჩემს სულს მიადგა, იმედი მაქვს, ომს შეწყვეტენ მალე არგაველები და ტროელები, რომელთაც მრავალი უბედურება გადაიტანეს ალექსანდროსის მიერ წამოწყებული ჩემი და მისი მტრობის გამო. ჩვენგან რომელსაც სიკვდილი და ბედისწერა აირჩევს, მოკვდეს, დანარჩენებმა კი სასწრაფოდ შეწყვიტეთ ბრძოლა; მოიყვანეთ ცხვრები, თეთრი ცხვარი იყოს მამალი და შავი - დედალი, მიწისა და მზისთვის, ზეცას კი ჩვენ მოვუყვანთ სხვას. მოიყვანეთ მძლავრი პრიამოსიც, რათა ფიცი დადოს თვითონ, რადგან მისი შვილები დაუოკებელი და არასანდონი არიან, ვინმემ კანონდარღვევით ზევსისადმი ფიცი არ გატეხოს. ყმაწვილ კაცებს ხასიათი მუდამ ეცვლებათ, ხოლო როდესაც მოხუცი მონანიეობს, წინაც იხედება და უკანაც, რომ ყოველმხრივ საუკეთესო იყოს გადაწყვეტილება".

ასე თქვა, ხოლო აქაველებმა და ტროელებმა გაიხარეს და იმედი მიეცათ, რომ დაასრულებდნენ ბედშავე ომს. და მათ დააწყვეს ცხენები მნყობრად, თვითონ წამოსხდნენ, აბჯარი ჩამოიხსნეს და მიწაზე დააწყვეს ერთმანეთის გვერდიგვერდ და შუაში მცირე ადგილი დატოვეს.

ჰექტორმა ქალაქში ორი მაცნე გაგზავნა, რომ სასწრაფოდ ცხვრები მოეყვანათ და პრიამოსისთვისაც მოეხმოთ. ხოლო მეუფე აგამემნონმა ტალნიბიოსი გაგზავნა ლრმამუცლიან ხომალდებთან ცხვრების წამოსაყვანად და ისიც დაემორჩილა ღვთაებრივ აგამემნონს.

ირისი იმავწამს ეწვია თეთრხელებიან ჰელენეს მაცნედ მისი მულის, ანტენორის ძის, ჰელიკაონის მეუღლის, პრიამოსის ყველაზე ლამაზი ქალიშვილ-

ის, ლაოდიკეს სახით.

იგი იპოვა დარბაზში, დიდ ორმაგ მენამული ფერის ქსოვილს ქსოვდა, რომელზეც ასახული იყო ცხენებისმხედნელი ტროელებისა და სპილენძისსამოსიანი აქაველების მრავალი ბრძოლა, რომელიც მათ სწორედ მის გამო არესის ხელი მისწვდა. ახლოს დაუდგა და უთხრა ფეხმარდმა ირისმა: „აქ მოდი, საყვარელო რძალო, რათა ნახო სასწაულებრივი საქმეები ცხენებისმხედნელი ტროელებისა და სპილენძმემოსილი აქაველებისა, რომლებსაც მანამდე ერთმანეთისთვის მრავალცრემლიანი ბრძოლა გაუმართავთ მინდორში, დამღუპველი ომის წყურვილით აღვსილებს. ისინი დგანან მდუმარედ, ომი კი შენწყდა, ფარებს ეყრდნობიან, გრძელი შუბები კი მიწაში ჩაურჭვიათ. ხოლო ალექსანდროსი და არესის რჩეული მენელაოსი გრძელი შუბებით შენთვის ბრძოლას აპირებენ; მათგან გამარჯვებული საყვარელ მეუღლეს გიწოდებს".

ასე უთხრა და ტკბილი სურვილი ჩაუდო სულში პირველ ქმარზე, ქალაქსა და მშობლებზე. იმავნამს ვერცხლისფერი სამოსი მოიცვა, გავიდა ოთახიდან, ცრემლს ღვრიდა, მარტო არ იყო, მას გაჰყვა ორი მხევალი: ეთრა, პიტთეესის ასული და ხარისთვალება კლიმენე; უმალ მივიდნენ იქ, სადაც სკაიეს კარიბჭე იყო. იქ პრიამოსის ირგვლივ იყვნენ პანთოოსი და თიმოიტესი, ლამპოსი, კლიტიოსი, ჰიკეტაონი, არესის შთამომავალი, უკალეგონი და ანტენორი - ორივე ბრძენი, ისხდნენ უხუცესები სკაიეს კარიბჭესთან. სიბერის გამო, ომი აღარ შეეძლოთ, მაგრამ ბრწყინვალე მჭევრმეტყველები იყვნენ, მომსგავსებულნი ჭიჭინობლებს, რომლებიც ტყეში ხეებზე სხედან და წყნარ ხმას გამოსცემენ, ტროელთა მეთაურები ასე ისხდნენ კოშკში. როდესაც დაინახეს კოშკისკენ მიმავალი ჰელენე, ჩუმად გადაუსროლეს ერთმანეთს ფრთოსანი სიტყვები: „ვერ გაკიცხავ ტროელებსა და ლამაზსაბარკულიან აქაველებს, რომ ასეთი ქალის გამო ამდენ ტკივილს ითმენენ; მართლაც, უკვდავ ღმერთებს ჰგავს იერით; მაგრამ როგორიც უნდა იყოს, ხომალდებით გაემგზავროს და ნუ დარჩება განსაცდელად ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის".

ასე თქვეს, პრიამოსმა კი ჰელენეს მოუხმო: „აქ მოდი, საყვარელო შვილო და ჩემთან დაჯექი, რომ დაინახო პირველი ქმარი და საყვარელი მოყვრები; შენ უდანაშაულო ხარ, ყველაფერი მოაწყვეს ღმერთებმა, რომლებმაც წამიოწყეს აქაველთა მრავალცრემლიანი ომი. იმ უზარმაზარი კაცის სახელი მითხარი, ვინ არის ეს მამაცი და დიდი აქაველი კაცი? სიმაღლით მასზე მაღლებიც არიან სხვები, მაგრამ არც უფრო მშვენიერი არ უნახავთ არავინ ჩემს თვალებს, არც ასე დიდებული, - ეს კაცი მეფეს ჰგავს".

მას უპასუხა ჰელენემ, ქალთაგან ყველაზე უფრო ღვთაებრივმა: „პატივსაცემიც ხარ ჩემთვის, საყვარელო მამამთილო და საშინიც; ტკბილი იქნებოდა ბოროტი სიკვდილი ჩემთვის, როდესაც აქ ჩამოვყევი შენს შვილს და დავტოვე საწოლი ოთახი, ძმები, ერთადერთი ასული და საყვარელი თანატოლები; მაგრამ ასე არ მოხდა და ცრემლებით თანატანჯები. ახლა კი გიპასუხებ შეკითხვაზე: ეს კაცი არის ატრეევსის ძე, მძლავრი მეუფე აგამემნონი, ერთდროულად კარგი მეფეც და ძლიერი შუბოსანიც. მაზლი იყო ჩემი, ძაღლთაპირის, თუ ვიყავი ღირსი".

ასე თქვა, ხოლო მოხუცი გაოცდა და ბრძანა: „ო, ატრეევსის ბედნიერო ძეო, ბედის ნებიერო! ამჟამად აქაველთა მრავალი შვილი გემორჩილება. ოდესღაც ვაზით მდიდარ ფრიგიაში ნადავლი, იქ ვნახე მრავალი ფრიგიელი მოჯირითე ვაჟკაცი, ოტრეევსისა და ღვთისდარი მიგდონის ხალხი, ბანაკად იდგნენ სანგარიოსის ნაპირებთან; მეც იქ ვიყავი, მათს მოკავშირედ ვითვლებოდი იმ დღეს, როდესაც მამრისდარი ამორძალები მოვიდნენ; მაგრამ იმდენი არ იყვნენ, რამდენიც თვალმოელვარე აქაველებია.

მეორედ ოდისევსი დაინახა და იკითხა მოხუცმა: „მითხარი, საყვარელო შვილო, ეს ვინ არის? ერთი თავით დაბალია ატრეევსის ძე აგამემნონზე, მაგრამ მხრებით და გულ-მკერდით უფრო ფართო ჩანს. მისი აბჯარი მრავალთამკვებავ მიწაზე აწყვია, თვითონ კი ყოჩივით დადის მეომართა რიგებში; ხშირმატყლიან ცხვარს მაგონებს იგი, რომელიც ვერცხლისსაწმისიან ფარაში დადის".

მას უპასუხა შემდეგ ჰელენემ, ზეკისანან შობილმა: „ეს კი გახლავს ლაერტეს ძე, მრავალბრძენი ოდისევსი, რომელიც აღიზარდა კლდოვანი ითაკის თემში, იცის ყველანაირი ცბიერება და ჭკვიანური რჩევები".

მას ისევ მიმართა პირისპირ მჯდომმა ბრძენმა ანტენორმა: „ქალბატონო, ნამდვილად სწორი ნი-ტყვა ბრძანეს; ოდესღაც აქ მოვიდა ღვთაებრივი ოდისევსი - შენ გამო ელჩად იყო მოსული არესის რჩეულ მენელაოსთან ერთად; მათ ვუმასპინძლეთ და მგობრულად მივიღე დარბაზში, ორივე მათგანის ღირსება შევიცანი და ჭკვიანური რჩევები. როდესაც შეერეოდნენ ერთად თავმოყრილ ტროელებს, ფეხზე მდგომარე მენელაოსი აღემატებოდა მხრების სიგანით, ხოლო როდესაც ისხდნენ ორივენი, უფრო მეფური იყო ოდისევსი. მაგრამ როდესაც სიტყვასა და რჩევაზე მოდგებოდა საქმე, მენელაოსი თავისუფლად ლაპარაკობდა, ცოტას ამბობდა, მაგრამ ძალიან ცხადად, უხვსიტყვიანი არ იყო, არც არეულად მოლაპარაკე, თუმცა კი ახალგაზრდა იყო; მაგრამ როდესაც ბრძენი ოდისევსი ნამოდგებოდა და თვალებს დაბლა დაბრიგდა და მიწას გაუსწორდა მზერას, კვერთხს არც უკან და არც წინ გასწევდა, არამედ უძრავად ეპყრა, უბრალო კაცს მიმსგავსებულს, გეგონებოდა გაბრაზებული ან უაზრო ვინმე; მაგრამ როდესაც მკერდიდან დიდ ხმას ამოუშვებდა და სიტყვები ზამთრის ზვავს დაემსგავსებოდა, მაშინ ვერც ერთი მოკვდავი ვერ შეეჯიბრებოდა და ისევ ვცნობდით ძველებური ოდისევსის სახეს".

მესამედ აიასი დაინახა და იკითხა მოხუცმა: „ვინ არის ეს აქაველი, ვაჟკაცი და უზარმაზარი, რომელიც გამოირჩევა არგიველთაგან თავით და ფართო მხრებით?"

მას უპასუხა გრძელპეპლოსიანმა ჰელენემ, ღვთაებრივმა ქალმა: „ეს არის აიასი, აქაველთა გოლიათი ზლუდე. მეორე მხრიდან კრეტელებში იდომენეესი ღმერთივით დგას, ხოლო მის ირგვლივ თავი მოუყრიათ კრეტელთა მეთაურებს. ხშირად უმას-

ჰინძლია მისთვის არესის რჩეულ მენელაოსს, როდესაც ჩვენს სახლს სწვევია კრეტიდან. ვხედავ სხვა თვალმოელვარე აქაველებსაც, რომელთაც კარგად ვიცნობ და სახელებსაც გეტყვი. ვერ ვხედავ მხოლოდ ხალხთა ორ მეთაურს - ცხენებისმხედველ კასტორსა და მუშტმაგარ პოლიდევკესს, ჩემს ღვიძლ ძმებს, რომლებიც დედაჩემმა შობა; იქნება, არც წამოსულან საყვარელი ლაკედემონიდან, ან, იქნებ, ჩამოვიდნენ კიდეც საზღვაო ხომალდებით, მაგრამ არ სურთ ბრძოლაში შევიდნენ ვაჟკაცებთან, რადგან უფრთხიან სირცხვილსა და მრავალ საყვედურს ჩემ გამო".

ასე თქვა, ისინი კი უკვე მიღებული ჰყავდა ნაცოცხლისმომცემ მინას ლაკედემონში, მათს საყვარელ საბმობლოში.

ამასობაში ქალაქის გავლით მაცნეებს ღმერთების სარწმუნო ფიცისთვის მოჰყავდათ ორი ცხვარი და გამამხიარულებელი ღვინო თხის ტყავის ტიკით, ღვინის შესარევი ელვარე ჭურჭელი და ოქროს თასები მოჰქონდა მაცნე იდაიოსს, დადგა მოხუცთან და ასე მიმართა: „წამოდექი, ლაომედონის ძეო, გიხმობენ ცხენებისმხედველ ტროელებისა და სპილენძისსამოსიანი აქაველების სარდლები, რომ ბრძოლის ველზე გახვიდე, რათა სარწმუნო ფიცი დადოთ: ახლა ალექსანდროსი და არესის რჩეული მენელაოსი გრძელი შუბებით შეებრძოლებიან ერთმანეთს ქალისათვის; გამარჯვებულს დარჩება ქალიცა და ქონებაც. სხვები კი მეგობრობის აღთქმას დადებენ და წმინდა ფიცით დაიფიცებენ, რომ იცხოვრებენ ნაყოფიერ ტროაში, მომხდურები კი დაბრუნდებიან ცხენებით მდიდარ არგოსსა და აქაველთა ლამაზქალებიან მინაზე".

ასე თქვა და შეძრწუნდა მოხუცი, თუმცა მეგობრებს მაინც უბრძანა, ცხენები შეებათ და ისინი იმაგნამს დაემორჩილნენ. მაშინვე ავიდა პრიამოსი და სადავეები უკან დაქაჩა; გვერდით ანტენორი შედგა უმშვენიერეს ეტლზე და ამ ორმა გაიარა სკაიეს კარიბჭე და ბრძოლის ველისკენ სწრაფი ცხენებით დაიძრა.

ხოლო როდესაც მივიდნენ ტროელებთან და აქაველებთან, გადმოვიდნენ ეტლებიდან მრავალნაყოფიერ მიწაზე და ტროელებსა და აქაველებს შორის შევიდნენ. იმავწამს წამოდგნენ მაშინ კაცთა ბელადი აგამემნონი და მრავალბრძენი ოდისევსი; შემდეგ სახელგანთქმულმა მაცნეებმა სარწმუნო ფიცი დაუდეს ღმერთებს, ჭურჭელში კი ღვინო შეაზავეს, შემდეგ მეფეებს ხელზე დაუსხეს წყალი. ატრევსის ძემ ხელებიან ამოიღო ხანჯალი, რომელიც ხმლის დიდი ქარქაშის გვერდით ეკიდა მუდამ და ცხვრებს თავებიდან მოჭაკვეთა თმები, შემდეგ უმალვე მაცნეებმა გაუნაწილეს ტროელებისა და აქაველების სარდლებს.

მათ წინაშე ატრევსის ძემ ხელები აღმართა და ხმამაღალი ილოცა: „ზეესო მამაო, რომელიც იდიდან ბრძანებლობ, უსახელოვანესსო და უდიდესო და შენც, მზეო, რომელიც ხედავ ყველაფერს და რომელსაც გესმის ყველაფერი, მდინარეებო და შენც, მიწავ, და თქვენ, რომლებიც მიწისქვეშ შურს იძიებთ ფიცის დამრღვევებზე, თქვენ დამიდექით მოწმედ და დაიცავით სარწმუნო ფიცი. თუკი მენელაოსს ალექსანდროსი მოკლავს, მას დარჩეს ჰელენე და მთელი ქონება, ჩვენ კი საზღვაო ხომალდებით გავემგზავრებით, ხოლო თუკი ალექსანდროსს მოკლავს ოქროსთმიანი მენელაოსი, ტროელებმა უნდა დაგვიბრუნონ ჰელენე და მთელი ქონება და არგიველებს უნდა გადაგვიხადონ სათანადო საზღაური, რომელიც ემახსოვრებათ მომავლის ადამიანებსაც. თუკი პრიამოსი და პრიამოსის შვილები არ ისურვებენ, გადამიხადონ საზღაური ალექსანდროსის დაცემის შემდეგ, ისევ დავიწყებ ბრძოლას, სანამ არ მივიღებ გამოსასყიდს და აქ დავრჩები, სანამ ომის დასრულებას არ მივაღწევ", - თქვა და ცხვრებს ყელი გამოლადრა დაუნდობელი სპილენძით; და ისინი დააწვინა მიწაზე, მოცახცახენი და სულთმობრძავები, რადგან ძალა წაართვა სპილენძმა. შემდეგ ღვინო ჭურჭლიდან ჩამოასხეს თასებში და ლოცვა აღუვლინეს მარადმყოფ ღმერთებს. ასე რომ, ვიღაც ამბობდა აქაველებისა და ტროელებისგან: „უსახელოვანესო და უდიდესო ზეესო და სხვა უკვდავო ღმერთებო, ვინც კი პირველი დაარღვევს ფიცს, როგორც ღვინო, ისე დაიღვაროს მათი და მათი ნაგრამის ტვინი და სხვებმა დაიმონონ მათი ცოლები".

ასე თქვეს, მაგრამ მაინც არ აღუსრულა კրونოსის ძემ. დარდანოსის ძე პრიამოსმა ასეთი სიტყვა ბრძანა: „მისმინეთ, ტროელებო და ლამაზსაბარკულიანო აქაველებო! მე ახლა უკან გავბრუნდები ქარიან ილიონში: ვერ გადავიტან და საკუთარი თვალებით ვერ ვუყურებ ჩემი საყვარელი შვილის შებრძოლებას არესის რჩეულ მენელაოსთან; ხომ მხოლოდ ზეესმა და სხვა უკვდავმა ღმერთებმა იციან, რომელს ზწერია სასიკვდილო აღსასრული".

ეს თქვა და ეტლში აიყვანა ცხვრები ღვთისდარმა მოკვდავმა, თავადაც ავიდა და სადავეები უკან მოზიდა; მის გვერდით ანტენორი უმშვენიერეს ეტლზე ავიდა და ორივე უკან გაბრუნდა ილიონში. პრიამოსის ძემ, ჰექტორმა და ღვთაებრივმა ოდისევსმა ჯერ ბრძოლის ადგილი მოზომეს, შემდეგ წილები სპილენძით განყობილ მუზარადში მოათავსეს, რომ გადაწყვეტილიყო, თუ ორიდან რომელს უნდა ესროლა სპილენძის შუბი. ხალხმა ილოცა, ღმერთებისკენ აღმართა ხელები და არაერთმა აქაველმა და ტროელმა ბრძანა: „ზეესო მამაო, რომელიც იდიდან მეფობ, უსახელოვანესო და უდიდესო, ამ ორიდან რომელმაც მოიტანა ეს უბედურება, ის დაიღუპოს და შვეიდეს ჰადესის სასახლეში, ჩვენში კი დამკვიდრდეს მეგობრობა და სარწმუნო ფიცი".

ასე ამბობდნენ, ხოლო მბრწყინავმუზარადიანმა დიდმა ჰექტორმა შეარხია წილები, თვალი აარიდა და პირველი პარისის წილი ამოიღო. შემდეგ ხალხი რიგებად დასხდა, თითოეულმა ვაჟკაცმა დატოვა ჩორთით მორბენალი ცხენი და ჭრელი აბჯარი. ამასობაში მხრებზე იმაგრებდა ლამაზ აბჯარს ღვთაებრივი ალექსანდროსი, ოქროსთმიანი ჰელენეს მეუღლე. ჯერ საბარკულები მოირგო წვივებზე ლამაზი, რომლებიც შეიკრა ვერცხლის კავებით; შემდეგ თავისი ძმის, ლიკაონის, ბექთარი, რომელიც მასაც მოერგო, მოიცვა მკერდზე, ხოლო მხრებზე გადაიგდო ვერცხლის ლურსმნებით განყობილი სპი-

ლენძის ხმალი, ხელი ჩაავლო უზარმაზარ და მაგარ ფარს, მძლავრ თავზე ცხენის კუდით მორთული კეთილნაკეთი მუზარადი ჩამოიფხატა, შიშისმომგვრელად ირხეოდა ზემოდან ჯიღა; აიღო გმირული შუბი, ხელი შემოაჭდო. მის მსგავსად აისხა აბჯარი მამაცმა მენელაოსმაც.

როდესაც კი ორივე თავისიანების მხარეს შეიარაღდა, ტროელებსა და აქაველებს შორის შეაბიჯეს მრისხანე მზერით. ძრნლოამ მოიცვა მათი შემხედვარე ცხენების მხედნელი ტროელები და ლამაზსაბარკულიანი აქაველები. მიუახლოვდნენ ერთმანეთს და მოზომილ ადგილზე დადგნენ. შუბებს არხევდნენ და ერთმანეთს რისხვას აფრქვევდნენ.

პირველმა ალექსანდროსმა სტყორცნა გრძელ-ჩრდილიანი შუბი და მოარტყა ატრევსის ძის ყოველმხრივ გაწონასწორებულ ფარს; ვერ შეაღწია სპილენძში, მოიღუნა შუბის წვერი მაგარ ფარზე. მეორემ ისროლა ატრევსის ძემ, მენელაოსმა და შესძახა მამა ზევსს: „ზევსო მეუფეო, მაძიებინე შური ბოროტისმქნელ ღვთაებრივ ალექსანდროსზე, მომაკვლევინე ჩემი ხელით, რათა შემდგომ დაბადებულ თაობებშიც ყველა შეძრწუნდეს, ვინც სტუმრად მივა და ბოროტს უყოფს სიყვარულით მიმღებ მასპინძელს".

ეს თქვა, შეარხია და ისროლა გრძელ-ჩრდილიანი შუბი და მოარტყა პრიამოსის ძის ყოველმხრივ გაწონასწორებულ ფარს, შეაღწია მოელვარე ფარში მძლავრმა შუბმა და ოსტატურად ნაკეთები ბექთარი შელეწა და გაფხრინა ქიტონი მუცელთან. გვერდით გადაიხარა და აირიდა შავი სიკვდილი. ატრევსის ძემ ამოიღო ვერცხლისლურსმნებიანი ხმალი, ზე აღმართა და დაალეწა მუზარადზე, სამ და ოთხ ნანილად დაიფშვნა ხმალი და ხელიდან გაუვარდა. ეს რომ დაინახა, ვრცელ ზეცას შეჰხეადად ატრევსის ძემ: „მამაო ზევსო, ღმერთებიდან სხვა არავინაა შენზე უფრო დამღუპველი! ამაოდ ვთქვი, რომ ბოროტებისთვის შურს ვიძიებდი ალექსანდროსზე. ახლა ხელში ჩამატყდა ხმალი, ხოლო შუბი ამაოდ ვტყორცნე, მისი მოკვლა არ შემიძლია!"

ეს თქვა და მისწვდა ცხენის ძუით მორთულ მუზარადს, ჩაავლო და მოაბრუნა ლამაზსაბარკულიანი აქაველებისკენ, მოუზიდა მუზარადის მჭიდროდ ნაწნავი ღვედი ნაზ კისერზე, რომელიც ნიკაპს ედებოდა და მუზარადს ამაგრებდა. კიდეც გამოათრევდა და ენით უთქმელ დიდებასაც მოიპოვებდა, რომ არ მოეკრა თვალი ზევსის ასულ აფროდიტეს, მან გაწყვიტა მოკლული ხარის ტყავის ღვედი და ცარიელი ზუჩი გაჰყვა მძლავრ ხელს. მაშინ გმირმა იგი ჰაერში აათამაშა და ლამაზსაბარკულიანი აქაველებისკენ ისროლა და ერთგულმა მეგობრებმა აიღეს. ისევ დაეცა თავს და მოსაკლავად მისწვდა სპილენძის შუბით, მაგრამ იგი მოიტაცა აფროდიტემ იოლად, როგორც ღმერთს შეუძლია, დაფარა ღრუბლით და კეთილსურნელოვან საწოლ ოთახში აღმოაჩინა. თავად კი ჰელენეს დასაძახებლად წავიდა. იგი იპოვა მაღალ გალავანზე, სადაც ტროელი ქალების გუნდი იდგა. ხელით შეეხო მის სურნელოვან კაბას, შეარხია იგი და ლაკედემონში მცხოვრებ მატყლის მრთველ მიხრნნილ დედაბერს მიმსგავსებულმა, რომელიც ლამაზ შალს ქსოვდა და რომელსაც განსაკუთრებით უყვარდა იგი, მას ეჩვენა და უთხრა ღვთაებრივმა აფროდიტემ: „აქ მოდი, ალექსანდროსი მოგიხმობს სახლში. იგი საძინებელ ოთახშია, მოხატულ საწოლზე, სილამაზითა და სამოსით ბრწყინავს, ვერ იტყვი, რომ ბრძოლიდან მოვიდა კაცი, უფრო ჰგავს საცეკვაოდ მიმავალს ან ფერხულიდან მოსულსა და ჩამომჯდარს".

ასე თქვა და შეუშფოთა მკერდში გული ჰელენეს, მაგრამ როგორც კი დაინახა ქალღმერთის ულამაზესი ყელი, ვნებისაღმძვრელი მკერდი და მოელვარე თვალები, გაოგნდა, ქალღმერთს მიმართა და ეს სიტყვა უთხრა: „ქალღმერთო, რატომ ცდილობ, რომ მაცდუნო? კიდევ ხომ არ გინდა, რომელიმე კარგად დასახლებულ ქალაქში წამიყვანო - ფრიგიასა თუ თვალწარმტაც მეონიაში, იქნებ იქაც გყავს საყვარელი მოკვდავი კაცი? ახლა, როცა ღვთაებრივი ალექსანდროსის დამმარცხებელ მენელაოსს სურს მე, საძულველი, სახლში წამიყვანოს, რისთვისღა დამიდექი გვერდით ვერაგი ფიქრით? წადი და გვერდით მიუჯექი, გამოდი ღმერთების რიგიდან, საკუთარი ფეხით არასოდეს დაუბრუნდე ოლიმპოსს, მუდამ მასზე იგლოვე და ის დაიფარე, სანამ მეულლედ ან მონად არ გაქცევს. მე იქ არ შევალ, სამარცხვინოც იქნებოდა მისთვის სარეცლის გაწყობა: ყველა ტროელი ქალი გამკიცხავდა, გულში ისედაც უსასრულო ნუხილი მაქვს".

მას მძვინვარედ მიმართა ღვთაებრივმა აფროდიტემ: „ნუ მაბრაზებ, უგუნურო, არ მიმატოვებინო განრისხებულს თავი, ისევე შემიძლია შეგიძულო, როგორ გასაოცრადაც ახლა მიყვარხარ; ორივე მხარეს დამღუპველ სიძულვილს ჩავუსახავ შენდამი - ტროელებსაც და დანაელებსაც და შენ ავი ბედისწერა დაგლუპავს".

ასე თქვა და შეძრწუნდა ჰელენე, ზევსისგან შობილი, მოიხურა ვერცხლისფრად მოელვარე მოსასხამი და წავიდა მდუმარედ, ტროელი ქალებისგან მალულად; წინ მიუძღოდა ქალღმერთი.

და როდესაც ისინი ალექსანდროსის ულამაზეს სასახლეში შევიდნენ, მოახლეები მაშინვე სასწრაფოდ საქმეს მიუბრუნდნენ, ხოლო ღვთაებრივი ქალი მაღალჭერიანი საძინებლისკენ გაემართა; ხოლო მარადმოლიმარმა აფროდიტემ სკამი აიღო და ალექსანდროსს წინ დაუდგა; დაბრძანდა ჰელენე, ეგიდის მპყრობელი ზევსის ასული, თვალები ისევ დაბარა და ქმარს უსაყვედურა სიტყვით: „ომიდან მოხვედი, თუმცა გმართებდა, იქ დაღუპულიყავი იმ მძლავრი კაცისგან დაცემული, რომელიც ადრე ჩემი მეუღლე იყო. ხომ ამბობდი ადრე, რომ არესის რჩეულ მენელაოსს შენი ძალით, ხელითა და შუბით ძლევდი?! ნადი ახლა და ისევ მოუხმე პირისპირ საბრძოველად არესის რჩეულ მენელაოსს, თუმცა მეარ გირჩევ ოქროსთმიან მენელაოსთან ერთი ერთზე დაუფიქრებლად ბრძოლას, რომ მისი შუბით სწრაფად არ განიგმირო!"

მას უპასუხა და ეს სიტყვები უთხრა პარისმა: „ნუ დამიმძიმებ სულს, ქალბატონო, გაუსაძლისი საყვედურით. ახლა ხომ მენელაოსმა გაიმარჯვა ათენას დახმარებით, შემდგომში მე გავიმარჯვებ, რადგან ჩვენ გვერდითაც დგანან ღმერთები. მოდი, დავწვეთ და სიყვარულით დავტკბეთ, რადგან არასოდეს არ მოუცავს ჩემი სული ასეთ ვნებას, მაშინაც კი, როდესაც პირველად თვალწარმტაცი ლაკედემონიდან მოგიტაცე და მოვცურავდით საზღვაო გემებით და კრანაეს კუნძულზე შევერთეთ ერთმანეთს სიყვარულითა და სარეცლით, ბევრად უფრო მიყვარხარ ახლა და ტკბილი სურვილი მიპყრობს", - ეს თქვა და სარეცლისკენ დაიძრა და უკან მიჰყვა მეუღლეც. და ისინი დაწვნენ მოჩუქურთმებულ სარეცელზე.

ატრევსის ძე კი მებრძოლთა შორის წინ და უკან დარბოდა მხეცივით, იქნებ სადმე თვალი მოეკრა ღვთისდარი ალექსანდროსისთვის, მაგრამ არავის შეეძლო ტროელებისა და მათი სახელოვანი მოკავშირეებისგან, ეჩვენებინა ალექსანდროსი არესის რჩეული მენელაოსისთვის. მისი სიყვარულის გამო არ დამალავდა არავის, რომ დაენახა, რადგან შავი სიკვდილივით ყველას თანაბრად ეზიზღებოდა.

მაშინ მათ უთხრა კაცთა მეუფე აგამემნონმა: „მისმინეთ, ტროელებო, დარდანელებო და მოკავშირეებო! ცხადად გამოჩნდა არესის რჩეული მენელაოსის გამარჯვება, არგოსელი ჰელენე და მასთან ერთად მთელი ქონება უნდა დააბრუნოთ და გადაიხადოთ სათანადო გამოსასყიდი, რომლის ხსოვნა დარჩება მომავალი თაობების ადამიანებშიც".

ასე თქვა ატრევსის ძემ და მოუნონეს სხვა აქაველებმაც.

მეოთხე სიმღერა

ფიცის გატეხა. აგამემნონის მიერ ლაშქრის შემოვლა

ზევსთან ჩამომსხდარ ღმერთებს კრება ჰქონდათ ოქროს მინაზე, ხოლო დედოფალი ჰებე მათ ნექტარს უსხამდა; ისინი კი ოქროს თასებით ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და ტროელთა ქალაქს დაჰყურებდნენ. უეცრად შეეცადა კრონოსის ძე, გამოეწვია ჰერა დამცინავი სიტყვებით და ცბიერად ჩაილაპარაკა: „ორი დამმარე ჰყავს მენელაოსს ღმერთებში - არგოსელი ჰერა და მფარველი ათენა; მაგრამ ისინი ცალკე სხედან, უყურებენ და ტკბებიან, პარისს კი მარადმოლიმარი აფროდიტე მუდამ გვერდით უდგას და ბედისნერისგან იცავს. ახლაც, როცა ეგონა, რომ მოკვდებოდა, გადაარჩინა, თუმცა ცხადი იყო არესის რჩეული მენელაოსის გამარჯვება. ჩვენ კი ვთქვათ, როგორ იქნება ეს საქმე: ან ისევ ავი ომი და საშინელი შეტაკება აღვძრათ, ან მტრებს შორის მეგობრობა დავამკვიდროთ. და თუ ეს ყველას საყვარლად და ტკბილად გიჩანთ, დაე, მეუფე პრიამოსის ქალაქი გადარჩეს, ხოლო არგოსელი ჰელენე მენელაოსმა წაიყვანოს".

ასე თქვა; დრტვინავდნენ ათენა და ჰერა, გვერდიგვერდ ისხდნენ და ტროელებისთვის სიავეს განიზრახავდნენ. თუმცა ათენა მდუმარედ იყო და არაფერს ამბობდა მამა ზევსზე გულმოსული, ვეღურ რისხვას მოეცვა იგი. ჰერამ კი ვერ დაიოკა ბრაზი გულში და მიმართა: „კრონოსის უსასტიკესო ძეო, ეს რა სიტყვა ბრძანე?! გინდა, ნაღაში ჩამიყარო უსასრულო გარჯა და ოფლი, რომელიც შრომაში დავღვარე, ცხენები დავწყვიტე, რომ ხალხი შემეყარა პრიამოსისა და მისი შვილების დასაქცევად. გააკეთე, რაც გსურს, მაგრამ ყველა ღმერთი არ დაგეთანხმება".

მას დიდად გაუწყრა ღრუბელთაშემკრები ზევსი და უთხრა: „დედოფალო, ცუდი რა გაგიკეთეს პრიამოსმა და პრიამოსის შვილებმა, ასე მტრულად რომ გწყურია ილიონის კარგად დასახლებული ციხესიმაგრის დაქცევა? რომ შეგძლებოდა, კარიბჭესა და დიდ გალავანში შეხვიდოდი და ცოცხლად შეჭამდი პრიამოსსაც, მის შვილებსაც და სხვა ტროელებსაც, იქნებ ამით მოგეშუშებინა ჭრილობა. გააკეთე, რაც გინდა; მაგრამ უფროხილდი, ამ განხეთქილებამ ჩვენ ორს შორის დიდი მტრობა არ ჩამოაგდოს. კიდევ ერთს გეტყვი და გულში კარგად ჩაიბეჭდე: როდესაც მე განვიზრახავ, დავაქციო ქალაქი, რომელშიც შენთვის საყვარელი ადამიანები დაბადებულან, ნუ დააცხრობ ჩემს მრისხანებას და მიმიშვი; მეც გულით არ მინდა, მაგრამ მაინც გაძლევ ამ ქალაქს; მზისა და ვარსკვლავებიანი ცის ქვეშეთში მიწიერი ადამიანები რაც ქალაქებს ასახლებენ, მათგან ჩემი გულისთვის ყველაზე პატივსაცემი იყო წმინდა ტროა, პრიამოსი და იფნისშუბოსანი პრიამოსის ხალხი. იქ არასოდეს მოჰკლებია ჩემს საკურთხეველს არც სათანადო ნადიმი, არც შეჯაშე, არც შესაწირავის კვამლი, არც თაყვანისცემა, რაც გვეკუთვნის".

მის საპასუხოდ ბრძანა ხარისთვალება ქალღმერთმა ჰერამ: „სამი ქალაქია ჩემთვის უსაყვარლესი: არგოსი, სპარტა და ფართოქუჩებიანი მიკენე. დააქციე ისინი, თუ გულით შეიძულებს, მე წინ არ გადაგიდგები და არ დავიცავ. თუ უარს ვიტყვი და არ დაგანებებ მათს დაქცევას, ჩემი უარით ვერაფერს გავაწყობ, რადგან შენ ბევრად უფრო ძლიერი ხარ; მაგრამ საჭიროა, რომ ჩემი გაწეული შრომაც

უნაყოფოდ არ დარჩეს, მეც ხომ ღმერთი ვარ, მეც ხომ იმ გვარისა ვარ, რაც შენ, მეც ხომ უფროს ქალიშვილად მშვა ცბიერმა კრონოსმა და ორგზის ფიდებული ვარ, - ჩემი წარმოშობითაც და იმითაც, რომ მეუღლეს მიწოდებ შენ, რომელიც ყველა უკვდავზე მეფობ; ახლა კი დავუთმოთ ერთმანეთს: შენ - მე და მე - შენ. მოგვყვნენ სხვა უკვდავი ღმერთებიც. შენ კი სასწრაფოდ უბრძანე ათენას, მიადგეს ტროელებისა და აქაველების საშინელ შეტაკებას, სცადოს, რომ ფრიად სახელოვან აქაველებს ტროელებმა პირველებმა მიაყენონ შეურაცხყოფა და ფიცი გატეხონ".

ასე თქვა და უსმინა მას ადამიანთა და ღმერთთა მამამ. იმავწამს მიმართა ათენას ფრთოსანი სიტყვებით: „ახლავე მიადექი ტროელებსა და აქაველებს, სცადე, რომ ფრიად სახელოვან აქაველებს ტროელებმა პირველებმა მიაყენონ შეურაცხყოფა და ფიცი გატეხონ".

ასე ბრძანა და აღძრა ისედაც მოწადინებული ათენა და ისიც მოწყვეტით დაეშვა ოლიმპოსის მწვერვალებიდან. როგორც ვარსკვლავი, რომელსაც ცბიერი კრონოსის ძე უგზავნის სასწაულის ნიშნად მეზღვაურებს ან ხალხთა ვრცელ ლაშქრობას, ბრწყინვალე ვარსკვლავი, რომელიც უამრავ ნაპერწკალს ისვრის, ასეთი სახით დაეშვა მიწაზე პალასი ათენა, ჩამოხტა შუაში; გაოგნდნენ ამის დამნახველი ცხენებისმხედნელი ტროელები და ლამაზსაბარკულიანი აქაველები. ერთმანეთს უყურებდნენ და ეუბნებოდნენ: „ან ისევ ავი ომი და საშინელი შეტაკება იქნება, ან მოწინააღმდეგეებს შორის მეგობრობას დაამკვიდრებს ზეუსი, რომელიცაა ადამიანებისთვის ომების გამრიგე".

ამას ამბობდნენ ერთმანეთში აქაველებიცა და ტროელებიც. ათენა კი მივიდა ერთად თავმოყრილ ტროელებთან ანტენორის ძის, ლაოდოკოსის, მძლავრი შუბოსნის სახით, კითხულობდა, სად უნდა ეპოვნა ღვთისდარი პანდაროსი. ნახა, რომ ლიკაონის სწორუპოვარი და მძლავრი ვაჟი იდგა და ირგვლივ ეხვია ფაროსანი მეომრების მძლავრი რიგები, რომლებიც მას ჩამოჰყვნენ ანიპპოსის ნაკადებიდან. ახლოს დაუდგა და ფრთოსანი სიტყვებით მიმართა: „მერწმუნე, ლიკაონის მამაცო ვაჟო! გაბედე და მენელაოსს სტყორცნე სწრაფი ისარი, ყველა ტროელისაგან მადლობასა და დიდებას მოიხვეჭ, ყველასაგან, განსაკუთრებით კი მეფე აღექსანდროსისაგან. მისგან მიიღებ ბრწყინვალე საჩუქარს, როგორც კი მენელაოსს, ატრეუსის მამაც შვილს დაინახავს შენი ისრით დაცემულსა და მწუხარე კოცონზე ასულს. მიდი, ესროლე ისარი სახელგანთქმულ მენელაოსს, შეევედრე ლიკაიაში შობილ მშვილდოსან აპოლონს, პირველშობილი ცხვრების სახელოვან ჰეკატომბე აღუთქვი შინ, წმინდა ქალაქ ძელეიაში დაბრუნებისას".

ასე ბრძანა ათენამ და დაარწმუნა უგუნურის სული. იმავწამს ამოიღო არჩეული რქისგან დამზადებული გაპრიალებული მშვილდი, ეს არჩვი ოდესღაც თავად დაუჭრია მკერდში კლდიდან, სადაც ჩასაფრებული დიდხანს ელოდა; მკერდში მოარტყა ისარი და წაადცია კლდეზე. თავზე თექვსმეტი ხელისგაულის სიგრძის რქები ადგა. ისინი დაამუშავა და შეაერთა მშვილდის ხელოსანმა, მთლიანად გაპრიალა და ოქროს კაუჭები გაუკეთა. და იგი კარგად დაადაყენა, მიწაზე დაადგდნო და მოზიდა; მისმა კარგმა მეგობრებმა წინ ფარები დაუჭირეს, რომ არესის ძე აქაველები არ წამომდგარიყვნენ, სანამ არ მოარტყამდა ატრეუსის ძეს, მამაც მენელაოსს. გახსნა კაპარჭის თავსახური და ამოიღო უხმარი ფრთოსანი ისარი, შაავ ტკივილის მიზეზი. უმალ ლარს მიუსადგა ბასრი ისარი, შეევედრა ლიკაიში შობილ მშვილდოსან აპოლონს, პირველშობილი ცხვრების სახელოვანი ჰეკატომბე აღუთქვა შინ, წმინდა ქალაქ ძელეიაში დაბრუნებისას. ერთად მოზიდა ისრის ბოლო და ხარის ძარღვის ლარი; ლარი მკერდს გაუსწორა და რკინის ბუნკი - მშვილდს. იმავწამს, როგორც დიდი მშვილდი წრედ მოზიდა, გაიიღრიალა მშვილდმა, გაიზუზუნა ლარმა და გაიჭრა ბასრბოლოიანი ისარი ერთად თავმოყრილ ხალხში შეავრდას მოწადინებული.

მაგრამ არ დაგივიწყეს, მენელაოს, ნეტარმა უკვდავმა ღმერთებმა, უპირველესად კი ზეუსის მონადავლე ასულმა, გვერდით დაგიდგა იგი და აგარიდა ბასრი ისარი; ისე არ მიაკარა შენს კანს, როგორც დედა აცილებს ხოლმე ბუზს შვილს, რომელსაც ტკბილად სძინავს; მან იგი წარმართა იქით, სადაც ქამარს ოქროს ბალთა კრავდა და ჯავშანი ჯავშანს ედებოდა. შეკრულ ქამარში ჩაერჭო ბასრი ისარი, ოსტატურად გაკეთებულ ქამარში გააღწია, უცხოდ ნაკეთები ბექთარი და შელეწა შიდა სქელი სარტყელი, რომელსაც ნელზე ატარებდა შუბისგან თავდასაცავად და ყველაზე უფრო საიმედო იყო, მაგრამ ისარმა მასშიც შეაღწია. გაკაწრა ისარმა მოკვდავის კანი; იმავწამს წამოსკდა ღრუბელივით შავი სისხლი ჭრილობიდან. როგორც სპილოს ძვალს შეღებავს მეონიელი ან კარიელი ქალი მეწამულ ფერად, რომ ცხენს საყბეურად ჭქონდეს და დევს - საძინებელში, ბევრი მხედარი ლოცულობს, რომ ხელში ჩაიგდოს, მაგრამ დევს, როგორც მეფის საგანძური, ორივეა: ცხენისთვის - აკაზმულობა და მხედრისთვის - დიდება; ასევე შენ, მენელაოს, სისხლმა შეგიღება მოხდენილი ბარძაყები, წვივები და ლამაზი კოჭები.

შეძრწუნდა კაცთა მეუფე აგამემნონი, როცა დანახა ჭრილობიდან დაღვრილი შავი სისხლი. თავზარი დაეცა თავად არესის რჩეულ მენელაოსსაც; მაგრამ როდესაც დაინახა, რომ ბუნიკის სამაგრი ძარღვი და ისრის კაუჭები გარეთ იყო, სული მკერდში ისევ დაუბრუნდა. მენელაოსის ხელი აიღო, მძიმედ ამოიოხრა, ასე მიმართა მეუფე აგამემნონმა და საპასუხოდ ამოიგმინეს მეგობრებმაც: „საყვარელო ძმაო, შენს სასიკვდილოდ დამიდევს ფიცი და მსხვერპლი შემინირავს, როცა აქაველთა წინ დაგაყენე ტროელებთან საბრძოლველად, შენ კი დაგჭრეს ტროელებმა და სარწმუნო ფიცი ფეხით გათელეს; მაგრამ არ იქნება ამაო არც ფიცი, არც ცხვრების სისხლი, არც ზეუზაველი ზედაშე და არც ნღობის ნიშნად მაროჯვენის ჩამორთმევა. თუკი ოლიმპოსელი ახლავე არ იმოქმედებს, გვიან მაინც აღასრულებს და დიდ ფასსაც დაუწესებს - საკუთარი თავით, ცოლებითა და შვილებით გადაიხდიან. ეს კარგად ვიცი, სულით და გულით: დადგება დღე, როცა დაი-

ქცევა წმინდა ილიონი, პრიამოსი და იფნისუბოსანი პრიამოსის ხალხი; ზევსი, კრონოსის ძე, მაღლით მჯდომი, ეთერის მცხოვრები, მათ ყველას თავად შეურხევს შავ ეგიდას, ამ მზაკვრობით განრისხებული, ამას ვერავინ გადაურჩება; მაგრამ ჩემთვის საშინელი დარტყმა იქნებოდა, მენელაოს, შენ რომ მომკვდარიყავი და სიცოცხლის მიჯნას მისდგომოდი, მე კი სირცხვილნაჭამი წავსულიყავი უწყლო არგოსში; იმავნამს აქაველებს მონატრებოდათ მშობლიური მიწა, პრიამოსისა და ტროელების სადიდებლად დაგვეტოვებინა არგოსელი ჰელენე, ხოლო შენი ძვლები დამპალიყო მინდორში, ტროაში დაყრილი, დაუსრულებელ საქმესთან ერთად. არაადამიანური ძალით გაამაყებული ვინმე ტროელი ხომ იტყოდა, სახელოვანი მენელაოსის ყორღანზე შემდგარი: - დაე, ასე დასრულდეს ყველას მიმართ აგამემნონის რისხვა, მან ხომ ახლაც ამაოდ ჩამოიყვანა აქ აქაველთა ლაშქარი, შინ, საყვარელ სამშობლო მიწაზე ცარიელი ხომალდებით დაბრუნდა და დატოვა კეთილი მენელაოსი. ამას იტყოდა მაშინ და გამისკდებოდა კიდეც ფართო მიწა".

მას კი გასამხნევებლად უთხრა ოქროსთმიანმა მენელაოსმა: „გამაგრდი, არ შეაშინო აქაველი ხალხი. სასიკვდილო ადგილას არ მომხვდა ბასრი ისარი, მრავალფერადი ქამარი გაიარა, ხოლო მის ქვემოთ ბალთამ და სარტყელმა დაკავა, რომელიც სპილენძის ოსტატებმა გამოჭედეს".

მის საპასუხოდ ბრძანა მეუფე აგამემნონმა: „ნეტავ ისე იყოს, როგორც შენ ამბობ, საყვარელო მენელაოს, ჭრილობას კი ექიმი მოძებნის და დაადებს წამლებს, რომლებიც შეწყვეტს შავ ტკივილებს".

და ტალიბიოსს, ღვთაებრივ მაცნეს მიმართა: „ტალიბიოს, რაც შეიძლება სწრაფად მაქანოს მიხმე აქ, ასკლეპიოსის ძეს, უზადო მკურნალს, რათა ნახოს ვაჟკაცი მენელაოსი, ატრევსის ძე, რომელიც ისრით დაგვიჭრა რომელიღაც რჩეულმა ტროელმა ან ლიკიელმა მშვილდოსანმა, თავისდა სადიდებლად და ჩვენდა ჭირად".

თქვა და მაცნე დაუყოვნებლივ დაემორჩილა მის ნათქვამს; დაიარა სპილენძისსამოსიანი აქაველი ხალხი, თვალით ეძებდა ვმირ მაქანოს და დაინახა დამდგარი, ირგვლივ რიგებად შემორტყმოდა ფარსანი ხალხი, რომლებიც საძოვრებით მდიდარი ტრიკიდან ჩამოჰყვა. გვერდით დაუდგა და ფრთოსანი სიტყვებით მიმართა: „წამოდი, ასკლეპიოსის ძეო, გეძახის მეუფე აგამემნონი, რათა ნახო ვაჟკაცი მენელაოსი, ატრევსის ძე, რომელიც ისრით დაგვიჭრა რომელიღაც რჩეულმა ტროელმა ან ლიკიელმა მშვილდოსანმა, თავისდა სადიდებლად და ჩვენდა ჭირად".

ასე თქვა და შეუტოკა მკერდში გული. წავიდნენ და გაიარეს ერთად თავმოყრილ აქაველთა ვრცელი ლაშქარი. ხოლო როდესაც მივიდნენ, სადაც ოქროსთმიანი მენელაოსი დაჭრილი იწვა, მის ირგვლივ კი თავი მოეყარათ მხედართმთავრებს წრეში, ის კი შუაში იწვა, ღვთისდარი მოკვდავი, იმავწამს ამოაძრო შეკრული ქამრიდან ისარი, მაგრამ ამოძრობისას ჩატყდა ბასრი კაუჭები. შეხსნა მრავალფერადი ქამარი, მის ქვემოთ ბალთა და სარტყელი, რომელიც სპილენძის ოსტატებმა გამოჭედეს. შემდეგ დაათვალიერა ჭრილობა, რომელიც ბასრმა ისარმა დატოვა, სისხლი გამოადინა და მყარი ცოდნით დამაწყნარებელი წამალი აპკურა, რომელიც ოდესღაც მამამისს კეთილი გულით მისცა ქირონმა.

სანამ დაკავებული იყვნენ საომარი ყიჟინის დიდოსტატი მენელაოსით, მანამ რიგებად მოვიდნენ ტროელთა ფაროსნები, აქაველებმა ისევ აბჯარი აისხეს და გაიხსენეს ომის ხალისი.

ვერ ნახავდი ღვთაებრივ აგამემნონს ვერც მთვლემარეს, ვერც მობუზულს, ვერც ბრძოლის არმოსურნეს, არამედ მხოლოდ დიდების მოტმენ ბრძოლაში შეჭრილს. ცხენები და სპილენძით მორთული ეტლი მიატოვა; მათ, მძიმედ მსუნთქავთ, შორიახლოს აკავებდა მსახური ევრიმედონი, პირიდეესის ძის, ჰტოლემაიოსის ვაჟი. აგამემნონმა მას დაავალა, ხელთ ჰყოლოდა მანამ, სანამ დაღლილობა მოიცავდა მის კიდურებს, როდესაც, როგორც მბრძანებელი, მრავალს მოივლიდა ფეხით და მეომრებს რიგებად დაანყობდა. სადაც ბრძოლას დანატრებულ სწრაფცხენიან დანაეელს დაინახავდა, მათ გვერდით დაუდგებოდა და სიტყვებით კიდეე უფრო გაამხნევებდა: არგოსელებო, არ შეანელოთ გააფთრებული სიმამაცე, მამა ზევსი არ იქნება მატყუარათა შემწე, ვინც პირველმა დაარღვია ფიცი, მათს ნაზ ხორცს სვავები შეჭამენ, ჩვენ კი მათს საყვარელ ცოლებს და ჩვილ შვილებს ხომალდებით წავიყვანთ, როდესაც ციხესიმაგრეს ავიღებთო.

სადაც კი საზარელი ომის მიმტოვებლებს დაინახავდა, მათ უმალ შავ დღეში ჩააგდებდა მძვინვარე სიტყვებით: „ავბედითო, თავისმომჭრელო არგოსელებო, არ გრცხვენიათ ახლა? რას დამდგარხართ გაოგნებულები ირმებივით, მინდორში სირბილით რომ დაიღლებიან, დადგებიან და გულში სიმამაცე რომ ვეღარ ებადებათ; თქვენც ასე დამდგარხართ გაოგნებულნი და აღარ ომობთ. იქნებ, იმას ელოდებით, ტროელები მოგვადგნენ აქ, ლამაზჯიჩოიან ხომალდებთან ჭაღარა ზღვის ნაპირზე, რომ დაინახოთ, კრონოსის ძის ხელი როგორ გადაგვეფარება?"

როგორც მბრძანებელმა, ასე ჩამოიარა მეომართა რიგები. მიადგა კრეტელებს და მეომართა შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის გაიარა. ისინი მამაცი იდომენევსის ირგვლივ ისხამდნენ აბჯარს. იდომენევსი პირველ რიგებში იდგა ტახიივით მამაცად, მერიონესი კი აჩქარებდა უკანა რიგებს. ისინი რომ დაინახა, გაიხარა კაცთა ბელადმა აგამემნონმა და იმავწამს იდომენევსს მიმართა ტკბილი სიტყვებით: „იდომენევს, სწრაფცხენებიან დანაელებში შენ მიმაჩნიხარ საუკეთესოდ ომსა და სხვა საქმეებში, ასევე ჩვენს დღესასწაულებზე, როდესაც უხუცესებისთვის შუშხუნა ღვინოს საუკეთესო არგოსელები ჭურჭელში აზავებენ. იქ სხვა გრძელთმიანი აქაველები თავის ზომაზე სვამენ, შენი თასი კი, ჩემი არ იყოს, მუდამ სავსე დგას და სვამ, როდესაც გული გეტყვის. მაშ, შედი ბრძოლაში ისეთი ამაყი, როგორიც ყოველთვის იყავი".

მას საპასუხოდ უთხრა იდომენევსმა, კრეტელთა ბელადმა: „ატრევსის ძეო, მუდამ შენი ერთგული მეგობარი ვიქნები, როგორც უნინ დაგპირდი და სიტყვა მოგეცი. ახლა სხვა გრძელთმიანი აქაველები აღაგზნე, რომ სასწრაფოდ ბრძოლა დავიწყოთ, რადგან დავიდეს ფიცი ტროელებმა; დაე, მათ სიკვდილი და დაღუპვა არ ასცდეთ, რაკი პირველებმა დაარღვიეს ფიცი".

ასე თქვა და გახარებული გულით წავიდა ატრევსის ძე. მეომართა სიმრავლე გაიარა და აიასებთან მივიდა. მათ უკვე მუზარადები ეხურათ და ქვეითთა ღრუბელი მოსდევდათ. როგორც შემაღლებული ადგილიდან ზეფიროსის ზუზუნში ხედავს მწყემსი ზღვის თავზე მიმავალ ღრუბელს, შორიდან იგი კუპრზე უფრო შავად ეჩვენება და იცის, რომ მას მოჰყვება დიდი ქარიშხალი, ძრწოლა იპყრობს და გამოქვაბულში შეჰყავს ფარა, - ასე გუნდად მიჰყვებოდნენ აიასებს დამაქცევარ ომში ზევსის გამოზრდილი ვაჟკაცების ფარებითა და შუბებით აბურძგნული ლურჯი რიგები. მათი დანახვით გაიხარა მეუფე აგამემნონმა, შესძახა და ფრთოსანი სიტყვები უთხრა: „ორო აიასო, სპილენძისსამოსიანი არგოსელებს ორო მეთაურო, თქვენ არც გიბრძანებთ, რომ აღაგზნოთ მეომრები, თქვენ თავადაც ძლიერად აგიმხედრებიათ ხალხი სასტიკი ბრძოლისთვის. ზეკსო მამაო, ათენა და აპოლონო, ნეტავ ყველას ასეთი სული ჰქონდდა მკერდში! მაშინ ხომ უმალ დაეცემოდა მეუფე პრიამოსის ქალაქი ჩვენი ხელით აღებული და გაცამტვერებული!"

ეს თქვა და ისინი მიატოვა, სხვებისკენ წავიდა. იქ კი ნესტორს წაანყდა, პილოსელების მქუხარე მჭევრმეტყველს, რომელიც მეგობრებს რაზმავდა და საბრძოლოდ განაწყობდა. მის ირგვლივ იყვნენ პელაგონი, ალასტორი, ქრომიოსი, მეუფე ჰემონი და ხალხთა მწყემსი ბიასი. ცხენოსნები ცხენებთან და ეტლებთან ერთად წინ განალაგა, მრავალი საუკეთესო ქვეითი უკან ბრძოლის ბურჯად დააყენა, ხოლო უარესები შუაში განალაგა, რათა, თუნდაც არ ნდომოდათ, იძულებული ყოფილიყვნენ, ეომათ. მხედრებს პირველებს მისცა დავალება - მათ უბრძანა, ცხენები დაეოკებინათ და არ გაევნენილიყვნენ უნესრიგო ხროვად; თავისი ცხენოსნობისა და ვაჟკაცობის იმედით არავინ განიზრახოს არც სხვების წინ ტროელებთან ბრძოლა, არც უკან ჩამორჩენა, - უძლურები გახდებით. თუკი ვინმე თავის ეტლს დატოვებს და სხვა ეტლზე გადავა, შუბი გაინვდინოს წინ, ეს ყველაზე ძლიერი ხერხია. ძველები ამგვარად ამსხვრევდნენ ქალაქებსა და გალავნებს, ამგვარი გონება და სული ედგათ მკერდში".

ასე არიგებდა მათ მოხუცი, ძველი დროიდან ომების მცოდნე. მის დამნახავ აგამემნონს გული სიხარულით აევსო, შესძახა და ფრთოსანი სიტყვებით მიმართა: „მოხუცო, მაგ საყვარელ მკერდში როგორი სულიც გიდგას, ისე გაგიმაგრდეს მუხლი და ისეთი ძალა მოგეცეს! მაგრამ საყოველთაო სიბერე გაწამებს, კარგი იქნებოდა, ვინმე სხვას ჰქონოდა მეომრებში შენი ასაკი, შენ კი ყმაწვილებში ყოფილიყავი!"

მას საპასუხოდ უთხრა გერენოსელმა მხედარმა ნესტორმა: „ატრევსის ძეო, მეც ძალიან ვისურვებდი, ისეთი ვყოფილიყავი, როგორიც მაშინ ვიყავი, როცა ერევთალიონი გამოვასალმე სიცოცხლეს, მაგრამ ღმერთები ყველაფერს ერთად არ აძლევენ ადამიანებს, მაშინ ყმაწვილი ვიყავი და ახლა კიდევ სიბერე მომეწია, მაგრამ ასეთიც მხედრებში გავერევი და მოვუწოდებ რჩევით და სიტყვებით, - ეს არის მოხუცთა განსაკუთრებული პატივი. შუბები კი შეარხიონ უმცროსებმა, ჩემ შემდეგ დაბადებულებმა, რომლებიც საკუთარ ძალას ენდობიან".

ასე თქვა და გახარებული გულით წავიდა ატრევსის ძე. იპოვა პეტეოსის ძე, ბრწყინვალე მხედარი მენესთევსი; იგი იდგა და ირგვლივ ჰყავდა ათენე-

ლები, ყიუინის ოსტატები; იქვე ახლოს იდგა მრავალბრძენი ოდისევსი, ორივე მხარეს ედგა მძლავრ მეომარ კეფალენიელთა რაზმები, იდგნენ, ჯერ არ გაეგონა ამ ხალხს საბრძოლო ყიჟინა, რადგან ჯერ ერთმანეთს უახლოვდებოდნენ ცხენებისმხედნელი ტროელებისა და აქაველების საბრძოლო რიგები; ისინი კი იცდდნენ, იდგნენ, სანამ აქაველთა სხვა კოშკი მოვიდოდა, ტროელებს დაესხმებოდა და ბრძოლა გაჩაღდებოდა. ესენი რომ ნახა, გაცეცხლდა ხალხთა ბელადი აგამემნონი, შესძახა მათ და ფრთოსანი სიტყვებით მიმართა: „პეტეოსის, ზევსის აღზრდილი მეფის ძეო! და შენ, აგი ცბიერების გამორჩეული ოსტატო, რას დამდგარხარო ცალკე, იმალებით და სხვებს ელოდებით?! თქვენ ორს, უპირველესად ყოვლისა, გმართებდათ წინ გასულიყავით და ფიცხელ ომში შეჭრილიყავით. ნადიმზე ხომ პირველად თქვენ ორს გეპატიჟებით, თუკი უხუცესებს ნადიმს ვუწყობთ აქაველები. იქ გიყვართ შემწვარი ხორცის მირთმევა და თასებით თაფლივით ტკბილი ღვინის გულიანად სმა; აქ კი საყვარელია, რომ უყურებთ აქაველთა ათი კოშკი თქვენზე წინ რომ იბრძვის დაუნდობელი სპილენძით".

მას ქვემოდან გამოხედა და ბრძანა მრავალბრძენმა ოდისევსმა: „ატრეევსის ძეო, ეს რა სიტყვა დასცდა შენს კბილთა ზღუდეს? როგორ თქვი, რომ ბრძოლას თავს ვარიდებთ, როდესაც აქაველები ცხენებისმხედნელი ტროელების წინააღმდეგ ვაღვიძებთ მძაფრ არესს?! დაინახავ, თუ ისურვებ და იზრუნებ, თელემაქეს საყვარელ მამას ცხენებისმხედნელი ტროელების წინააღმდეგ წინა რიგებში მებრძოლთა შორის; ეს რა ლიტონი სიტყვები წამომრაზე!"

მას გაუღიმა მეუფე აგამემნონმა, გაბრაზებული რომ ნახა, უკან წაიღო თავისი სიტყვა და ბრძანა: „ლაერტეს ზევსის მიერ გამოზრდილო ძეო, გამომგონებელო ოდისევს! არც მეტისმეტად გკიცხავ და არც გიბრძანებ, რადგან ვიცი, რომ მაგ საყვარელ მკერდში გულს კეთილი განზრახვა აქვს, იმასვე ფიქრობ შენც, რასაც მე. ახლა კი მოდი, ყველაფერი კარგად გავაკეთოთ და თუ რამ ცუდი ითქვა, ყველაფერი ღმერთებმა გააქარწყლონ".

ასე თქვა, მიატოვა ისინი და სხვებისკენ წავიდა. იპოვა ტიდეევსის ვაჟი, მგზნებარე დიომედე; იდგა ცხენებთან და შეწყვილებულ ეტლებთან. მასთან იდგა სთენელოსი, კაპანეევსის ძე. რომ დაინახა, გაკიცხა იგი მეუფე აგამემნონმა, შესძახა მას და ფრთიანი სიტყვებით მიმართა: „ცხენებისმხედნელი, მამაცი ტიდეევსის ძეო, რას შეგაშინა, რას მიმტერებიხარ ბრძოლის ველს? ასე ცახცახი არ უყვარდა ტიდეევს, არამედ ძვირფასი მეგობრების ბევრად უფრო წინ ებრძოდა მტრებს, როგორც ამბობდნენ, ვისაც კი საქმეში უნახავს; მე თავად პირისპირ არასდროს მინახავს, მაგრამ ამბობენ, ყველას აღემატებოდაო. ერთხელ იგი, ომის გარეშე, მიკენს ეწვია, ღვთისდარ პოლინიკესთან ერთად ხალხს აგროვებდა; ისინი მაშინ თავს უნდა დასხმოდნენ თებეს წმინდა კედლებს და ითხოვდნენ სახელოვანი მოკავშირეების მიცემას. მათ უნდოდათ, მიეცათ და დაეთანხმნენ თხოვნას, მაგრამ ზევსმა ავისმომასნავებელი ნიშნები გამოუჩინა და გადაადგილებინა. ისინი მაშინ წავიდნენ და იმავე გზას დაადგნენ, მაღალლერწმიანი მდინარე ასოპოსის ნაპირს მიადგნენ და იქიდან მაცნედ კვლავ ტიდეევსი გაგზავნეს აქაველებმა. მარტო ნავიდა და მრავალი კადმოსელი იპოვა, რომლებიც ნადიმობდნენ მძლავრი ეტეოკლეს სახლში. იქ მხედარი ტიდეევსი სტუმრად კი იყო, მაგრამ არ შეშინდა, მარტო შევიდა მრავალ კადმოსელთან, ყველას შეჯიბრში ინვევდა და ყველა დაამარცხა ილოდ, ისეთ შემწედ ჰყავდა ათენა. მასზე განრისხებული ცხენთამხედნელი კადმოსელები უკან წამოსულს ჩაუსაფრდნენ, ორმოცდაათი ბიჭი გაგაგზავნეს; მათ ორი ხელმძღვანელი ჰყავდათ: მეონი - ჰემონის ძე, უკვდავთა მსგავსი და ავტოფონოსის ძე, ბრძოლაში უკანდაუხეველი პოლიფონტესი. ტიდეევსმა მათაც სასტიკი ხვედრი არგუნა, ყველა ამოხოცა, მხოლოდ ერთი გაუშვა სახლში, ღმერთების ნიშნებს დაუჯერა და მეონი გაგზავნა. ასეთი იყო ეტოლიელი ტიდეევსი, მაგრამ ვაჟი გაუჩნდა: ბრძოლაში უარესი ღა ლაპარაკში უკეთესი".

ასე თქვა და არ უპასუხა მძლავრმა დიომედემ, მეფის გაკიცხვა ღირსეულად მიიღო, მაგრამ სახელოვანი კაპანეევსის ძემ გასცა პასუხი: „ატრეევსის ძეო, ნუ ამბობ ტყუილს, როცა სიმართლე იცი! ჩვენ ვამაყობთ, რომ მამებს დიდად აღვემატებით. ჩვენ თებეს სიმაგრე შვიდკარიჰჭინი ავიღეთ, როდესაც ნაკლები ხალხით მივადექით არესის გალავანს, მივენდეთ რა ღმერთების სასნაულებსა და ზევსის დახმარებას. ისინი კი საკუთარმა უსამართლობამ დაღუპა. ასე რომ, მამების პატივს ჩვენსას ნუ შეადარებ!"

მას ქვემოდან შეხედა მძლავრმა დიომედემ: „მამა, მდუმარედ იყავი და ჩემს სიტყვას ერწმუნე! მე ვერ გაგაკიცხავ აგამემნონს, ხალხთა მწყემსს, რომ საბრძოლოდ აღაგზნებს ლამაზსაბარკულიან აქაველებს; რადგან სახელი დაუმკვიდრდება მას, თუკი აქაველები ტროელებს დახოცავენ და ნმინდა ილიონს აიღებენ, მაგრამ უდიდესი მწუხარება ელის, თუკი აქაველები დამარცხდებიან. მაშ მოდი, ჩვენ ორმა თავად გავიხსენოთ დაუოკებელი სიმამაცე!"

ასე თქვა და ეტლიდან შეიარაღებული ჩამოხტა მიწაზე. საშინელი ხმა გამოსცა სპილენძმა აღგზნებული მეუფის მკერდზე, გულმაგარ კაცსაც კი ძრწოლა აიტანდა.

როგორც ძეფიროსის აღძრული ტალღები ერთმანეთის მიყოლებით მიიტკვნის ზღვის მრავალხმიანი სანაპიროსკენ, ჯერ ზღვაში აღიმართებიან, შემდეგ კი ხმელეთს საშინელი ზათქით ეხეთქებიან და ნანილებად იმსხვრევიან, რკალად უვლიან კონცხს და ამოანთხევენ ზღვის ქაფს, ასევე ერთმანეთის მიყოლებით, შეუჩერებლად მიისწრაფვოდნენ დანაელთა საბრძოლო რიგები ომისკენ; თითოეულ რიგს ბრძანებას აძლევდა ბელადი, მეომრები კი უსიტყვოდ მიდიოდნენ. არ იტყოდი, რომ ამდენ ხალხს, რომელიც მათ მიჰყვებოდა, მკერდში ხმა ჰქონდა, მდუმარედ სცემდა პატივს მეთაურებს; ყველას უბრწყინავდა ჭრელი აბჯარი, როცა მწყობრად მოძრაობდა. ტროელები კი, როგორც ცხვრები ძალიან მდიდარი კაცის ეზოში, უთვალავნი დგანან, თეთრი რძით სავსენი და უსასრულოდ ბღავიან, როდესაც კრავების კიკინი ესმით, ასეთი ყიუინა იდგა ტროელთა

მთელ ვრცელ ლაშქარში, თანაც ყველას ხმაური და სიტყვა ერთნაირი არ იყო, მათი ენები ერთმანეთს ეროვდნენ, რადგან სხვადასხვა ქვეყნებიდან იყვნენ მოხმობილი ვაჟკაცები.

აღძრავდა იმათ არესი, ამათ კი - თვალსხივოსანი ათენა, ძრწოლა, შიში და მუდმივად გაშმაგებული შუელი - კაცთა მმუსრავი არესის და და მეგობარი, რომელიც თავიდან პატარაა, მაგრამ მაღლა მიიწევს, ბოლოს ცას აწვდენს თავს და მიწაზე დადის, ლაძრეებს შორის დადიოდა, ორმხრივ მტრობას აღვივებდა და ადამიანთა კვნესასა ამრავლებდა.

და როდესაც ერთ ადგილას მოიყარეს თავი, ერთმანეთს შეეჯახა ფარები, შუბები და სპილენძისაბჯრიან მებრძოლთა მრისხანება; შუაბუნიკიანი ფარები შეასკდა ერთმანეთს და გრუხუნი აღიძრა. იქ ისმოდა გოდებაცა და გამარჯვების ყიჟინაც, გამანადგურებელთა და განადგურებულთა ხმები, სისხლით მოირწყო მიწა. როგორც ადიდებული მდინარეები მთებიდან მოედინება, ხეობაში ერთმანეთს ერთვის მძლავრი ნაკადებით და ღრმა უფსკრულისკენ მიექანება, ხოლო მათი ყრუ ხმა შორს მთებში ესმის მწყემსს, ასე ისმოდა ერთმანეთს შეტაკებული მეომრების ბრძოლის ხმა. პირველმა მაშინ ანტილოქოსმა მოკლა ტროელთა მეწინავე მებრძოლთაგან საუკეთესომუზარადიანი ვაჟკაცი ექეპოლოსი, თალისიოსის ძე. მას ცხენისძუიანი მუზარადის კოპში ჩასცა, თვალებშუა გაუარა და ძვლები შელეწა სპილენძის შუბმა და მისი თვალები წყდიადმა მოიცვა; დაეცა, როგორც კოშკი - ძმიმე ბრძოლაში. დაცემულს ფეხებში სწვდა მეუფე ელეფენორი, ქალკოდონის ძე, დიდგულოვანი აბანტების მეთაური და მოაცილა ისრებს, რათა სასწრაფოდ აეყარა მისთვის აბჯარი, მაგრამ მისი მცდელობა მოკლე აღმოჩნდა. რომ დაინახა, გვამს მიათრევდა, დიდგულოვანმა აგენორმა დახრილს, ფარისგან დაუცველ ფერდში ატაკა სპილენძის შუბი და სიცოცხლეს გამოასალმა. როგორც კი იგი დატოვა სულმა, მის ირგვლივ აღიძრა ტროელებისა და აქაველების სასტიკი ბრძოლა: როგორც მგლები, ისე დააცხრნენ ერთმანეთს და კაცი კაცს შეასკდა.

მაშინ აიას ტელამონის ძემ დასცა ჭაბუკი სიმოესიოსი, ანთემიონის ვაჟი, რომელიც ოდესღაც იდის მთიდან, მშობლებთან ერთად, თავისი ჯოგის სანახავად ჩამოსულმა დედამ შვა სიმოეისის ნაპირებთან, რის გამოც დაარქვეს სიმოესიოსი, მაგრამ საყვარელ მშობლებს ვეღარ დაუბრუნა სამაგიერო გაწეული ამაგისთვის, ხანმოკლე აღმოჩნდა დიდგულოვანი აიასის შუბით ძლეული მისი სიცოცხლე. წინ მიმავალს მარჯვენა ძუძუსთან დასცა და ბეჭამდე გაუტარა სპილენძის შუბი და ისიც მიწაზე, მტვერში დაეცა ალვის ხესავით, რომელიც დაბლოზე, დიდ ჭაობში გაიზარდა, მოისხა მაღალი ტოტები და მას ეტლის მკეთებელი ოსტატი გასხეპს მოელვარე რკინით, რომ თავის ეტლს ბორბალი გაუკეთოს და ისიც უსიცოცხლოდ ლეპტა მდინარის ნაპირას, - ასე აჰყარა აბჯარი ანთემიონის ძე სიმოეისოსს ზევსის შობილმა აიასმა, მას ელვარე ჯავშნიანმა ანტიფოსმა, პრიამოსის ძემ ხალხის შუაგულში სტყორცნა ბასრი შუბი, ასცდა, მაგრამ მუცელში მოხვდა ლევკოსს, ოდისევსის საუკეთესო მეგობარს, რომელიც მოკლულის ცხედარს მიათრევდა; დაეცა თვითონაც და ცხედარიც გაუვარდა ხელიდან. მისმა სიკვდილმა მეტად განარისხა ოდისევსის სული, მებრძოლთა წინა რიგი გაიარა მოელვარე სპილენძის მუზარადით შემკულმა, ახლოს მივიდა, დადგა, ირგვლივ მოავლო მზერა და სტყორცნა მოელვარე შუბი, უკან დაიხიეს ტროელებმა შუბის მტყორცნი კაცის წინაშე, მან კი არ გაკაცულა ნატყორცნი, პრიამოსის ბუშს, დემოკოონს მოარტყა, რომელიც სწრაფი ცხენებით განთქმული აბიდოსიდან ჩამოვიდა. მას, მეგობრის გამო, განრისხებულმა ოდისევსმა შუბი საფეთქელში მოარტყა, მეორე საფეთქელთან გამოვიდა სპილენძის შუბი და მისი თვალები მოიცვა წყვიადმა. ხმაურით დაეცა და გაიოჟღრიალა აბჯარმა დაცემულზე. უკან დაიხიეს მეწინავეებმა და სახელოვანმა ჰექტორმა, არგოსელებმა კი დიდი ყიჟინით გაათრიეს ცხედრები და ნინ დიდად გაინიეს, განრისხდა აპოლონი, რომელიც ყველაფერს პერგამოსიდან ხედავდა და ხმამაღლა შესძახა ტროელებს: „აღიძარით, ცხენთამხედნელო ტროელებო, ნუ დაუთმობთ ბრძოლის ჟინს არგოსელებს, მათ არც ქვის ტყავი აქვთ, არც რკინის, რომ აისხლიტონ მჭრელი სპილენძის დარტყმები. ლამაზკულულებიანი თეტისის ძე, აქილევსი ხომ არ იბრძვის, ხომალდებთან ნაღვლიან გულისტკივილს მისცემია". ასე ბრძანა ქალაქიდან საშინელმა ღმერთმა, მაგრამ აქავეულებს აღაგზნებდა ზევსის ასული სახელგანთქმული ტრიტოგენეია, რომელიც ხალხის გუნდებთან ჩნდებოდა, თუკი უკანდახეულებს დაინახავდა.

აქ ამარინკეევსის ძე - დიორესი - შებოჭა ბედისწერამ: ნვეტიანი ლოდი მოხვდა მარჯვენა ფეხის კოჭში: ესროლა თრაკიელ კაცთა მეთაურმა პეიროს იმბრასოსის ძემ, რომელიც აინოსიდან ჩამოვიდა. ურცხვმა ქვამ ორივე მყესი და ძვალი სრულიად დაფლეთა და მტვერში დაეცა, ორივე ხელი საყვარელი მეგობრებისკენ გაიშვირა, სული ერთმეორეა; აქ მირბინა პეიროოსმა და ჭიაში ჩასცა შუბი, მთელი შიგნეული მიწაზე დაიყარა, თვალებს კი წყვდიადი გადაეფარა. ეტოლიელმა თოასმა პეიროოს ჩასცა შუბი მკერდში, ძუძუსთავს ზემოთ, ფილტვებს მისნვა და სპილენძი. ახლოს მოდგა თოასი და მძლავრი შუბი ამოჰგლეიჯა მკერდიდან, ბასრი მახვილი ამოიღო, შუა მუცელში ატაკა და სული ამოაცალა. აბჯარი ვერ აჰყარა, რადგან ირგვლივ შემოეწყვნენ კეფაზე მოშვებულთმიანები თრაკიელი მეგობრები, ხელში გრძელი შუბებით და თუმცა დიდიც იყო, მძლავრიც და სახელოვანიც, გამოაძევეს, ისიც შედრკა და უკან დაიხია. ასე მტვერში გვერდიგვერდ ინვნენ მართლაც თრაკიელებისა და სპილენძისსამოსიანნი ეპიელების წინამძოლები და უამრავმა სხვამაც დალია სული.

მაშინ თუ ვინმე მებრძოლს, რომელიც ბრძოლას არ შეუშინდებოდა, ვისაც ჯერ არ მოხვედროდა ისარი და ვინც ჯერ არ დაეჭრა ბასრ სპილენძს, ათენა პალასი ჩასჭიდებდა ხელს, წაიყვანდა და ისრებს ანაზდად ააცდენდა, იგი დაინახავდა, რომ იმ დღეს უამრავი ტროელი და აქაველი მტვერში პირჩაღმა ჩავარდნილი ერთმანეთის გვერდიგვერდ ინვა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტებები:

1. *პიგმეები* - უკიდურეს სამხრეთში, ოკეანოსთან მცხოვრები ქონდრისკაცების მითოსური ტომი; მათ ყოველწლიურად ეომებიან სამხრეთში გადამფრენი წეროები.
2. *ალექსანდროსი*- სიტყვა-სიტყვით, „კაცთა მომგერიებელი", პარისის მეტსახელი.
3. *ქვის პერანგს ჩაგაცვამდნენ*- ქვებით ჩაგქოლავდნენ.
4. *სკაიეს კარიბჭე* - ქალაქ ტროის დასავლეთის კარიბჭე.
5. *კასტორი და პოლიდევკესი* - ზევსისა და ლედას შვილები, დიოსკურები; ჰელენესა და კლიტემნესტრას ძმები. ბერძნული მითოლოგიის ტრადიციით, ღმერთები იყვნენ, მაგრამ ჰომეროსთან ადამიანებად არიან წარმოდგენილი.
6. *ტრადიციულად პარისს*, როგორც მოისარს, მძიმე აღჭურვილობა არ სჭირდებოდა, ამიტომ აიღო ახლა ძმის ბეჭთარი, „რომელიც მოერგო".
7. *ჰეზე* - ზევსისა და ჰერას ასული, სიყმაწვილის ქალღმერთი, რომელიც ოლიმპოსის მთაზე ღმერთებს ნექტარსა და ამბროსიას მიართმევდა.
8. *ფიცი გატეხონ* - ფიცის გატეხვით ტროელები თავის ქალაქს დასაღუპავად გასწირავენ, ეს ცოდვა დაუსჯელი ვერ დარჩებოდა.
9. *აისეპოსი* - ტროადის შვიდიდან ერთ-ერთი მდინარე.
10. *ქამარს* - იგულისხმება საბრძოლო ქამარი სპილენძის წინა ფირით, რაც ბექთართან ერთად ორმაგ ჯავშანს ქმნიდა.
11. *სარტყელი* - შიდა სარტყელი, სპილენძის ფირფიტებიანი სქელი სახვევი.
12. *ეთერი* - სივრცე ატმოსფეროსა და ზეცის კამარას შორის, „ზედა სუფთა ჰაერი". მოკვდავები ჰაერს ჩაისუნთქავენ, ხოლო უკვდავები ეთერს.
13. *ქირონი (ქეირონი)* - უზენაესი კენტავრი, ცნობილი როგორც ბრწყინვალე პედაგოგი, რომელმაც აღზარდა ჰერაკლე, იასონი, აქილევსი და ზოგიერთი სხვა გმირი. მისი სფეროები იყო მედიცინა, მუსიკა, მშვილდოსნობა, ნადირობა და ნინასწარმეტყველება.
14. *კოშკი* - საბრძოლო წყობის ერთ-ერთი სახეობა.
15. *პოლინიკესი* - ოიდიპოსის ვაჟი, რომელსაც, ნინასწარი შეთანხმების მიუხედავად, მეფობა არ დაუთმო ძმამ; საკუთარი ქალაქის წინააღმდეგ უცხოების ლაშქარს გამოუძღვა და ბრძოლაში დაიღუპა.
16. *კადმოსელი* - თებელი (თებე კადმოსმა დააარსა და მის აკროპოლისს კადმეია ეწოდებოდა).
17. *ეტეოკლესი* - ოიდიპოსის ვაჟი, თებეს მეფე. დაიღუპა ძმასთან, პოლინიკესთან და მის მიერ ჩამოყვანილ ლაშქართან ბრძოლაში (ძმებმა ერთმანეთი დახოცეს).
18. *სიმოეისი* - ტროადის მდინარე, პერსონიფიცირებულად - ოკეანოსისა და ტეთისის ვაჟი.
19. *პერგამოსი* — ქალაქ ტროის ციტადელი ანუ აკროპოლისი.
20. *ტრიტოგენეია* - ქალღმერთ ათენას ეპითეტი, რომლის მნიშვნელობაც ბუნდოვანია. ერთ-ერთი ვერსიით, იგი ათენას ზღვიურ წარმომავლობაზე მიუთითებს; მეორე ვერსიით, ათენა არის „სამგზის შობილი" ან „მესამედ შობილი". ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ათენა ზევსის მესამე შვილია არტემისის და აპოლონის შემდეგ. „სამგზის შობილს" კი განმარტავენ როგორც მეტისისგან, ზევსისგან და საკუთარი თავიდან შობილს.

ფილიპ როთი

მალამუდის სურათები

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

"ყველამ რომ იცოდეს, - თქვა ჩეზარემ, - რა მძიმედ გადასატანია დარდი, ნაკლები ადამიანი დაიხოცებოდა".
ბერნარდ მალამუდი "სიკვდილს სიცოცხლე სჯობს"

1961 წლის თებერვალში აიოვა-სიტის უნივერსიტეტში მწერლებს სემინარი ჩავუტარე და ჩემს მეორე წიგნზე მუშაობა დავასრულე, შემდეგ კი დასავლეთში გავემგზავრე, რათა მონმუთის (ორეგონის შტატი) კოლეჯში ნამეკითხა ლექცია ამერიკული ლიტერატურის შესახებ. იქ ჩემმა ახლო მეგობარმა, ყოფილმა თანაკურსელმა მიმიწვია. ამ მიწვევაზე დავთანხმდი არა მარტო იმის გამო, რომ შევძლებდი მენახა ჩემი მეგობრები - ბობ და იდა ბეიკერები მათი შვილებითურთ, არამედ - იმის გამოც, რომ ბეიკერი დამპირდა, ბერნარდ მალამუდს შეგახვედრებო.

ბერნარდი იქვე, სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლიდა. ცხოვრობდა ქალაქ იუჯინში (მოსახლეობა 5000 კაცი), მას შემდეგ, რაც დატოვა ნიუ-იორკი (მოსახლეობა - 8 000 000 კაცი), სადაც 1949 წლამდე საღამოს სკოლაში მუშაობდა. შემდეგ თორმეტი წლის განმავლობაში შორეულ დასავლეთში ასწავლიდა ორეგონელ სტუდენტებს ინგლისური ლიტერატურის საფუძვლებს და წერდა შესანიშნავ რომანს ბეისბოლის შესახებ ("თანდაყოლილი ნიჭი") - შედევრს, სადაც მოვლენები ვითარდება პირქუშ ბრუკლინში; აქვე დაწერა "თანაშემნე" და ოთხი თუ ხუთი საუკეთესო ამერიკული ნოველა, რომელიც კი ოდესმე წამიკითხავს (ან წავიკითხავ). არც სხვა ნაწარმოებები ჰქონდა ურიგო.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში *Partisan Review*-სა და *Commentary*-ში გამოქვეყნებისთანავე ვკითხულობდი მალამუდის მოთხრობებს (რომლებიც მოგვიანებით კრებულად გამოიცა, "ჯადოსნური კასრი"). იმხანად ვფიქრობდი, რომ ის არანაკლებ შთამბეჭდავად აღწერდა ებრაელთა და, განსაკუთრებით, იმიგრანტ ებრაელთა ტანჯულ ცხოვრებას, ვიდრე სემუელ ბეკეტი - მოლოისა და მელოუნის ტრაგიკულ სულიერ გაცდებს. ორივე მწერალმა, რომლებიც განუყოფლად იყვნენ დაკავშირებულნი თავიანთი ხალხის ცხოვრებასთან, ასახვის საგნად აქცია არა ფართომასშტაბიანი სოციალური და ისტორიული

მოვლენები, არამედ - თავიანთი თანამემამულეების უსიხარულო ყოფა. მათი ნაწარმობები გამსჭვალულია ძალზე პესიმისტური ფილოსოფიური შინაარსით.

ბეკეტის მსგავსად, მალამუდი წერდა საკუთარი ენით: ინგლისურით, რომელშიც ჩართულია ებრაული იმიგრანტული მეტყველებისთვის დამახასიათებელი იდიომები, ინვერსიები, დიალექტური გამოთქმები და დანაწევრებული სიტყვები, რომლებსაც არავინ იყენებდა (ბორჰჩის სარტყლის კომიკოსებისა და ნოსტალგიით პროფესიული მოვაჭრეების გარდა), სანამ მალამუდი თავის ადრეულ მოთხრობებში მათ თავის ნაღვლიან მელოდიაზე არ ააყღერებდა. ამასთან, თვით ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც მალამუდის პროზა ზედმიწევნით პარაბოლურია, მისი მეტაფორები ფრაზეოლოგიზმების წრეს არ სცილდება. ნაწარმოებებში, რომლებშიც თითქოს სენტიმენტალური კილოთი თხრობაა მოსალოდნელი, მალამუდი "პროზაული" შტრიხების მეშვეობით აგვინერს მოვლენებს და პოეტურ ეფექტს აღწევს: "სურდა, რამდენიმე ალერსიანი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა პირში ისე დაეკიდა, როგორც ხეზე ჰკიდია ხოლმე გამხმარი ნაყოფი, გული კი ჩაბნელებულ ფანჯარას მიუგავდა".

46 წლის კაცი, რომელსაც 1961 წელს მონმუთში, ორეგონის შტატში, ბეიკერების პატარა სახლში შევხვდი, არ წაგავდა ადამიანს, რომელსაც შეეძლო დაენერა ამგვარი სტრიქონები - არც იმხანად და არც ჩვენი ნაცნობობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ერთი შეხედვით, ბერნარდი შეიძლებოდა მიგეჩნიათ მამაჩემის კოლეგად - სადაზღვევო აგენტად, რომელსაც 30-40-იან წლებში ნიუარკის საქმიან ცენტრში ნახავდით. როდესაც ჩემი ლექციის შემდეგ ვიხილე ბეიკერების სახლის ჰოლში შემოსული მალამუდი, რომელიც ნოხზე სველ კალოშებს იხდიდა, ის წაგავდა თავაზიან, კეთილსინდისიერ, ბანქოს თამაშის მოყვარულ ებრაელს, იმათგან, რომელთა მომაბეზრებელი რჩევა-დარიგებები მთელი ჩემი ბავშვობის განმავლობაში მესმოდა. ამგვარ შეუპოვარ, მრავალნაცად, შავ ქუდსა და შავ პალტოში გამოწყობილ სადაზღვევო აგენტებს არ აშინებთ ძაღლების ყეფა ან ბავშვების ყვირილი, როდესაც ისინი საღამოობით მრავალბინიანი შენობის კიბეებზე დადიან და თან დააქვთ შავი მოგრძო დავთრები, რომლებიც ბიჭობისას პატარა კუბოებს მაგონებდა - რათა ღატაკ ოჯახებს ორმოცდაათ-ორმოცდაათი ცენტი დაცინცლონ. ისინი არც საშიშნი არიან და არც სასაცილონი - მხოლოდ და მხოლოდ სადაზღვევო აგენტები არიან, რომელთაც ვერაფერი მოერევა, სიკვდილის გარდა.

მალამუდმა კიდევ ერთი თვისებით გამაკვირვა. იშვიათად იცინოდა. საუბრებში არ ავლენდა იუმორის გრძნობას, რომელიც აცისკროვნებს თვით ყველაზე ღარიბული და გაყინული ბინების მცხოვრებთა არსებობას მის მოთხრობებში, თუ არაფერს ვიტყვით შთამბეჭდავ კლოუნადაზე, რომელიც "თანდაყოლილი ნიჭის" ხიბლს წარმოადგენს. მალამუდის ისეთ მოთხრობებში, როგორებიცაა "ანგელოზი ლევინი", მოგვიანებით კი "ებრაელი ფრინველი" და "მოლაპარაკე ცხენი", - იუმორი თითქოს სცილდება კიდეც ხელოვნების საზღვრებს, ხოლო ხელოვნება, უბრალოდ, საშუალებაა იუმორისტული აღწერებისთვის. და მაინც, ჩვენი ყოველი შეხვედრის დროს, ოცდახუთზე მეტი წლის განმავლობაში, მალამუდი მიყვებოდა ორად ორ ანეკდოტს. ეს იყო, ებრაული დიალექტზე ძალზე ოსტატურად მოყოლილი ანეკდოტები და სხვა არაფერი - ოცდახუთი წლის განმავლობაში მოყოლილი ორი ანეკდოტი.

ბერნარდი არ აღიარებდა არავითარ პასუხისმგებლობას, გარდა პასუხისმგებლობისა ხელოვნების წინაშე. არავის უხსნიდა გულს და არც მისთვის საინტერესო საკითხების შესახებ საუბარს მიიჩნევდა აუცილებლად, მით უმეტეს - შემთხვევით გაცნობილ ადამიანთან. გულის გადახსნა არ შეეძლო იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც საკმარისად მხიარულ განწყობილებაზე იყო, რათა ასე მოქცეულიყო, და ეს კიდევ უფრო უმძიმებდა ცხოვრებას. პროფესორი ს. ლევინი, რომელიც ჩაპლინის პერსონაჟებს წააგავს (რომანში "ახალი ცხოვრება"), კოლეჯში ფართოდ გადახსნილი შარვლით დადის, ხალისიანი და მხიარულია, მაგრამ ბერნარდი ასეთი არ იყო. კაფკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტად როდი წაადგება მწერს, ვიდრე მალამუდი - ლევინს, კომიკურ პერსონაჟს, რომელიც ეროტიკული მარცხის შემდეგ, ნახევრადშიშველი, მთაგორიანი ორეგონის ჩაბნეულებულ გზებზე ღამის სამ საათზე მალულად მიეშურება შინისკენ, ხოლო მისი სანჩო პანსა ბარის ოფიციანტი ქალია, მხოლოდ ფეხსაცმელი და ბიუსტჰალტერი რომ აცვია. ყოფილი ლოთი სეიმურ ლევინი და მწერადქცეული გრეგორ ზამზა თვითგარდასახვის აქტს გენიალურად განასახიერებენ. მისი საშუალებით ორივე მწერალი ასახავს ერთგვარ მაზოხისტურ გათავისუფლებას აკრძალვებისგან, რომლებიც უნინ მათი გაწონასწორებული ქცევის ქვაკუთხეი იყო. მალამუდთან, ისევე, როგორც ბევრ სხვა მწერალთან, თვითირონია შეიძლებოდა ასახულიყო მხოლოდ ინ ხერხით, რომელსაც ჰანე Maskenfreiheit-ს (შენიღბვის მეშვეობით მოპოვებულ თავისუფლებას) უწოდებდა.

ეს სევდიანი მემატიანე ადამიანის მოთხოვნილებისა, დაძლიოს ცხოვრების უკუღმართობა განათლების, ამაღლებული გრძნობების, მციროდენი იმედის მეშვეობით ("ბავშვი იმისთვის ისვრის ბურთს, რათა თვალი შეაელოს მკრთალი ცის ნაფლეთს"), უკიდურესად გულჩახთრობილი იყო. ეს მოთხოვნილება მასში იმდენად მძლავრი იყო, რომ ახლაც კი მზარავს მალამუდის მტკივნეული სულიერი განცდების მასშტაბის წარმოდგენა. მას, აგრეთვე, ანტტერესებდა სინდისის ქენჯნით გამოწვეული განცდები. ადამიანი, რომელიც გარეგნულად სადაზღვევო აგენტივით ვნებათუქონელი იყო, უმმობელ მორალისტად წარმოგვიდგებოდა კლაუსტროფობიულ მოთხრობებში იმის შესახებ, რომ "ვერაფერი გამოისყიდის წარსულს". "თანაშემწეში" ქურდაცაცა და მაწანწალა ფრენკ ელპანი ინანიებს, რომ ერთხელ მონანილეობა მიიღო მაღაზიის გაქურდვაში და ფიქრობს: "მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც უზნეოდ ვიქცეოდი, თავი მაღალზნეობრივი ადამიანი მეგონა". ვფიქრობ, ახალგაზრდობაში ბერნარდსაც ეგონა, რომ მაღალზნეობრივი პიროვნება იყო, რომელსაც შეეძლო ემოქმედა მხოლოდ ისე, როგორც მოქმედებდა.

1961 წლის თებერვალში ორეგონში ჩვენი პირველი შეხვედრით დაწყებული და გასულ ზაფხულს ბენინგტონში (ვერმონტის შტატი) ბერნარდის სახლში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრით დამთავრებული, მას წელინადში ორჯერ ვხვდებოდი. რამდენიმე წლის განმავლობაში - როდესაც ის გააღიზიანა New York Review of Books-ში ჩემ მიერ გამოქვეყნებულმა ესემ ამერიკელ ებრაელ მწერალთა შემოქმედების და, კერძოდ, მალამუდის "ფიდელმანის სურათებისა" და "შუამავლის" შესახებ - საერთოდ არ გვინახავს ერთმანეთი. სამოციანი წლების შუა ხანებში ხანგრძლივად ვცხოვრობდი იადოს მხატვართა კოლონიაში - სარატოგა-სპრინგსში, ნიუ-იორკში, ბენინგტონის მახლობლად, და მარტოობისგან თავის დასაღწევად შემეძო რამდენიმე საათით თავი შემეფარებინა ბერნარდისა და მისი ცოლის, ენის ოჯახისთვის; სამოცდაათიან წლებში, როდესაც ორივენი იადოს მმართველობის წევრები ვიყავით, ერთმანეთს ყოველწლიურ შეხვედრებზე ვხვდებოდით; როდესაც მალამუდების ოჯახი ვერმონტის ცივ ზამთრებს გაექცა და თავი მანჰეტენს შეაფარა, იმხანად ჯერ კიდევ ნიუ-იორკში ვცხოვრობდი, და ზოგჯერ ერთად ვვახშმობდით; ხოლო როდესაც ბერნარდი და ენი ეწვივნენ ლონდონს, სადაც დროდადრო ვცხოვრობდი, ისინი ჩემს სახლს სტუმრობდნენ ხოლმე.

თუმცა მე და ბერნარდი ამ შეხვედრების დროს ლიტერატურაზე ვსაუბრობდით, მაგრამ არც ერთხელ არ გვიხსენებია ერთმანეთის ნაწარმოებები და არასოდეს სერიოზულად არ განგვიხილავს ისინი. ვიცავდით რომანისტებსა და სპორტსმენებს შორის გავრცელებულ გონივრულ დაუწერელ კანონს, რომელიც ითვალისწინებს, რამდენად ფაქიზია კოლეგიალობის გრძნობა, რომელიც სისხლით ნათესაობაზე უფრო ახლო კავშირს ემყარება, და ერთმანეთისადმი როგორი ღრმა პატივისცემა უნდა გამოძრავებდეთ ასეთი მსჯელობების დროს. ბლეიკის თქმით, "პაექრობა ჭეშმარიტი მეგობრობაა". ეს ბრძნული აზრი თითქოს ამართლებს დაპირისპირებულ აზრთა გამოთქმას და, შესაძლოა, ზოგადად, სასიკეთოა, მაგრამ პაექრობა მწერლებს შორის იწვევს წყენას, აღშფოთებას, ეჭვებს, რაც შეიძლება დინამიტზე უფრო საშიში იყოს. დაპირისპირებს თავაზიანობა უნდა ამჯობინოთ, თუკი გსურთ, რომ თქვენს მეგობრებს შორის მწერლები იყვნენ. თვით ის მწერლებიც, რომლებიც პაექრობს მომხრენი არიან, ჩვეულებრივ, ყოველდღიური მუშაობის შემდეგ იქ დადიან, სადაც მათ აფასებენ.

1974 წელს New York Review-ში გამოქვეყნებული ესეს შემდეგ პირველად სწორედ ლონდონში შევთანხმდით შევხვედრილიყავით და, ასევე, წერილობით გამოგვეთქვა ჩვენი აზრი ამის შესახებ, რითაც უნდა შეგვეჯამებინა ჩვენი ურთიერთობა ბოლო ორი წლის განმავლობაში. მისი ნერილი ლაკონიური გახლდათ. ეს ერთი წინადადება, შესაძლოა, ნაკლებად გამაღიზიანებელი ყოფილიყო, ვიდრე გამოიყურებოდა თეთრ ფურცელზე, წერილი ასოებით გამოყვანილი. ის, რაც დაწერეთ "ფიდელმანისა" და "ოსტატის" შესახებ, - მატყობინებდა მალამუდი, - თქვენი პრობლემაა და არა ჩემი. მაშინვე მიგწერე, რომ დროთა განმავლობაში უნდა მიმხვდარიყო - ჩემი დამოკიდებულება მის მიმართ სწორედ ისეთი იყო, როგორიც უილიამ ბლეიკმა დაახასიათა თავის აფორიზმში. თავხედობა არ მეყო, ბლეიკი მეხსენებინა, მაგრამ მივანიშნე, რომ ჩემი ესე მის მიმართ პატივისცემით იყო ნაკარნახევი. ამ

მიწერ-მოწერის დროს დიდსულოვნება არც ერთ ჩვენგანს არ გამოუჩენია, მაგრამ მანვე შეგვარიგა. იმავე დღის რვის ნახევარზე კლერის სახლში ზარის ხმა გაისმა. მალამუდები გვეწვივნენ. კარის თავზე მიმაგრებული ნათურის შუქზე დავინახე ენი, რომელსაც გადავეხვიე და გადავკოცნე, შემდეგ კი, გაწვდილი ხელით, მივუახლოვდი ბერნარდს, რომელიც ასევე გაწვდილი ხელით მომიახლოვდა. თითოეულ ჩვენგანს სურდა პირველს ეპატიებინა მეგობრისთვის - ან, შესაძლოა, პირველი ყოფილიყო პატიებული. ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით და გადავკოცნეთ, სწორედ ისე, როგორც სანყალი ხბაბაზი ლები და კიდევ უფრო უიღბლო კობოკკი იქცევიან "კრედიტის" დასასრულს. მალამუდის ეს ებრაელი პერსონაჟები - იმიგრანტები - ერთმანეთს ხვდებიან ურთიერთობის გაწყვეტიდან მრავალი წლის შემდეგ და ლების მაღაზიის უკანა სათავსში ერთმანეთის უყვეთნან გადატანილი ვაი-ვაგლახის შესახებ. შედეგად ლებს დაეწვება ღუმელში გამოსაცხობად შეწყობილი პური. მოთხრობა ასე მთავრდება: "ღუმელში შეწყობილი პურები შავ აგურებად, დანახშირებულ გვამებად იქცა. კობოკკი და მეფუნთუშე ერთმანეთს გადაეხვივნენ და ოხვრით დაეშვიდობნენ გარდასულ ახალგაზრდობას. შემდეგ ტუჭებში აკოცეს ერთმანეთს და სამუდამოდ დაშორდნენ". ჩვენ კი სახლში შევედით გემრიელი კერძების მისართმევად და სამუდამოდ მეგობრებად დავრჩით.

1985 წლის ივლისში, ინგლისიდან დაბრუნებული კლერი და მე კონექტიკუტიდან ბენინგტონში გავემგზავრეთ და მალამუდებს ვესტუმრეთ. წინა ზაფხულს მათ ორ საათ-ნახევარი იმგზავრეს, რათა ერთი დღე-ღამე გაეტარებინათ ჩვენთან, მაგრამ ბერნარდს ახლა მგზავრობა არ შეეძლო. შუნტირებისა და სამი წლის წინ გადატანილი ინსულტის მძიმე შედეგებმა დაასუსტა. ცდილობდა, არ შეპუებოდა თავის ფიზიკურ მდგომარეობას, რომელიც ძალზე თრგუნავდა. როდესაც მათ სახლთან მივედით, შევამჩნიე, როგორი დაუძლურებული იყო. ის, ამინდისგან დამოუკიდებლად, ყოველთვის გზაზე გვხვდებოდა. ახლაც ქუჩაში დაგვხვდა თავის პოპლინის ქურთუკში, მაგრამ როდესაც თავი დაგვიკრა, ეტყობოდა, რომ ფეხზე დგომა უჭირდა. ცალ მხარეს იხრებოდა და ცდილობდა, ნებისყოფის დაძაბვით თავი შეეკავებინა, თითქოს ოდნავი მოძრაობაც კი ძირს დასცემდა. ფლეგმატურ, შეუპოვარ სადაზღვევო აგენტს უკვე აღარ ჭვავდა. 46 წლის წინ დასავლეთში დასახლებული თმაშეთხელებული ბრუკლინელი, რომელიც ოცდაოთხი საათის განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობდა და რომლის თავაზიანი გამომეტყველება რკინისებრ ნებისყოფას ნიღბავდა, ახლა სუსტი, საპყარი ბერიკაცი გახლდათ, რომლის სიმტკიცე უკვე გატეხილი იყო.

ბერნარდი ინფარქტმა და მედიკამენტებმა გაანადგურეს, მაგრამ მის ძველ მკითხველებს ეგონათ, რომ ის, თავისი მრავალი პერსონაჟის მსგავსად, კვლავინდებური შემართებით იბრძოდა ცხოვრების გასაუმჯობესებლად - და იმარჯვებდა. მას ჩემთვის ბევრი არაფერი მოუყოლია საკუთარი ბავშვობის შესახებ, გარდა იმისა, რომ დედა ადრე გარდაეცვალა, მამამისი სილარიბეს თავს ვერ აღწევდა, ხოლო თვითონ ხეიბარ ძმაზე უნდა ეზრუნა. ვხვდებოდი, რომ ძალზე ადრეულ ასაკში დაიწყა ცხოვრების ტვირთი, ადრე ჩამოყალიბდა მამაკაცად. და ახლა ის აცნობიერებდა საკუთარ მდგომარეობას როგორც ადამიანი, რომელიც იძულებული იყო, ძალზე დიდი ხნის განმავლობაში ყოფილიყო მამაკაცი. ვფიქრობდი მის მოთხრობაზე "სიბრალული" და იმ დაუვიწყარ დიალოგზე დავიდოფსა და როზენს შორის, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე ტრაგიკული იგავია, რომელიც მალამუდს დაუწერია. როდესაც დავიდოფი კითხულობს, თუ როგორ მოკვდა უბედური ებრაელი დევნილი, როზენი პასუხობს: "მასში რაღაც გატყდა. ჰოდა, მოკვდა". - "რა გატყდა?" - "ის, რაც ტყდება ხოლმე".

ეს ძალზე სევდიანი საღამო იყო. სადილის მოლოდინში სასტუმრო ოთახში ვსაუბრობდით; ბერნარდი დაინტერესდა კლერის ქალიშვილის საოპერო კარიერით, შემდეგ ისინი საუბრობდნენ მომღერლებისა და მუსიკის თაობაზე. ბერნარდი გვიამბობდა სხვადასხვა ამბებს თავისი ორი შვილის შესახებ. კონცენტრაცია ძალზე უჭირდა, და ვხვდებოდით, რაოდენ უძნელდებოდა მეგობრებთან საუბარი.

როდესაც სასტუმრო ოთახიდან გავედით, რათა უკანა ეზოში, ღია ცის ქვეშ გვესადილა, ბერნარდმა შემოგვთავაზა, ჩვენთვის მოგვიანებით წაეკითხა ახალი რომანის შავი ვარიანტის პირველი თავები. უწინ ჩემთვის არასოდეს არაფერი წაუკითხავს და არც დაინტერესებულა ჩემი თვალსაზრისით დაუმთავრებელი ნაწარმოებების შესახებ. ამდენად, მისმა თხოვნამ გამაკვირვა. ცოტათი შევშფოთდი კიდეც და და სადილის განმავლობაში ვფიქრობდი, როგორი უნდა ყოფილიყო ეს რომანი, რომლის მძიმედ დაავადებულ ავტორს ახლა, როგორც ჩანს, გამრავლების ტაბულაც კი არ ახსოვდა და რომელსაც მხედველობა ინსულტის შედეგად ისე ჰქონდა დაზიანებული, რომ ყოველ დილას პირის გაპარსვა, მისივე თქმით, "სახიფათო ავანტიურად" წარმოუდგებოდა.

ყავის შემდეგ ბერნარდმა თავისი კაბინეტიდან გამოიტანა შესანიშნავად დაბეჭდილი და კოხტად აკინძული ფურცლების თხელი დასტა. ენს ზურგის ტკივილი აწუხებდა და ბოდიში მოგვიხადა, ცოტა ხნით დავისვენებო. ბერნარდი მაგიდას მიუჯდა და თავისი წყნარი ხმით კითხვა დაიწყო. მსმენლები მხოლოდ კლერი და მე ვიყავით.



BERNARD MALAMUD

როდესაც დაჯდა, მისი სკამის ირგვლივ პურის ნამცეცები დაცვივდა - ტრემორის გამო სადილობაც სახიფათო ავანტიურად ექცა. და მაინც, დანერა ეს გვერდები, კიდევ ერთხელ მკაცრად გამოსცადა საკუთარი შესაძლებლობები. გამახსენდა "თანაშემნის" დასაწყისი - როგორ დაათრევს ბებერი მებაყლე მორის ბობერი ნოემბერში, დილის ექვს საათზე რძით სავსე კონტეინერებს. გამახსენდა, ასევე, მისი სიკვდილის მიზეზი - ფინანსური კრახის შემდეგ და ავადმყოფობის მიუხედავად, ბობერი ღამით სახლიდან გავიდა, რათა ტროტუარიდან ნიჩბით აეფხიკა ექვსი დუიმის სიმაღლის თოვლი. შინ დაბრუნებისას გადავიკითხე ის გვერდები, რომლებზეც აღწერილი იყო მებაყლის ცხოვრების უკანასკნელი ნამები.

"მისდა გასაკვირად, ქარმა გაყინულ ქუთუკში შეაღწია და წინსაფარსაც ხმაურით ურტყამდა ფეხებზე. ეგონა, რომ მარტის ბოლოს, უფრო თბილი საღამო იქნებოდა... კიდევ ერთი ნიჩაბი თოვლი აიღო ტროტუარიდან. ესეც უკეთესი ცხოვრებაო, წაილულლულა".

აღმოჩნდა, რომ ხელნაწერის ყოველი გვერდი ნაკლული იყო, ხოლო პირველი თავების ვარიანტები - ძალზე მოკლე. ვერ ვიტყვი, რომ მოსმენილი ტექსტი არ მომეწონა - იქ მოსაწონი ან არმოსაწონი არაფერი იყო, მაგრამ რომანის დასაწყისი არ ვარგოდა, ბერნარდის მცდელობათა მიუხედავად. თავს ისე ვგრძნობდით, თითქოს ბნელ გამოქვაბულში ვიმყოფებოდითდა ვლამობდით, ჩირაღდნების შუქზე გაგვერჩია გამოქვაბულის კედელზე აღბეჭდილი მალამუდისეული ნაწარმოები. მოწიწებას აღგვიძრავდა არა თვით ეს ნაწერი, არამედ ხელოვნების ძალმოსილება, რომელსაც ამგვარი მარტივი ნიშნები ააშკარავებდა.

არ მსურდა, მეცრუა, მაგრამ როდესაც შევხედე ამ გაძვალტყავებულ კაცს, რომელსაც ფურცლების თხელი დასტა ეკავა, ჩემი ჭეშმარიტი თვალსაზრისი ვერ გავაცხადე, თუმცა ბერნარდი სწორედ ამას მოელოდა. უბრალოდ, ვუთხარი, ისეთი დასაწყისია, როგორიც, ჩვეულებრივ, ნებისმიერი ნაწარმოებისა-მეთქი. ეს არ უნდა სწყენოდა 71 წლის მწერალს, რომელმაც გამოაქვეყნა თორმეტი ყველაზე ორიგინალური მხატვრული ნაწარმოები ამერიკულ ლიტერატურაში ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში. ვცდილობდი, კონსტრუქციული ვყოფილიყავი და ვივარაუდე, რომ შესაძლოა, თხრობა ძალზე ნელა ვითარდებოდა და რომ ბერნარდს შეეძლო ამ ხარვეზის გამოსწორება მომდევნო თავებში. "შემდგომ რა ხდება?", ვკითხე იმ იმედით, რომ შევძლებდი საუბრის გადატანას ნაწარმოების სხვა ნაწილებზე, ისე, რომ არ გვემსჯელა მოსმენილის შესახებ.

მაგრამ მას სწორედ იმაზე მსჯელობა სურდა, რაც წამიკითხა. და წყნარი ხმით, რომელშიც გულისწყრომა იგრძნობოდა, მითხრა: "რა მნიშვნელობა აქვს, რა ხდება შემდგომ?".

ჩამოვარდნილ სიჩუმეში, სანამ კლერი ფრთხილად წამოიწყებდა საუბარს რომანის მთავარ (ავტორის ჩანაფიქრის თანახმად) პერსონაჟზე, ბერნარდი, მგონი, გაღიზიანდა, რადგან ვერ ახერხებდა თვალსაჩინოდ აეხსნა ჩემთვის, როგორ ესახებოდა ეს ნაწარმოები, რომლის შესახებ დადებითითვალსაზრისი არ გამომითქვამს. სურდა, რომ მისთვის მეთქვა, ის, რასაც ასეთი ვაივაგლახით წერ, უფრო უკეთესია, ვიდრე გგონიაო. ისე იტანჯებოდა, რომ ეს უნდა მეთქვა. და თუ ამას ვიტყოდი, დამიჯერებდა.

შემოდგომაზე ინგლისში გამგზავრება დავაპირე და ამის შესახებ ბერნარდს მივწერე. შევთავაზე, რომ ის და ენი, მომდევნო ზაფხულს კონექტიკუტში ჩამოსულიყვნენ. პასუხი, რომელიც რამდენიმე კვირის შემდეგ ლონდონში მივიღე, ჩვეულებისამებრ, ლაკონიური იყო. სიამოვნებით გეწვევითო, მწერდა ბერნარდი, მაგრამ "მომდევნო ზაფხულამდე ხომ უნდა მივაღნიო".

ბერნარდ მალამუდი გარდაიცვალა 18 მარტს, გაზაფხულის დადგომამდე სამი დღით ადრე.

ანა კორძაია-სამადაშვილი

ჰიუგოს ჩრდილში

იქ, სადაც მთები მთავრდება და თვალუწდენელი ოკეანე იშლება, შუქურა დგას. მიქცევის დროს ჩანს ხოლმე, რომ მის საძირკველს ყველაზე კარგი სიტყვები აწერია: „სამშობლო" და „თავისუფლება".

ოდესღაც მარტივი შუქურა იქნებოდა: რკინის გისოსით გარშემორტყმული ცეცხლის ალები. უმთავარო ღამეებში ის აფრთხილებდა ნაოსნებს, რომ წინ საფრთხე ელით, კლდეები ახლოსაა - და ახარებდა, რომ შინ დაბრუნდნენ, ნავსაყუდელში, პასაიაში.

როცა პირველად ჩამოვედი, ერთმა შესანიშნავმა ქალმა დამლოცა: „ჩვენი კარგი ჰიუგოს ჩრდილი დაგადგეს".

პასაია ვიქტორ ჰიუგოს ჩრდილშია. კარგი ჰიუგოსი, როგორც კარგი ბასკები იტყვიან ხოლმე.

* * *

თავის წიგნში „ალპები და პირენეები" ვიქტორ ჰიუგომ ამ ქვეყანას ზღვაში აღმართული მთა უწოდა. ამბობენ, უკვე 30 ათასი წელია, ამ მიწაზე ბასკები ცხოვრობენო. უამრავ რამეს წერენ და ჰყვებიან, იმასაც კი, ბასკები ატლანტების შვილთაშვილები არიანო, და ამ ვერსიას, როგორც ყველა სხვას, მაგალითად, ქართველებთან ნათესაობას, რაღაცნაირად ასაბუთებენ. ძალიან საეჭვო ამბებია, კაცმა არ იცის, სინამდვილეში რა იყო. ის კი მართალია, რომ ამ მიწას სულ ვიღაც იპყრობდა, და ბასკები სულ ათავისუფლებდნენ, და ბასკურ ენაზე მოლაპარაკე მამაცმა ხალხმა საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა თავისი ძველისძველი ენა და მბრძოლი სული.

მიგელ დე უნამუნოს უთქვამს, აქ მიწა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცა. მართლა დიდებული მიწაა: ატლანტიკის ოკეანის მზიანი, ოქროსფერი სანაპირო - და მწვანეში ჩაფლული, იდუმალი მთები, სასახლეები, ისეთი, ზღაპრების წიგნში რომ გვინახავს - და ასეთივე ზღაპრული მებადურების სოფლები. ეუსკარ ერია, ბასკების სამშობლო, etxera, მშობლიური კერა.

აი, ამ მიწაზე არის ერთი სოფელი. უფრო სწორად, მთლად მიწაზე არაა, უფრო ცის, მიწის და წყლის გასაყარი ეთქმის, ხაისკიბელის ქედის და ულიას მთის ძირას, ბისკანის ყურეში. ძველისძველი სოფელია, მისი ამბავი ჯერ კიდევ 1203 წლის ხელნაწერებშია მოყოლილი.

დღეს აქაურობის შესახებ თხრობას ყველა ერთნაირად იწყებს. ამას ავტორების საწყენად არ ვამბობ, უბრალოდ, ვიქტორ ჰიუგოზე უკეთ ვერავინ აღწერა, ესაა და ეს. ამიტომ ჩვენც ასე ვთქვათ:

„...ბაღალი, მწვანე მთების ფარდა, მათი მწვერვალები კაშკაშა ცაზე მკვეთრად მოსჩანს. მთის ძირას სახლების მწკრივია, მჭიდროდ ჩალაგებული. ყველა სახლი თეთრად, ზაფრანისფრად და მწვანედაცა შეღებილი, ორ ან სამ რიგად დიდი აივნები მიუყვება, რომელთაც ნითელი, კრამიტის სახურავების ჩრდილი ადგას. ყველა აივანზე ათასობით რაღაც ფრიალებს - თეთრეული, სარეცხი, ბადეები, ნითელი, ყვითელი და ლურჯი ქსოვილი. სახლების ქვეშ ზღვაა, ჩემ ხელმარჯვნივ - თეთრი ეკლესია, მარცხნივ, მეორე მთის ძირას - სხვა აივნიანი სახ-

ლები, რომელთა მწკრივიც ძველი კოშკის ნანგრევებთან მთავრდება. ყველა სახის და ზომის ნავი სახლების წინ ირნევა, კოშკის ქვეშია მიბმული, და ყურეში მისრიალებს ხომალდები, კოშკები, სახლები, ეკლესიები, მთები და ზეცა, სიცოცხლე, სითბო, ლაჟვარდი, ნარმოუდგენელი მხიარულება, და ამას ჩემი თვალით ვხედავ.

ეს ადგილი, შესანიშნავი და მომხიბვლელი, მხიარული და დიდებული, ადგილი, სადაც დრო გაჩერებულია, ეს ადგილი ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი რამაა, რაც კი ოდესმე მინახავს. მიწის და წყლის ეს მოკრძალებული კუთხე უცნობია, (...) რაგდან ბასკეთშია. ამ პატარა, მბრწყინავე ედემს, რომელშიც შემოხვევით მოვხედი, ისე, რომ არც ვიცოდი, საით გამიწევია, არ ვიცოდი, სად ვარ, ესპანურად Pasajes ჰქვია, ფრანგულად - Le Passage".

ასეთი იყო აქაურობა 1843 წელს, როცა იმხანად დონოსტიაში, ესპანურად - სან სებასტიანში მცხოვრებმა ვიქტორ ჰიუგომ გასეირნება გადაწყვიტა. ის უცნობ, მშვენიერ ახალგაზრდა ქალს, ბატელერას ნავში ჩაუჯდა, ქალმა ნიჩაბი მოუსვა - და ჰიუგომ პასაია დაინახა. დაინახა და უმალვე შეუყვარდა.

პასაია დონიბანი დღესაც ასეთია, როგორიც ჰიუგომ აღწერა. ის, რაც სოფელს მას მერე დააკლდა ან შეემატა, ნვრილმანებია, თავად ვიქტორ ჰიუგოს სახლ-მუზეუმის გარდა. ცხადია, სახლი მაშინაც იდგა და ახლაც დგას, უბრალოდ, იმხანად მთელმა მსოფლიომ არ იცოდა, როგორია. არადა, როგორც ვიქტორ ჰიუგომ თქვა, ეს არის „სახლი, რომლის ბადალსაც ვერსად ნახავ".

მეჩვიდმეტე საუკუნის ქვის სახლია, უწინ მებადურებისა ყოფილა. მერე აქ ვიქტორ ჰიუგომ იცხოვრა, მერე, 1890-ში, „ალპები და პირენეები" დაიბეჭდა და სახლის არსებობის შესახებ ყველამ შეიტყო, და 1902-ში ორმა ფრანგმა პოლიტიკოსმა, Deroulede-მ და Habert-მა, დიდ მწერალს პატივი მიაგო და ძველი სახლი მუზეუმად აქცია.

„სახლი, რომელშიც ვცხოვრობ, ბნელ ქუჩას გადაჰყურებს, მეორე მხარეს კი - კაშკაშა ყურეს (...) ისეთი პირი უჩანს, ერთ მშვენიერ დღესაც იქნება და ყველაფერი დაიქცევა. კედლებში ბზარებია და პეიზაჟი მოსჩანს. ზედა აივნის აგურებს შორის ქვედა აივნის დანახვა შეიძლება, ოთახებში იატაკი ფეხქვეშ იღუნება (...) სამასი წლის სახლი ასაკისგან კანკალებს, მაგრამ რაღაცით მაინც ძალიან საიმედო და გოროზია. (...) უზარმაზარი ობობები მიდიმოდიან, ოთხი დუიმის სისქის მუხის კარი მასიური, მაგრამ დაჟანგული რკინითაა შეჭედილი. რას ფიქრობთ? რომ პირქუში, საშინელი ადგილია? არა, მომხიბვლელია!"

აქაურებს რომ ჰკითხოთ, ჰიუგოს სახლის მძიმე, მუხის კარი სულ ღიაა. „სულ" ცოტა ხმამაღალი ნათქვამია: ისევე, როგორც ყველა სხვა კარი, ის სიესტას დროს იხურება და მაშინ იღება, როცა სიესტა მთავრდება, და ვინ როდის და რა პრინციპით დაინყებს და დაამთავრებს სიესტას - ეგ არავინ იცის. აგერ, მშვენიერი დუქნის მფლობელმა მშვენიერმა ქალბატონმა თავისი დუქანი შუადღისას დახურა და იმ დღეს საერთოდ აღარ გააღო, დილით საკმარისი ვივაჭრე და რა ძალა მადგასო, მომახსენა, როცა სხვა დუქანში ლუდის კათხით ხელში „ნავასწარი"... ჰიუგოს სახლზე ბასკურ ენაზე მწერალთა ასოციაცია (EIE -Euskal Idazleen Elkartea) ზრუნავს, ამიტომ მთლად ასეც არაა საქმე, „სამუშაო საათების ლოგიკა" მაინც არსებობს. და როცა კარი ღიაა...

დათვალიერება უფასოდ შეიძლება. პატარა მუზეუმია, მაგრამ შთამბეჭდავი.

ბზარებიდან პეიზაჟი არ დამინახავს, არც იატაკი მელუნებოდა ფეხქვეშ, არც ობობებს გადავყრივარ. ქვედა სართულის აივანი კი ზედა აივნის იატაკიდან მართლა ჩანს, იმ აივნიდან კი მწვანე წყალში მოსრიალე დიდი თევზების ცქერა შეიძლება - მოქცევის დროს. მიქცევა და თოლიების შემოსვა ერთია, გაშიშვლებულ, მწვანე, სრიალა ქვაებზე უამრავი ვინმე და რამე რჩება: კიბორჩხალები, ლიფსიტები... დიდი თევზები ღია ზღვაში გადიან, მაგრამ აუცილებლად ბრუნდებიან და, როგორც პასაიელები ზიზღით იტყვიან ხოლმე, მათხოვრობენ და სუქდებიან. ამ თევზებს არავინ იჭერს, თუ ვინმეს მარცხი მოუვიდა და ანკესს წამოაგო, კატებს დაუთმობს, და მერე იწყება კატების და თოლიების დიდი ომი.

ალბათ, ჰიუგოს დროსაც ასე იყო. ამის შესახებ არაფერი დაუწერია, მაგრამ, ალბათ, ასე იქნებოდა. ალბათ ვიწრო, ბნელ ქუჩაზე, უფრო სწორად, თაღში, დამტვერილი მინის უკან მაშინაც ეკიდა ჯვარცმა, ალბათ მაშინაც გალობდნენ ფანჯრის რაფებზე იადონები, მაშინაც ემუქრებოდა შინიდან გამოსულს საფრთხე, რომ მეზობლის ქალი ტაშტიდან წყალს გადაავლებდა და მერე გაბადრული მიესალმებოდა: Agur! მაშინაც ამოჰყავდათ ბიჭებს ზღვიდან რვაფეხები და მაშინაც კოცნიდა ვიღაცა ვიღაცას. აბა, როგორ იქნებოდა.

უბრალოდ, მაშინ აქ ჰიუგო „ალპებს და პირენეებს" წერდა, ახლა კი მე ვწერ, რომ აქ ჰიუგო „ალპებს და პირენეებს" წერდა. ესაა და ეს.



იოსებ ჭუმბურიძე

"კომიკოსი" რეჟისორის დიპლომით

ეტიუდი რეცენზიის ნაცვლად



გენიოსის ცხოვრებას ახსნა სჭირდება და არა შელამაზება - ეს ნოდარ ტაბიძის მრწამსია.

თეიმურაზ დოიაშვილიც, არსებითად, ამასვე ამბობს, ოღონდ შელამაზებას ხაზგასმული ირონიით უყურებს და რეტუშირებას უნოდებს.

როსტომ ჩხეიძეც ზემოხსენებული პრინციპის ერთგულია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ გაკვალულ გზას მიჰყვება.

პირიქით...

და მაინც, დასაბუთება სჭირდება იმ აზრს, რომ როსტომ ჩხეიძემ "თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ახალი ტიპის ბიოგრაფიული რომანი დაამკვიდრა".

რა ქმნის ბიოგრაფიული რომანის ამ ახალ ტიპს?

სტილი? - როსტომ ჩხეიძეს რომ თავისი სტილი აქვს, ეს უდავოა.

მისი ნაწერი შეუძლებელია სხვისაში აგერიოს. ამ მხრივ მამას ჰგავს, ოღონდ მისგანაც ისევე (თუ მეტად არა!) განსხვავდება, როგორც სხვა მწერლებისგან.

"უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება არ ღირსებოდა და, სადაც მოეხერხებინა, იქ შეერგო თავი და... ცოტა დაშოშმინდებოდა, მარტოდენ სემინარიის მონმობის ამარა რომ არ რჩებოდა". - ასე მხოლოდ როსტომ ჩხეიძე წერს.

მაგრამ სტილი ხომ მორფოლოგია და სინტაქსი არ არის. ის ხომ გაცილებით უფრო რთული ფენომენია, ვიდრე ერთი შეხედვით მოგეჩვენება.

აკაკი გაწერელიას უყვარდა ვასილი როზანოვის ამ აზრის ხშირი დამონმება: "Стиль есть то, куда поцеловал Бог вещь!" თვითონ კი სტილს ასე განმარტავდა: "სტილი გაბმულ მეტყველებაში შერჩეული საუკეთესო ელემენტებია. რომან იაკობსონი მართალია, როცა პოეტური ენის მთავარ თვისებად სწორედ "შერჩევის" (selection) მომენტს მიიჩნევს. ამგვარი შერჩევის გარეშე სტილი არ არსებობს. არც მწერალი".

როსტომ ჩხეიძემ ჭეშმარიტად დაიმსახურა, რომ ლიტერატურისმცოდნეებმა არ დაიზარონ და მისი ბიოგრაფიული რომანები სწორედ ამ

თვალთახედვით შეისწავლონ.

მაშინ მთელი მომხიბვლელობით გადაიშლება ჩვენს თვალწინ მათი "საუკეთესო ელემენტები".

დიახ, ეს საკითხი აუცილებლად შესასწავლია.

კარგი მონოგრაფია ხშირად თვითონ იქცევა ახალი მონოგრაფიის თემად.

სტილი, ალბათ, იმ პრინციპსაც ითავსებს, დასაწყისში რომ შევეხეთ. "კომიკოსი ტრაგედიაში" - თვითონ სათაურიც ამჟღავნებს შელამაზების უარყოფას, რაც მკაფიოდ განასხვავებს როსტომ ჩხეიძის ბიოგრაფიულ რომანს რევაზ თვარაძის განთქმული წიგნისგან, რომლის სათაურშიც ასევე გამჟღავნებულია ავტორისეული მრწამსი:

"ლეგენდა გალაკტიონის ცხოვრებისა".

ამ ორ წიგნს შორის არსებითი განსხვავება კი, რა თქმა უნდა, გაცილებით სიღრმისეულია. რევაზ თვარაძემ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გალაკტიონის ლექსებიდან გახედა გენიალური პოეტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ ფაქტებსა და მოვლენებს და მისი სულის ბიოგრაფია წარმოგვიდგინა. შელამაზებას ამასაც ვერ დავარქმევთ. უბრალოდ, გენიოსი ლეგენდურ საბურველში დატოვა.

სათაურზე ვთქვათ.

ძნელია, მოიძებნოს უფრო ხატოვანი, ღრმა და მრავლისმთქმელი, თუ გნებავთ, უფრო ეფექტური სათაური, თუმცა, მე, პირადად, მისი გაშლილი ვარიანტი მირჩევნია: "კომიკოსის როლი დიდ ეროვნულ ტრაგედიაში".

აქ ყველაფერი დღესავით ნათელი და გასაგებია:

გალაკტიონი კომიკოსი კი არ იყო, მან ეს როლი მოირგო და ითამაშა. თანაც ითამაშა არა ყოფაში, არამედ დიდ ეროვნულ ტრაგედიაში. მხოლოდ ამგვარი გაგებით თუ დავეთანხმები საუბარს გალაკტიონის გაორებაზე. თორემ, სინამდვილეში, გალაკტიონზე უფრო მონოლითური პიროვნება მეოცე საუკუნის საქართველოში არც მეგულება.

სხვაგვარად, ამ ცნების ნიკოლოზ მიწიშვილისეულ გაგებასთან მივალთ: "გაორებული კაცის ბედი მთავრდება მარცხით".

ეს კი გალაკტიონს სრულიად არ შეეფერება.

დამარცხებული გალაკტიონი არ არსებობს ("გზად დაღლილი არავის ვუნახივარ").

ამის გაუთვალისწინებლად, დამაჯერებელი აღარ იქნებოდა როსტომ ჩხეიძის მონოგრაფიის დიდებული ფინალი - მეცნიერული ლოგიკისა და მწერლური წარმოსახვის იშვიათი ნაზავი:

"და შეიმართებოდა სარკმელზე გალაკტიონი ჩამავალი მზის ნათელში.

მიწისკენ?

ზეცისკენ?

სიკვდილის კარის შესაღებად?

ხელმეორედ დასაბადებლად?

რაღაც უჩვეულო სიმშვიდე კი დაუფლებოდა მას, ვისაც აქამდე ერთი დღეც არ ჰქონია მშვიდი, უსატკივარო".

აქ დასმული ოთხი შეკითხვისგან, მხოლოდ მეოთხეს აქვს სწორი პასუხი.

და როგორ უხდება ასეთ ფინალს წიგნის ბოლოში მიწერილი თარიღი:

როსტომ ჩხეიძეს მონოგრაფია აღდგომას დაუმთავრებია.

ისევე, როგორც წიგნის სათაურს ესადაგება გალაკტიონივით უცნაური ფაქტიდან დაბადებული რეფრენი - "დიპლომი ეგდო მაგიდაზე, დიპლომი ეგდო..."

მართლაც რა უცნაურია: გალაკტიონი რეჟისორის დიპლომით.

არადა, კომიკოსის ნიღბით დადიოდა. დიდი ეროვნული ტრაგედიის რეჟისორი კი სულ სხვა იყო.

და ამ "რეჟისორს" სულაც არ ესმოდა ის, რაც გალაკტიონს სტკიოდა.

"რეჟისორი" ვერ იგრძნობდა, რომ "ამ ბნელი ღამით, ვიღაც კვნესის საქართველოში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილის ოქტომბრის რჩეულები

ბესს ადამიანი, ბესსელერი (რომანი), თბ. ბაკურ სულელაურის გამომცემლობა, 2014.

ალენ ბერლინგერი, ბუ ის ვინ (რომანი), თბ. ალმანი, 2014.

ლუკა ივანოვიჩი, ქულინარი (რომანი), თბ. ბაკურ სულელაურის გამომცემლობა, 2014.

ტომას სტერნერ ვალიოში, ბარნი ჰაილი, ინგვილაურიდან თარგმნა ანა ჩხეიძემ, თბ. ჩანი მწერლობა, 2014.

ანა ბერიძე, პაკე (ლექსები), ბაბილონი, 2014.

დონ დელილიო, ქაოსი ინგლისურიდან თარგმნა ეკატერინე სოფრომაძემ, თბ. გამომცემლობა ულეოლეტრი L, 2014.

მარეანა ეფესელი, ბრუნ ბაკლიდი, მთარგმნელი ანა ჯაფარიძე, თბ. გამომცემლობა დიოგენეს, 2014.

ალენ ბადიუ, ანა არენდტი - სოკრატული სახელმძღვანელო თანამედროვე ონტოლოგიისა, ალეფი, 2014.

ბორის ბერეზინი, ესპეები, თარგმანი: ხოსი ჭაუშვილი, თეორნინ ჭეშმარიტიძე, თბ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.

ირა ალი ალიევა, ერნესტო ალვა

, ეკოლოგიური ლიტერატურა, თბ. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2014.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ შეიძლება ყოფილიყო თქვენი რეკლამა

ტელ: 577 747-719
ელ-ფოსტა: info@arilimag.ge

ი. 73/60